

ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე

რ ი ტ ო რ ი კ ი ს
შ ე ს ა ვ ა ლ ი

თბილისი
2005 წ ე ლ ი

ნიგნი გაგაცნობთ რიტორიკის ძირითად საკითხებს, გასწავლით, როგორ წარმართოთ დისკუსია და გაიმარჯვოთ კამათში, როგორ მოემზადოთ საჯარო გამოსვლისათვის, როგორ დაამყაროთ აუდიტორიასთან სასურველი კონტაქტი და მოახდინოთ მასზე ზემოქმედება. ნიგნში განხილული საკითხები დაგეხმარებათ შეარჩიოთ შესაბამისი სამეცყველო სტილი, მიაღწიოთ მეცყველების სიზუსტეს, ლოგიკურობასა და გამომსახველობას, თავიდან აიცილოთ სამეცყველო ხარვეზები.

ნიგნი დაიწერა კავკასიის ბიზნესის სკოლის სტუდენტებისათვის, როგორც სახელმძღვანელო, მაგრამ განკუთვნილია ყველასათვის, ვისაც სურს აიმაღლოს და დახვეწოს ზეპირი და წერიტი მეცყველების კულტურა და მიაღწიოს წარმატებას პროფესიულ და საზოგადოებრივ სარბიელზე.

რედაქტორი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო წერეთელი

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ნავროზაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ცხადაია

© ნ. გაფრინდაშვილი, დ. თვალთვაძე, 2005
გამომცემლობა „ნეკერი“

ISBN 99940-850-1-8

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
I. ორატორული ხელოვნების სათავეებთან.....	7
II. ორატორი. სიტყვა. აუდიტორია.....	19
საჯარო გამოსვლის ძირითადი სახეები.....	19
აუდიტორიასთან კონტაქტი.....	21
ორატორული სიტყვის არქიტექტონიკა.....	24
ორატორის სახე.....	33
კამათის ხელოვნება.....	41
მეტყველების ტექნიკა.....	48
III. ფუნქციური სტილები	51
სასაუბრო სტილი.....	52
ნიგნური სტილები.....	55
სამეცნიერო სტილი	57
პუბლიცისტური სტილი	59
ოფიციალურ-საქმიანი სტილი	63
ექსპრესიული სტილი.....	67
IV. მეტყველების სიზუსტე.....	71
მეტყველების ეფემისტურობა.....	72
ანაქრონიზმი.....	74
სიტყვათა თავსებადობა.....	74
მრავალსიტყვაობა და პლეონაზმი.....	75
ტავტოლოგია	78
სამეტყველო უკმარისობა.....	78
ალოგიზმი.....	80
სიტყვის სტილისტური ელფერი. ნიგნური და	
სასაუბრო ლექსიკა.....	81
შეფასებითი ლექსიკა.....	83
საყოველთაო და გამოყენების სფეროთი	
შეზღუდული ლექსიკა.....	84
დიალექტიზმები.....	85
პროფესიონალიზმები	86
ჟარგონი	87
უცხოენოვანი ლექსიკა.....	87
ნეოლოგიზმები.....	88

მოძველებული სიტყვები. ისტორიზმები და
არქაიზმები.....92

**V. მეტყველების გამომსახველობის ლექსიკური
საშუალებები.....94**

სინონიმები94

ანტონიმები.....97

პარონიმები.....100

პარონომაზია101

ომონიმები.....101

ერთმნიშვნელობიანი და მრავალმნიშვნელობიანი
სიტყვები.....105

სიტყვის ახალი მნიშვნელობის განვითარება106

VI. ხატოვანება წერით და ზეპირ მეტყველებაში.....108

ძირითადი ტროპების დახასიათება.....108

მეტაფორა.....110

გაპიროვნება.....110

მეტონიმია112

ანტონომაზია.....112

ეპითეტი.....113

შედარება.....113

ჰიპერბოლა და ლიტოტესი.....115

პერიფრაზი.....115

ტროპების გამოყენების დროს დაშვებული შეცდომები.....116

VII. ენის ფრაზეოლოგიური საშუალებები.....119

ფრაზეოლოგიზმების სტილისტური ელფერი.....122

ფრაზეოლოგიური სინონიმები.....123

ფრაზეოლოგიური ანტონიმები124

ფრაზეოლოგიზმების პოლისემია და ომონიმია.....124

ფრაზეოლოგიზმების ხატოვანი მნიშვნელობა125

შეცდომები ფრაზეოლოგიზმების გამოყენების დროს.....127

ლიტერატურა131

„საკმარისი არ არის იცოდე, რა უნდა თქვა,
მთავარია, ისე თქვა, როგორც საჭიროა“
(არისტოტელე, „რიტორიკა“)

შესავალი

რიტორიკა, ანუ მჭევრმეტყველების თეორია, არის მოძღვრება საჯარო გამოსვლის, ორატორული ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ. იგი წარმოიშვა საბერძნეთში ძვ. წ. აღ.-ის V-IV საუკუნეებში და თავდაპირველად მის მთავარ დანიშნულებად დარწმუნებას მიიჩნევდნენ, მოგვიანებით კი რიტორიკა მჭევრმეტყველების ხელოვნებად გადაიქცა. თანამედროვე ეპოქაში რიტორიკაში გულისხმობენ როგორც მეტყველების დამარწმუნებელ ძალას, ისე მის სილამაზესაც.

ორატორული ხელოვნება კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდამდე თანამედროვე განათლების სისტემაში მას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, რამაც დროთა განმავლობაში საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოიტანა.

იმისათვის, რომ დამაჯერებლად ვილაპარაკოთ და ვწეროთ, მარტო გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება არ კმარა, საჭიროა ვილაპარაკოთ გასაგებად, დამაჯერებლად და მწყობრად, რაც მსმენელს აიძულებს დაეთანხმოს ჩვენს მოსაზრებებს. სასიამოვნო მეტყველება იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას, ხოლო მეტყველების სიმწყობრე ჩვენს სიტყვას ნონასა და ძალას მატებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიტორიკა გვასწავლის დამოუკიდებლად და ორიგინალურად გამოვხატოთ აზრები, გავაკეთოთ სწორი დასკვნები, დავიცვათ ჩვენი პოზიცია, ავხსნათ იგი და დავასაბუთოთ.

ორატორული ხელოვნების დასაუფლებად დიდი მონდობების, ხანგრძლივი ვარჯიშის გარდა, აუცილებლად საჭიროა სახელმძღვანელოებიც, რომლებშიც მკაფიოდ იქნება

ჩამოყალიბებული რიტორიკის მიზნები და მითითებული ის პრაქტიკული გზები, რომლებიც დაგვეხმარება დასახული ამოცანის გადაჭრაში.

ორატორული ხელოვნების შესწავლა აუცილებლად გულისხმობს საგანგებო ყურადღების გამახვილებას სალიტერატურო ენის ნორმების დაცვაზე, სწორად და გამართული მეტყველების უნარის გამომუშავებაზე. რიტორიკის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, თავისუფლად ვფლობდეთ სიტყვას, ლაღად ვაგებდეთ ფრაზას, მეტყველება იყოს ხატოვანი და ექსპრესიული, სტილისტური ხარვეზებისაგან დაზღვეული.

ისტორიულადაც და დღესაც ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდი პატივით ეპყრობოდა გამოჩენილ ორატორებს. ამის დასტურია ჩვენს ენაში სიტყვა *ორატორის* სინონიმთა სიმრავლეც: მჭევრმეტყველი, ენამჭევრი, ენანყლიანი, ენამეტყველი, ენამზე, ენამზიანი, ენოვანი, ენამშვენიერი, ენამოქარგული, სიტყვატკბილი, სიტყვამშვენიერი, მშვენიერმოუბარი, ოქროპირი, რიტორი, მჭევრი.

თავი I

ორატორული ხელოვნების სათავეებთან

ორატორული ხელოვნების ისტორია ანტიკური საბერძნეთიდან იწყება. ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში ათენში შექმნილი პირობები ორატორული ხელოვნების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა. კერძოდ, მჭევრმეტყველების განვითარებას ხელს უწყობდა ათენის ქალაქსახელმწიფოს დემოკრატიული სისტემა. მოქალაქეს შეეძლო მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში, რაც მას ავალებდა, შეირაღებული ყოფილიყო მსმენელთა დასარწმუნებლად საჭირო ხერხებით. ათენური სასამართლო წარმოების წესი მოქალაქეს ავალდებულებდა თვითონ ეწარმოებინა ძიება, დაცვა, საქმის აღძვრა, მოწმის მოწვევა. მომჩივანი და მოპასუხეც თვითონ უნდა გამოსულიყო სიტყვით. ვექილის გამოყვანა სასამართლო პროცესზე წესი არ იყო. მოგვიანებით სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვას გამოცდილ რიტორს აწერინებდნენ, რომელთაც „ლოგოგრაფოსებს“ (ბერძნ. „ლოგოს“ — სიტყვა, „გრაფოს“ — წერა) ეძახდნენ.

ორატორული ხელოვნების განვითარებაში დიდია სოფისტების წვლილიც. მათი აზრით, ადამიანის ყველა წარმოდგენა შეფარდებითია. პროტაგორა ამბობდა: „ადამიანია ყოველი საგნის საზომი, არსებულთა, რამდენადაც ისინი არსებობენ და არარსებულთა, რამდენადაც ისინი არ არსებობენ“. ამ მოძღვრებამ საგანგებო როლი მიანიჭა რიტორიკულ ხერხებს, რომელთა საშუალებით შეიძლებოდა დამაჯერებლად ლაპარაკი. სოფისტები ასწავლიდნენ თავიანთ მოწაფეებს, თუ როგორ დაესაბუთებინათ ყოველგვარი, თუნდაც მცდარი დებულება.

ანტიკურ საბერძნეთში რიტორიკული პროზის სამი დარგი იყო განვითარებული: სათათბირო-პოლიტიკური, სასამართლო და საზეიმო ან სადღესასწაულო. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო სასამართლო რიტორიკა. ამ დროისათვის ასახელე-

ბენ 10 საუკეთესო ორატორს, რომლებმაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს ორატორული ხელოვნების ისტორიაში. მათ შორისა არიან *გორგია ლეონტიელი, ლისია, ისოკრატე, ესქინე და დემოსთენე.*

გორგია ლეონტიელი (ძვ.წ.აღ. 483—375 წწ.) სიცილიელი ფილოსოფოსი იყო. იგი 429 წელს თანამოქალაქეებმა ათენში ელჩად გამოგზავნეს, რომ სირაკუზის წინააღმდეგ ბრძოლაში მათთვის დახმარება ეთხოვა. სიცილიელი ელჩის სიტყვა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. გორგიას სიტყვის შინაარსზე მეტად მისი ფორმა აინტერესებდა. მთავარი იყო მსმენელის დარწმუნება და არა ჭეშმარიტება. ათენში მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, გორგია მიბაძვის ობიექტი გახდა. იგი ათენში დარჩა და ახალგაზრდებს რიტორიკას ასწავლიდა. „ჭეშმარიტება არ არის არსად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაარწმუნებ. დარწმუნების ხერხები უმთავრესია“, — ამბობდა გორგია, რასაც არ ეთანხმება პლატონი („პროტაგორა“, „გორგია“, „ფედრა“). მისი აზრით, ორატორი ჭეშმარიტების ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, იგი ფილოსოფოსიც უნდა იყოს. პლატონის დიალოგებში გორგია მკვებარა და ტრაბახა ადამიანადაა გამოყვანილი.

ლისია (459-380წწ.) მდიდარი სირაკუზელის შვილი იყო და მთელი ცხოვრება ცდილობდა, ათენის მოქალაქეობის უფლება მოეპოვებინა, მაგრამ ამაოდ. როცა ათენში დემოკრატია ოლიგარქიამ შეცვალა, ლისიას დევნა დაუწყეს, რადგან ის დემოკრატიის აღდგენისთვის მებრძოლთ ემხრობოდა. ამიტომ ლისია იძულებული გახდა, ათენიდან გაქცეულიყო. გაღარიბებულმა ლისიამ ხელი მოჰკიდა ლოგოგრაფოსობას. მან მოიგო სასამართლო თავისი ძმის მკვლელის წინააღმდეგ, რამაც მას სახელი გაუთქვა. ლისიას მიერ სხვებისთვის დაწერილი 425 სიტყვიდან მოაღწია მხოლოდ 34-მა. მის სიტყვებს გამოარჩევს დახვეწილი ანტიკური ენა, თავისუფალი არქაიზმებისა და ნეოლოგიზმებისგან, არართული კონსტრუქციები, დამკვეთის სო-

ციალური და ინტელექტუალური დონის საუკეთესოდ გათვალისწინება.

ისოკრატე (436—338 წწ.) მდიდარი ათენელი იყო, ფლეიტების ფაბრიკის მეპატრონის შვილი. იგი ჯერ ლოგოგრაფოსობდა, შემდეგ კი რიტორიკის სკოლა გახსნა და საკუთარი პროგრამაც შეიმუშავა რიტორთა მოსამზადებლად. ისოკრატე მონარქიის მომხრე იყო. ათენის ძლიერების აღდგენას იგი მაკედონიის დახმარებით ფიქრობდა. როგორც ორატორი, ისოკრატე მაღალი სტილის შემქმნელი და *პროზაული პერიოდის* დამხვეწია. მისი პერიოდები სიმეტრიულია, თანაბარმარცვლიანი, ენა — დახვეწილი. მან დაამკვიდრა ორატორულ სიტყვებში ბრძნული გამონათქვამების, აპოფთეგმების, გამოყენება (მაგალითად, ისოკრატეს ნათქვამია: „აღზრდის ძირი მწარეა, ნაყოფი ტკბილი“). მოღწეულია მისი 21 სიტყვა და 9 წერილი შეთხზული რიტორიკულ-პედაგოგიური მიზნით, სავარჯიშოდ.

დემოსთენე (384—322 წწ.) პოლიტიკური რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევა. იგი მდიდარი ათენელის შვილი იყო. 7 წლის დემოსთენეს მამა გარდაეცვალა და ქონება მეურვეებმა წაართვეს. სრულწლოვანმა დემოსთენემ საქმე აღძრა და მოიგო კიდევაც, რადგან კარგი რიტორიკული სკოლა ჰქონდა გავლილი. მართალია, დემოსთენეს ჰქონდა მეტყველების ნაკლი, მაგრამ მისი დაძლევა შეძლო და ჩინებული ორატორი დადგა (დემოსთენე ჩიფჩიფით ლაპარაკობდა, გამოსასწორებლად ბევრს ვარჯიშობდა, გამოქვაბულში იკეტებოდა, ქალაქში გასვლის შესაძლებლობა რომ არ ჰქონოდა და მთელი დრო მეტყველების დასახვეწი ვარჯიშებისთვის დაეთმო, თავს ნახევრად იპარსავდა; პირში კენჭებს იყრიდა და ისე ამბობდა ლექსებს, ხმას იმაგრებდა ციცაბო აღმართზე ასვლისას ჰომეროსოს პოემებიდან ნაწყვეტების ხმამაღლა წარმოთქმით და ა.შ.).

თავისი მოღვაწეობა დემოსთენემ ლოგოგრაფოსობით დაიწყო, მაგრამ მალე პოლიტიკაში ჩაერთო. ათენს მაკედონია

დაემუქრა. დემოსთენე ანტიმაკედონიურ პარტიას ჩაუდგა სა-
თავეში, მაკედონიურს მეორე ცნობილი ორატორი, ისოკრატე,
მეთაურობდა. დემოსთენეს მთავარი პრინციპი იყო: პატრი-
ოტიზმი, დემოკრატია და თავისუფლება. მაკედონიის მეფის,
ფილიპეს, წინააღმდეგ მან აგორაზე წარმოთქვა რამდენიმე
სიტყვა, რომელსაც „ფილიპიკები“ ეწოდება. ფილიპეს სიკ-
ვდილის შემდეგ მან ალექსანდრეს წინააღმდეგ გააგრძელა
„სიტყვით ბრძოლა“. (ამ სიტყვებსაც „ფილიპიკები“ ჰქვია), ათ-
ენში ალექსანდრეს შემოსვლამდე დემოსთენე ათენიდან გაიქცა.
ალექსანდრემ ათენელებისაგან ერთ-ერთ პირობად სწორედ
დემოსთენეს გადაცემა მოითხოვა. დევნილმა დემოსთენემ,
მტრებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, მონამლული ლერწმის
კალამი დალექა და თავი მოიკლა. მის საფლავზე ბერძნებმა
ასეთი ეპიტაფია ამოკვეთეს: „როგორი გონიერიც იყავი, ისეთი
ლონიერიც რომ ყოფილიყავ, შენ, დემოსთენე, მაშინ ელადას
მაკედონიის ომის ღმერთი ვერ დაიპყრობდა“.

დემოსთენეს „ფილიპიკები“ მიჩნეულია ორატორული
ხელოვნების შედევრებად („ფილიპიკები“ თარგმანილია ქარ-
თულადაც. მთარგმელი გ. სარიშვილი). მის სიტყვებში გამო-
ყენებულია დარწმუნების, დასაბუთების ხერხები,
დაპირისპირება, რიტორიკული შეკითხვები. მაგრამ, როგორც
აღნიშნავენ, დანერილი „ფილიპიკები“ მხოლოდ სუსტი ანარეკ-
ლია ზეპირად წარმოთქმულისა.

დემოსთენეს საუკეთესო ორატორად მიიჩნევა ციცერონი.
თავის პოლემიკურ სიტყვებსაც ანტონიუსის წინააღმდეგ მან
„ფილიპიკები“ უწოდა.

ორატორული ხელოვნების ანტიკური თეორიები. ორა-
ტორული ხელოვნების ანტიკური თეორიტიკოსები და თვითონ
ორატორებიც მჭევრმეტყველებაში განსაკუთრებულ
ყურადღებას აქცევდნენ ორ მხარეს — შინაარსსა და ფორმას.
მათი აზრით, ორატორული ხელოვნების არსებითი მხარეებია:

- ღირსშესანიშნავი შინაარსი;

- კაზმული ფორმა;
- დამარწმუნებელი აზრი;
- გამომეტყველებითი შესრულება.

მაგრამ ამათგან უმთავრესი მანც შინაარსობრივი მხარეა. მაგალითად, პლატონი „გორგიაში“ კიცხავს ორატორული ხელოვნების იმგვარ გაგებას, რომლის მიხედვით მთავარია გარეგნული მხატვრულობა სიტყვისა, რომელიც არ უპასუხებს საქმის არსს და მხედველობიდან ეპარება მთავარი და არსებითი. ორატორი არ უნდა აღვიქვათ, როგორც მხოლოდ „ლამაზად და მიმზიდველად მოლაპარაკე ადამიანი. გარეგნული სილამაზე, რომელიც ასე ატყვევებს ზოგიერთებს, თავისთავად არაფრის შემცველია“. ფუჭია მჭევრმეტყველება, თუ ის ემსახურება მხოლოდ სიამოვნებას, გართობას. პლატონის აზრით, ორატორმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

- სიტყვის წარმოთქმის დროს ორატორმა უნდა გადასდოს მსმენელებს თავისი შინაგანი მღელვარება. ამით ჩვეულებრივი მეტყველება ამაღლდება ორატორულ სიტყვამდე. მისი აღელვება გამონვეული უნდა იყოს ორატორისათვის ცნობილი და აუდიტორიისათვის ჯერ უცნობი მოსალოდნელი საშიშროებით ან სასიხარულო ამბით.
- ორატორი უნდა წარდგეს ხალხის წინაშე, ე.ი. მის სიტყვას უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი, საჯარო ხასიათი და გაითვალისწინოს თავისი სიტყვის აგებისას მსმენელთა პოზიცია.
- ორატორმა უნდა გადასცეს მსმენელებს მოცემულ შემთხვევაში აუდიტორიისთვის განსაკუთრებულად საჭირო, სასარგებლო, აუცილებელი ინფორმაცია. ის, რაზეც ლაპარაკობს ორატორი, აქტუალური თემა უნდა იყოს.
- ორატორს უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფვის თვითონ და რომლისკენაც უნდა, რომ წარმართოს მსმენელები. ორატორისთვის მთავარია, დაარწმუნ-

ნოს აუდიტორია, განაწყოს ხალხი თავის სასარგებლოდ, დაანახვოს ის, რასაც ვერ ხედავს საზოგადოება და ხედავს ორატორი.

- ორატორს უნდა ამოდრავებდეს სიკეთისა და საზოგადოებრივი ბედნიერებისთვის ზრუნვა.

ანტიკურ თეორიებში, მათ შორის პლატონის ნააზრევში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თვით ორატორის პიროვნულ ღირსებებს. ის უნდა იყოს დახვეწილი პიროვნება, კეთილშობილი და ზნეობრივი ადამიანი.

ძველი ორატორები მიუთითებენ ორატორის სამ მოვალეობაზე: **Docere, Delectare, Movere** — ასწავლე, მოაწონე, ააღელვე. ორატორის მთავარი მოვალეობაა დამოძღვრა, შთაგონება, სწავლება (Docere). ამ მიზნის მისაღწევად არის სწორედ საჭირო მონონება და აღელვება.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ რიტორთა მტკიცებით, მთავარია შინაარსი, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ შინაარსის გადმოცემის ფორმას, გამომსახველობით საშუალებებს, კერძოდ იმას, თუ როგორ მიენოდება მსმენელს ის სათქმელი, რაც, ორატორის აზრით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია. **რა? და როგორ?** — აი, ის ორი მხარე, რაც განსაზღვრავს ორატორული ხელოვნების არსს. **რა** — ესაა შინაარსი, აზრი, იდეა, სათქმელი, რომელშიც უნდა დაარწმუნოს ორატორმა მსმენელი (Docere), **როგორ** — ეს არის გამოხატვის საშუალება, ფორმა, რითაც ორატორმა უნდა შეძლოს მიზნის მიღწევა (დარწმუნება), ე.ი. მან ისე უნდა ააგოს სიტყვა, რომ მოეწონოს (Delectare) მსმენელს, განაწყოს ის მისთვის სასურველი აზრის მისაღებად და მოძრაობაში მოიყვანოს (Movere) იმ იდეის ხორშესასხმელად, რომელსაც ქადაგებს. ამისთვის საჭიროა რამდენიმე პირობის დაცვა.

- შეირჩეს სიტყვის თქმის დრო;
- შეირჩეს სიტყვის თქმის ადგილი;

- ორატორი უნდა იყოს ძლიერ აღელვებულ მდგომარეობაში, მაშინ ის თავისი საქმის შესახებ ვერ ილაპარაკებს დუნედ და მოსაწყენად. ის შთაგონებული უნდა იყოს, ე.ი. სიტყვა უნდა იყოს პათეტიკური (ბერძნ. „პათოს“—ვნება). პათოსის გარეშე ნარმოუდგენელია ორატორული მეტყველება.
- ორატორის სტილი უნდა იყოს დახვეწილი, მკაფიო, ნათელი. როცა მეტყველება ბუნდოვანია, ის ვერ აღწევს მიზანს. სტილი უნდა შეესატყვისებოდეს საუბრის საგანს.
- მსმენელზე ზემოქმედებისთვის ორატორმა უნდა გამოიყენოს ყველანაირი საშუალება: ყესტი, მიმიკა, პაუზა, რეპლიკა, ხმის ქცევა (ინტონაცია) და ა.შ.

პლატონის აზრით, ორატორის სიტყვამ მსმენელის სული მოძრაობაში უნდა მოიყვანოს („გორგია“).

არისტოტელეს „რიტორიკა“. განსაკუთრებულ ყურადღებას ორატორული ხელოვნებას საკითხებს უთმობს არისტოტელე, რომელმაც ამ საკითხებს საგანგებო ტრაქტატი უძღვნა. მისი „რიტორიკა“ ორატორული ხელოვნების თეორიული პრინციპების განმსაზღვრელი ნაშრომია, რომელშიც არისტოტელე იზიარებს რა წინამორბედ რიტორთა მოსაზრებებს, ხაზს უსვამს შინაარსობრივი მხარის მნიშვნელობას და, ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფორმასაც, კერძოდ, სტილის საკითხს.

მისი აზრით, ორატორმა ზედმინევნით კარგად უნდა იცოდეს მშობლიური ენა.

არისტოტელეს მიხედვით, სტილს განსაზღვრავს თვით სიტყვის ხასიათი, შინაარსი. სტილი უნდა შეესატყვისებოდეს გამოსახატავ საგანს. უმნიშვნელო თემებზე არ შეიძლება ეისაუბროთ ამალღებულად, საზეიმოდ, მათ დასახასიათებლად არ უნდა გამოვიყენოთ შემამკობელი ეპითეტები. წინააღმდეგ შემთხვევაში სტილი ხდება კომიკური.

ორატორის მეტყველება, არისტოტელეს აზრით, პათეტიკური უნდა იყოს. „მსმენელი მუდამ თანაუგრძნობს გრძნობით მეტყველ ორატორს, მაშინაც კი, თუ ის არაფერს ამბობს მნიშვნელოვანს“.

სტილის გამართვისას არისტოტელე დიდ ყურადღებას აქცევს რიტმს. მისი აზრით, რიტმს მოკლებულ სტილს აქვს დაუმთავრებელის სახე. ყოველივე დაუსრულებელი კი უსიამოვნოა (ეს მოსაზრება, არისტოტელეს აზრით, ესთეტიკის უმთავრესი დებულებაა), მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო. სიტყვა არ უნდა იყოს თავიდან ბოლომდე მკაცრად რიტმული, თორემ ის ერთფეროვანი იქნება და მოადუნებს მსმენელს.

არისტოტელე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროზაული პერიოდის სისრულეს. პერიოდი უნდა შეიცავდეს დასრულებულ აზრს და არ უნდა იყოს განყვეტილი. პერიოდი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე კოლონისაგან, რომლებიც არ უნდა იყოს არც მეტად გრძელი და არც მეტად მოკლე. მოკლე ფრაზა შეაფერხებს მსმენელის მიერ ორატორული სიტყვის აღქმას, ხოლო გრძელი პერიოდი — ჩამოარჩენს.

არისტოტელეს შეხედულებით, ორატორული სიტყვის აგების მთავარი პრინციპი უნდა იყოს ანტითეზური. ანტითეზა, დაპირისპირება ადვილი გასაგებია, სასიამოვნო მოსამენია, ნათელია. „დაპირისპირება მიმზიდველი მეტყველების აუცილებელი პირობაა“, — წერდა არისტოტელე. ამასთან ერთად ის დიდ ყურადღებას აქცევს თვალსაჩინოებას და მეტყველების დინამიკურობას.

არისტოტელე ეხება ორატორული სიტყვის აგების კონკრეტულ ხერხებსაც. სიტყვა ისე უნდა აიგოს, რომ გათვალისწინებული იყოს მოულოდნელობის ეფექტი. მიმზიდველია, როდესაც საქმე გვაქვს სიტყვის „მოულოდნელ მობრუნებასთან“, მსმენელის ერთგვარ „მოტყუებასთან“, როცა იგი ელის ერთს და ეუბნებით მეორეს. ამით იქმნება ეფექტურობა.

არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჯარო გა-

მოსვლის ყოველგვარ სახეობას თავისი სტილი გააჩნია. პო-
ლემიკური სიტყვის სტილი განსხვავდება პოლიტიკური ან სა-
სამართლოში წარმოთქმული სიტყვისაგან. კამათის დროს წარ-
მოთქმული სიტყვა გარკვეულწილად აქტიორულია.

თუ შევადარებთ დაწერილსა და ზეპირად წარმოთქმულ
სიტყვებს, ისინი აშკარად განსხვავდებიან. ზეპირად წარ-
მოთქმული სიტყვის სცენიურობა იკარგება მისი წაკითხვისას.
მაგალითად, უკავშიროდ შეერთებული ფრაზები ან განმეორება
დაწერილ ტექსტში ეფექტს არ ქმნის, ხოლო ზეპირად წარ-
მოთქმისას კი მეტად შთამბეჭდავია. განმეორებისას საჭიროა
ინტონაციის გამოცვლა, დეკლამაცია და სხვ.

მარკუს ტულიუს ციცერონი. ძვ. წ. აღრიცხვის I საუკუნის
დიდი რომაული ორატორი ციცერონი, გარდა პრაქტიკული
ორატორული მოღვაწეობისა, რითიც მან დიდი სახელი მოიხ-
ვეჭა რომში, ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსიც იყო.
თავის თხზულებაში „ბრუტუსი ან დიდებულ ორატორთა შეს-
ახებ“, ის აყალიბებს რიტორიკის ძირითად პრინციპებს.

- ციცერონის აზრით, მჭევრმეტყველია ის, ვინც სა-
ჯარო გამოსვლისას თავისი სიტყვით მსმენელს
მიანიჭებს ტკბობას და დაარწმუნებს მას.
- არაფერია იმაზე ძნელი, მიხვდე, რა არის დროული.
- ჭემარატი ორატორია ის, ვისაც შეუძლია
ჩვეულებრივი ამბის შესახებ ილაპარაკოს უბრალოდ,
დიადის შესახებ — ამალღებულად, საშუალოს შესახებ
— საშუალო სტილით.
- საუკეთესო ორატორი ისაა, ვინც თავისი სიტყვით
მსმენელს ასწავლის, ანიჭებს სიამოვნებას და ახდენს
მასზე დიდ შთაბეჭდილებას (Docere, Delectare, Movere)
- ასწავლო — მოვალეობაა ორატორისა (Docere).
- მიანიჭო სიამოვნება — ეს პატივია (Delectare), რომელ-
საც გაიღებ მისთვის.

- მოახდინო ძლიერი შთაბეჭდილება — ეს კი აუცილებელია (Movere).

მჭევრმეტყველების საფუძველთა საფუძველად ციციერონს მიაჩნია იმ ენის ღრმა და საფუძველიანი ცოდნა, რომელზედაც ლაპარაკობს ორატორი. კარგი მეტყველება გულისხმობს არა მარტო სიტყვათა მარაგის ცოდნას და გრამატიკული ფორმების სწორ შერჩევას (ბრუნვის, რიცხვის, დროის, გვარის და ა.შ.), არამედ მეტყველების ორგანოების სწორად წარმართვასაც — სუნთქვისა და ხმის რეგულირებას. ცნობილია, თუ როგორ დიდხანს მუშაობდა თვითონ ციციერონი ამ მხრივ. ხმა ძლიერი, მაგრამ ტლანქი ჰქონდა, დაუხვეწელი. ორატორული ხელოვნების სრულყოფილად დასაუფლებლად იგი ათენში წავიდა, სუსტი სხეული გაიკაჟა, დაულალავი შრომით ხმაც დაიხვეწა, მოსასმენად საამო გახადა, დიდხანს და ბევრს ვარჯიშობდა. ათენში ის ცნობილი რიტორის აპოლონიოსის მონაფე იყო. ერთხელ, ბერძნულად წარმოთქმული სავარჯიშო სიტყვის შემდეგ, ციციერონი მსმენელებმა დიდი ტაშით დააჯილდოვეს. მარტო აპოლონიოსი დუმდა. ბოლოს დაფიქრებულმა მიმართა მას: „მე, ციციერონო, გაოცებული ვარ შენი ხელოვნებით და გაქებ, მაგრამ ელადის ბედს დავტირი. აშკარად ვხედავ, რომ შენი წყალობით რომაელთა ხელში გადადის განათლება და მჭევრმეტყველებაც — ეს ერთადერთი უპირატესობა, რაც დღესდღეობით შემოგვრჩა მრავალ მშვენიერებათაგან“.

მომხიბლავი მეტყველება დიდ დახმარებას უწევდა ციციერონს მსმენელის დარწმუნებაში. არ მომწონსო, — ამბობს დიდი ორატორი, — როცა ბგერებს წარმოითქვამენ მეტისმეტი ხაზგასმით ან ბუნდოვნად, გაუგებრად, ან სუსტი, მომაკვდავი ხმით, ან ზედმეტი ხმაურით. ის ორატორები, რომლებიც ხმამაღალი ყვირილით ცდილობენ ფონს გასვლას, ციციერონის აზრით, დასაცინნი არიან. ისინი უძღურების გამო ისევე ცდილობენ გავიდნენ ფონს ყვირილით, როგორც კოჭლი ადამიანი ცხენის დახმარებით.

არისტოტელეს მსგავსად, ციცერონიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ორატორული სიტყვის რიტმულობას. რიტმულობა დაცული უნდა იყოს ორატორული სიტყვის ცალკეულ მონაკვეთებში. რიტმულად მიიჩნევენ ყველა სიტყვას, რომელიც მიედინება სწორად და მწყობრად, შეფერხებისა და მერყეობის გარეშე. რიტმულად ითვლება არა ისეთი ორატორული სიტყვა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია რიტმზე, არამედ ის, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდება რიტმს. ამიტომ რიტორიკული მეტყველება უფრო ძნელია, ვიდრე ლექსის წერა, სადაც ეს წესები დადგენილია, ორატორულ სიტყვაში კი არაფერია წინასწარ განსაზღვრული, გარდა იმისა, რომ ის არ უნდა იყოს უფორმო, უწესრიგო. რიტმული უნდა იყოს უმეტესად ბოლო, დასკვნითი ნაწილი სიტყვისა, ფრაზის დაბოლოება, თუმცა არა მხოლოდ ის. მკაცრად ორგანიზებული უნდა იყო მთელი სიტყვა.

ციცერონის აზრით, რიტმული მეტყველება უნდა გამოვიყენოთ უპირატესად მაშინ, როდესაც რამეს ვაქებთ, განვადიდებთ, ან საზეიმო განწყობილების შექმნას ვცდილობთ.

როგორც ვხედავთ, ანტიკური ეპოქის მოაზროვენი წამყვან ფაქტორად მიიჩნევენ ორატორული სიტყვის შინაარსს, ამავე დროს, არანაკლები სერიოზულობით მსჯელობენ სიტყვის ფორმალურ მხარეზე, იმ გამომსახველობით საშუალებებზე, რომლებიც მსმენელს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ანტიკურ მჭერმეტყველებას ჰქონდა დიდი ავტორიტეტი და გამოცდილება სიტყვით ხალხზე ზემოქმედებისა. ძველ საბერძნეთშიც და რომშიც სიტყვის თქმის ხელოვნება ერთ-ერთი დანიანაურებული და კარგად განვითარებული დარგი იყო. ამ საქმეს ემსახურებოდა ანტიკური რიტორიკა თავისი თეორიებითა და სკოლებით. ძველი ბერძნები და რომაელები ამყობდნენ სახელოვანი ორატორებით და რიტორებით.

ორატორული ხელოვნება წარმატებით ვითარდებოდა ელინისტურ ხანაშიც. ამ დროს მოღვაწე რიტორთა შორის საუკეთესოდ მიიჩნევიან თემისტოხოსი და ლიბანიოსი მაგჰან საჭარო-

ველოში ორატორული ხელოვნების ისტორიის წარმოსაჩენად განსაკუთრებით აღსანიშნავია თემისტიოსის მოღვაწეობა, რომელსაც, როგორც მისი ერთ-ერთი სიტყვიდან ჩანს, IV საუკუნის შუა წლებში კოლხეთში, დღევანდელი ფოთის მახლობლად, ფაზისის სახელგანთქმულ რიტორიკულ სკოლაში მიუღია განათლება. ფაზისის რიტორიკულმა სკოლამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ორატორული ხელოვნების განვითარებას. ამაზე მეტყველებს კოლხეთის მეფის, გუბაზის, წარჩინებული კოლხი ორატორების, აიეტისა და ფარტაზის, სიტყვები, რომლებიც აღიარებულია ქართული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებად.

ბიზანტიურ ეპოქაში ორატორული სიტყვა ქრისტიანულ ქადაგებად სახეცვლილი აგრძელებს არსებობას, შეიძლება ითქვას, რომ ჰომილეტიკა ქრისტიანული ეპოქის ორატორული ხელოვნებაა. ახალ პირობებში, ახალი იდეოლოგიით, ახალი ფორმითა და შინაარსით აღჭურვილი მქადაგებლის სიტყვა (ჰომილია) დიდხანს ვერ წყვეტს კავშირს თავის წინამორბედ ლიტერატურულ უნართან (რიტორიკულ პროზასთან). შემთხვევითი არაა, რომ ჰომილეტიკის უდიდესი წარმომადგენლები, დიდი მქადაგებლები: იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი წარმართი ბერძენი ლიბანიოსის მონაფეები იყვნენ. ცნობილია, თუ როგორი გულისხმიერებით ისმენდა ოქროპირი ლიბანიოსის ლექციებს ორატორული ხელოვნების შესახებ. მთელს საბერძნეთში განთქმული მჭევრმეტყველების მასწავლებელი იოანეს თავის მემკვიდრედ ამზადებდა, მაგრამ „მე იგი ქრისტიანებმა წამართვესო“, — დანანებით ამბობდა თურმე მასზე. ცნობილია, ისიც, თუ როგორი გულმოდგინებით სწავლობდნენ ოქროპირი და მისი მომდევნო პერიოდის მქადაგებლები არისტოტელესა და კინტილიანეს მოძღვრებას ორატორული ხელოვნების შესახებ ან დემოსთენესა და ციცერონის მჭევრმეტყველების ნიმუშებს.

ორატორი. სიტყვა. აუდიტორია.

საჯარო გამოსვლა. საჯარო გამოსვლის ძირითადი სახეები. მონოლოგი, დიალოგი, ფიქტიური დიალოგი. მონოლოგის ფორმები: ლექცია, მოხსენება, სიტყვა. აუდიტორიასთან კონტაქტი. აუდიტორიაზე ზემოქმედების ძირითადი ხერხები. აუდიტორიის შეფასება, მისი ყურადღების მიპყრობა

ნებისმიერ ორატორს, რომელმაც სიტყვა უნდა წარმოთქვას, რასაკვირველია, უჩნდება სურვილი, რომ მის გამოსვლას, რაც შეიძლება მეტი მსმენელი ესწრებოდეს.

ყოველი საჯარო გამოსვლისთვის მომზადება იწყება თემის ფორმულირებით. რატომღაც გავრცელებულია მოსაზრება, რომ, რაც უფრო „ბრძნულად“ უღერს თემის სათაური, მით უფრო სოლიდურია ლექტორი. ეს მცდარი შეხედულებაა. სინამდვილეში რაც უფრო გასაგებად, მარტივად და ლაკონიურად არის ჩამოყალიბებული ლექციის სათაური, მით მეტ მსმენელს მიიზიდავს იგი.

სპეციალისტის გარდა, ვინ მივა ლექციის მოსასმენად, რომლის სათაურია „დინამიკური კითხვის, როგორც ფსიქოლოგიური პროცესის ზოგიერთი ასპექტი“, ან „ფოტოსინთეზი და ბიოქიმიური პროცესები ოთახის მცენარეების ცხოვრებაში“? ხოლო თუ ამ მოხსენებებს დავასათაურებთ ასე: „როგორ ვისწავლოთ 100 გვერდის წაკითხვა ერთ საათში?“ ან „გინდათ, რომ თქვენს ოთახში მცენარეები აყვავდნენ?“ მსმენელი საკმაოდ ბევრი გეყოლებათ.

საჯარო გამოსვლის წინ აუცილებლად უნდა განსაზღვროთ გამოსვლის ფორმა. ეს შეიძლება იყოს მონოლოგი, (ბერძ. „მონო“ — ერთი, „ლოგოს“ — სიტყვა, საუბარი), სადაც მხოლოდ ორატორი ლაპარაკობს. მონოლოგი ყველაზე უკეთესი

ფორმაა ლექციისათვის. დიალოგში (ბერძნ. „დიალოგოს“— მეტყველება გავლით), ჭეშმარიტების დადგენა ხდება ორი ან მეტი მოსაუბრის მიერ. დიალოგის დროს მსმენელები კითხვებს უსვამენ, ზოგჯერ ეკამათებიან კიდევ გამომსვლელს. არსებობს ე.წ. ფიქტიური დიალოგიც, როცა ორატორი თავის თავს უსვამს შეკითხვას (ვითომ ამ კითხვას მსმენელები სვამენ) და თვითონვე უპასუხებს მათ. მაგალითად: *„თქვენ შეიძლება მკითხოთ: „რაში გეჭირდება ორატორული ხელოვნება? ბევრი მშვენივრად ცხოვრობს მის გარეშე“. მე ვიპასუხებთ: „თუ არ გეცოდინებათ ორატორული ხელოვნების წესები და კანონები, თუ არ გექნებათ ორატორული უნარ-ჩვევები, თქვენ ძნელად მიაღწევთ წარმატებას ცხოვრებაში“. განსაკუთრებით აბეზარი მსმენელი განაცხადებს: „აი, მე 50 წელი ვიცხოვრე ორატორული ხელოვნების გარეშე და, როგორც ხედავთ, არაფერი დამკლებია“. მე მას ვუპასუხებ, რომ არც არაფერი მომატებია. მართლაც, არაფერია კარგი იმაში, რომ კაცმა 50 წელი იცხოვრა და მშობლიური ენის სიღრმეს ვერ ჩასწვდა და მისი სილამაზე ვერ შეიციწო“.*

ასეთი დიალოგი საკუთარ თავთან, ანუ ფიქტიური დიალოგი, შეიძლება გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ორატორი საჭიროდ ჩათვლის.

საჯარო გამოსვლებში ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება მონოლოგის ფორმა. მისი ნაირსახეობებია: **ლექცია, მოხსენება, სიტყვა და თხრობა.**

ლექცია — ეს არის არგუმენტების მოშველიებით ცოდნის სისტემური გადმოცემა. იგი, ჩვეულებრივ, 45-60 წუთს გრძელდება. ლექცია შეიძლება იყოს ერთჯერადი და გაიმართოს რომელიმე ორგანიზაციაში ან ლექტორიუმში. სასწავლო დაწესებულებებში კითხულობენ **სალექციო კურსებს**, რომლებშიც ლექციები გაერთიანებულია იმ მიზნით, რომ მსმენელებმა აითვისონ ესა თუ ის მასალა ან დისციპლინა.

უფრო რთულია ერთჯერადი საჯარო ლექციის წაკითხვა,

რადგან ამ დროს უცნობი აუდიტორის წინაშე გინევთ გამოსვლა და იქ შეკრებილი საზოგადოების რეაქცია თქვენს გამოსვლაზე შეიძლება წინასწარ ვერ განჭვრიტოთ.

მოსხენება არის სამეცნიერო კონფერენციაზე, კრებაზე ან თათბირზე საჯარო გამოსვლის ფორმა. მისი გამოყენება შეიძლება, მაგალითად, დანესებულების საერთო კრებაზე, როცა უნდა შეაჯამოთ შესრულებული სამუშაო. მოხსენებით შეიძლება წარდგეთ სამეცნიერო საზოგადოების წინაშე და განიხილოთ რაიმე მეცნიერული პრობლემა.

სიტყვა არის საჯარო გამოსვლის ფორმა, რომელსაც ძირითადად საპროგრამო ხასიათი აქვს. ამ ტიპის გამოსვლის მიზნებიდან გამომდინარე, სიტყვა შეიძლება იყოს პოლიტიკური, სააგიტაციო, მიტინგისათვის განკუთვნილი.

პოლიტიკური სიტყვა შეიძლება წარმოთქვას პარტიის ლიდერმა და მასში წარმოადგინოს პარტიის პროგრამა, სააგიტაციო სიტყვა — რომელიმე საზოგადოების წარმომადგენელმა და მასში განიხილოს კერძო საკითხები. მაგალითად, მოუწოდოს ხალხს, მხარი დაუჭიროს ამა თუ იმ საკითხის რეფერენდუმზე გატანას, **სამიტინგო სიტყვაში** კი შეიძლება წამოჭრილი იყოს საზოგადოების საჭირობოროტო პრობლემები (ეკოლოგიური კატასტროფა, დაბალი ხელფასები და ა.შ.).

აუდიტორიასთან კონტაქტი

კომუნიკაციის ტიპური მოდელი ოთხი ელემენტისაგან შედგება:

- ინფორმაციის გადამცემი (ორატორი);
- ინფორმაცია (სიტყვა);
- ინფორმაციის მიმღები (მსმენელი);
- უკურეაქცია

საჯარო გამოსვლის წარმატებას განაპირობებს თითოეული მათგანი. იმისათვის, რომ აქტიური ზემოქმედება მოახდინოთ

აუდიტორიაზე, შეეცადეთ შეძლებისდაგვარად წინასწარ დააზუსტოთ:

- აუდიტორიის სოციალური შემადგენლობა, ასაკი, სქესი, განათლება, ლექციაზე მოსვლის მოტივი.
- აუდიტორიის დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ.
- აუდიტორიის დამოკიდებულება ლექტორის მიმართ.

ბუნებრივია, იმ მსმენელთან მუშაობა, რომელიც მოუთმენლად გელოდებათ, ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე უცნობ ან მტრულად განწყობილ აუდიტორიასთან. ლექციის დაწყების წინ მობილიზებული უნდა იყოთ, უნდა მოიკრიბოთ ძალ-ღონე, რათა არა მარტო თქვენ განეწყობთ აუდიტორიის მიმართ, არამედ აუდიტორიაც განაწყობთ თქვენ მიმართ.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, საჯარო გამოსვლას შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციული ან დამარწმუნებელი ხასიათი. არ არის გამორიცხული ერთ გამოსვლაში მათი მონაცვლეობაც შეგვხვდეს.

მეტად მნიშვნელოვანია, გამოიყენოთ ობიექტური, შემონმებული ინფორმაცია. გამომსვლელის არგუმენტებს მსმენელი ხშირად კრიტიკულად აფასებს. ზოგჯერ ლექციაზე ისინი მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ ლექტორს ეკამათონ. თუ აუდიტორია არ ეთანხმება თქვენს დასკვნებს და ვერ შეიძლება მის დარწმუნებას თქვენს სიმართლეში, დარბაზი შეიძლება აყვირდეს, ატყდეს სტვენა, ფეხების ბრახუნი ან საზოგადოებამ თავისი უკმაყოფილების გამოხატვის სხვა საშუალებებს მიმართოს. ორატორი უნდა შეეცადოს, როგორმე გაანეიტრალოს აუდიტორიის უარყოფითი განწყობილება.

გარდა იმისა, რომ ორატორმა ზედმინეწით უნდა შეარჩიოს ფაქტები და არგუმენტები, მან უნდა გამოიყენოს შთაგონების ეფექტიც. ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ ორატორი ითვალისწინებს მსმენელთა განწყობას, მენტალიტეტს და ზემოქმედებას ახდენს არა მარტო მათ გონებაზე, არამედ გრძნობებზეც.

გამომსვლელს უნდა შეეძლოს ემოციურად მიანოდოს მსმენელს ტექსტი: მიმიკა, განსხვავებული და გამომსახველობითი ინტონაციები მის ურთიერთობას აუდიტორიასთან უფრო ცოცხალს გახდის, რაც ხელს შეუწყობს ორატორისა და აუდიტორიის დაახლოებას.

ლექციისათვის მომზადების დროს უნდა შეადგინოთ გამოსვლის კონსპექტი, რომელშიც, ჩვეულებრივ, მარცხნივ წერენ ლექციის დანვრილებით გეგმას, მარჯვნივ — თეზისებს, ციტატებსა და მაგალითებს. კარგი იქნება, თუ ტექსტურ მასალაში გააკეთებთ აღნიშვნებს, სად უნდა შეცვალოთ ხმის ინტონაცია ან სიმალლე, სად გააკეთოთ დიდი და მცირე პაუზები.

გამოსვლის მომზადების დროს აუცილებლად უნდა გამოიყენოთ:

- ცნობილი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც განსახილველი თემის შესახებ წერდნენ.
- სამეცნიერო ჟურნალებისა თუ მასობრივი გამოცემების პუბლიკაციები.
- თქვენ მიერ დაგროვილი ცოდნა.
- ამ სფეროში მოღვაწე ცნობილ ადამიანებთან თქვენი პირადი კონტაქტები.

ეპოქაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საოცარი სისწრაფით იცვლება ყველაფერი. რაც გუშინ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, დღეს შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. ამიტომ, როცა თქვენ ცოდნის ამა თუ იმ სფეროს პროპაგანდას ეწევით, მუდამ საქმის კურსში უნდა იყოთ, უნდა იცოდეთ, რა ხდება ახალი, რა შეიცვალა და ამის შესაბამისად კორექტივები შეიტანოთ თქვენს ცოდნაშიც და იმ ტექსტშიც, რომლითაც აპირებთ საჯარო გამოსვლას. მოძველებული, „არქაული“ ინფორმაცია მსმენელს ძალიან გააღიზიანებს.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ ლექცია არ არის სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ციტატების კრებული. იგი ორიგი-

ნალური, თქვენ მიერ შექმნილი შემოქმედებითი შრომის შედეგია.

გამოსვლა აგებული უნდა იყოს ლოგიკის, ანუ სწორი აზროვნების, კანონების გათვალისწინებით. ეს ეხება როგორც ფაქტობრივი მასალის შეკრებას, ასევე მსმენელისათვის გათვალისწინებული ტექსტის აგებას.

ორატორული სიტყვის არქიტექტონიკა

საჯარო სიტყვის შესავალი. ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია. ეს საჯარო გამოსვლაზეც შეიძლება ვთქვათ. შესავალს ძალიან დიდი დატვირთვა აქვს. მან უნდა შექმნას ორატორის და მსმენელის ურთიერთდინამიკურების ატმოსფერო, უნდა უზრუნველყოს, რომ ისინი კეთილად განეწყონ ერთმანეთის მიმართ, მსმენელს გაუღვივოს ინტერესი და ნდობა გამომსვლელისადმი.

შინაარსის თვალსაზრისით ნებისმიერი გამოსვლის დასაწყისი არის თემის შესავალი. მასში წარმოჩენილი უნდა იყოს იმ მასალის მიზანი, ამოცანები და ხასიათი, რომელსაც ეხება საჯარო გამოსვლა (ლექცია, სიტყვა, რეპლიკა, ზეპირი დისკუსია). ამიტომ შესავალი ნებისმიერი გამოსვლის საერთო კომპოზიციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. იგი არ უნდა იყოს ზედმეტად გაჭიმული. შესავლის ამოცანაა, მაქსიმალურად მიუახლოვოს მსმენელი მოხსენების ძირითად ნაწილს. თუმცა, აუდიტორიასთან კონტაქტის თვალსაზრისით შესავალს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დატვირთვა ენიჭება. თუ ამ კონტაქტის დამყარება მოახერხეთ, საჯარო გამოსვლა წარმატებული იქნება, თუ არა — წარმატების იმედი ნაკლებად უნდა გქონდეთ.

აუდიტორიასთან კონტაქტი ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ორატორის პირადი თვისებებიც (მისი ცოდნა, საჯარო გამოსვლების გა-

მოცდილება, ტემპერამენტი, პირადი მომხიბვლელობა, საზრიანობა, თავისი თავის ფლობის უნარი). გახსოვდეთ, რომ გამოსვლის დასაწყისი გულისხმობს დიალოგისთვის მზადებას მაშინაც კი, როცა ლაპარაკობს მხოლოდ ორატორი. ამიტომ შესავეალზე მუშაობისას ზუსტად უნდა წარმოიდგინოთ, რა ფორმის ურთიერთობა გექნებათ აუდიტორიასთან.

მიტინგზე წარმოსათქმელ სიტყვას სხვა მიზნები აქვს, საგანმანათლებლო ლექციას — სხვა; შესაბამისად, მათ შესავეალიც განსხვავებული უნდა ჰქონდეთ. მიტინგზე წარმოსათქმელი სიტყვა, მისი ამოცანებიდან გამომდინარე, არის მონოდება მოქმედებისაკენ. ამ ამოცანის უზრუნველყოფა უნდა მოახერხოს ორატორული სიტყვის ენერგიულმა, მხურვალე დასაწყისმა. სასწავლო ლექცია გამიზნულია ამა თუ იმ დისციპლინის შესასწავლად და მისი დაწყება ჯობია ისე, რომ იგი ლოგიკურად ებმოდეს და აგრძელებდეს იმ მასალას, რაც წინა ლექციაზე იქნა განხილული.

დამატებითი სირთულეების წინაშე აღმოჩნდება ორატორი, რომელიც საგანმანათლებლო, საინფორმაციო სიტყვით უნდა წარდგეს უცნობი აუდიტორიის წინაშე. მან უნდა მიიპყროს უცნობი და ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანი (როგორც შემადგენლობით, ასევე ინტერესებით) აუდიტორიის ყურადღება. ლექტორი (ორატორი) უნდა შეეცადოს, განაწყოს აუდიტორია თავის მიმართ ღიმილით, ხუმრობით. მაგ: *„რასაც ახლა მე თქვენ გეტყვით, ჩვენ შორის უნდა დარჩეს“*; *„გავაცნობთ უახლესი კვლევის მონაცემებს, რომლის შედეგები უნიკალურია“*; *„ჩემი ინფორმაცია ექსკლუზიურია“*.

აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად, რომლისთვისაც ლექციის თემა შეიძლება იყოს ნაკლებადცნობილი ან რთული, შეიძლება გამოვიყენოთ „დამამშვიდებელი“ დასაწყისი: *„ჩვენი დღევანდელი ლექციის თემა არ არის ადვილი, მაგრამ მე შევეცდები, ისე მოგანოღოთ იგი, რომ ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდეს თქვენთვის. რასაკვირველია, თქვენ შეგხვდეთ-*

ბათ რთული ტერმინები, ცნებები, მაგრამ ლექციის მსვლელობისას მე ყველაფერს ავიხსნით, განვიმარტავთ, ვაგაგებინებთ. ძალიან გთხოვთ, თუ რამეს ვერ გაიგებთ, მაშინვე მკითხეთ, არ მოგერიდოთ, გამაჩერეთ. ჩვენთვის უმთავრესია საერთო მიზანი — შევიძინოთ ცოდნა. მე მსურს, რომ, როცა ამ აუდიტორიიდან გახვალთ, არ იხანოთ, რომ ამ ლექციაზე მოხვედით. “

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის დასაწყისმა გამოიწვიოს აუდიტორიის ინტერესი. არსებობს მრავალი ხერხი (იუმორი, სასაცილო ისტორია, ანდაზა, აფორიზმი, არაკი, ისტორიული ანალოგიები და ა.შ.), რომელთა საშუალებითაც ლექციის შესავალშივე მიიპყრობთ მსმენელთა ყურადღებას, გამოიწვევთ ინტერესს და მათ კეთილგანწყობას დაიმსახურებთ მაგალითად, ტრადიციულ ლექციას მსოფლიო მიზიდულობის კანონის შესახებ ასე იწყებენ: „დიდმა ინგლისელმა ფიზიკოსმა, ისააკ ნიუტონმა, აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი, რომლის ფორმულაა ... “

შეიძლებოდა, ლექცია დაგვეწყობა სხვაგვარად. საზეიმო და ერთგვარი იდუმალი ელფერი მიგვეცა დასაწყისისთვის, რაც, თავის მხრივ, მსმენელის გაცილებით დიდ ინტერესს გამოიწვევდა. ვთქვათ, ასე: „1642 წლის შობის ღამეს ინგლისელი ფერმერის ოჯახში დაიბადა ბიჭი. ის ისეთი ნამცეცა იყო, რომ ლუდის კათხაში შეიძლებოდა ებანავებინათ. ეს ბავშვი იყო ისააკ ნიუტონი.“

შემდეგ შეცვლით ტონალობას და განაგრძობთ:

„ეს იყო სწორედ ის ნიუტონი, რომელსაც ბაღში სეირნობისას თავზე დაეცა დიდი ვაშლი, რამაც იგი მიიყვანა მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენამდე. მე ვფიქრობ, ორმეტრიანი სიმაღლიდან რომელიმე თქვენგანს რომ დაგცემოდათ ვაშლი, ალბათ რაღაც კიდევ უკეთესს მოიფიქრებდით.“

აუდიტორია დაინტერესება მრავალი ხერხით შეიძლება. რომელ მათგანზე შეაჩერებს ორატორი ყურადღებას, დამოკიდებულია ლექციის თემაზე, აუდიტორიის განწყობასა და

ლექტორის ტაქტიზე.

ყველაზე ოფიციალური და მკაცრი სტილი, რომლითაც იწყება ტრადიციული ლექცია, არის პრობლემური საკითხის დასმა. იგი საჭიროებს ნათელ და ლაკონურ ფორმულირებას. მაგალითად: *„დღეს ჩვენ ვისაუბრებთ კონსტიტუციური სამართლის საკითხებზე“*.

აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად ერთ-ერთი ძირითადი ხერხია სხვადასხვა სახის მიმართვა (აპელაცია). მათ შორის: აპელირება აუდიტორიის უშუალო ინტერესებზე, მითითება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე, ავტორიტეტების მოხმობა, ორატორის პიროვნებაზე ყურადღების გამახვილება და ა. შ.

აუდიტორიის უშუალო ინტერესებზე აპელირების ხერხი. ამ ხერხის გამოყენებისას ორატორმა უნდა იცოდეს, რა აღელვებს მსმენელს და ამ პრობლემაზე გაამახვილოს ყურადღება. ამ პრინციპზეა აგებული სამიტინგო სიტყვები. ხშირად ასეთი სიტყვის მთავარი მიზანია ბრბოს ვნებათაღელვის გამოწვევა, ემოციების დაძაბვა. მაგალითად: *„უკვე არავისთვის არის საიდუმლო, თავისი უბადრუკი მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორ კურსდამთავრებულებს უშვებს ჩვენი სკოლა. არავისთვის არის საიდუმლო, რომ თითზე ჩამოსათვლელია სასკოლო სახელმძღვანელო, რომელშიც ვინმე რამეს გაიგებს. უკვე აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ ჩვენი ექიმები გაუგონარ თანხებს იღებენ ე.წ. „მკურნალობაში“, არავისთვის არის საიდუმლო, რომ ჩვენი კლინიკების მდგომარეობა ვერაუთარ კრიტიკას ვერ უძლებს“* და ა. შ.

სამიტინგო და პოლემიკურ სიტუაციას უკავშირდება ორატორის პიროვნებაზე აპელირება, რომელიც ზოგჯერ ამ პიროვნების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. ხშირად მოისმენთ ამ ტიპის ფრაზას: *„ჩემ წინ გამოსულმა ორატორმა სულ ტყუილა წაგვართვა დრო“*; *„ამ კაცმა სერიოზული ვერაფერი თქვა, ვერც იტყოდა, რადგან საქმის ვითარებას საერთოდ არ*

იცნობს”.

მაგალითად, აი როგორ დაიწყო თავისი გამოსვლა ნინა ორატორისაგან ათასგვარ ცოდვაში დაადანაშაულებულმა ერთმა განაწყენებულმა პოლიტიკოსმა: *„ბატონებო, მე გამოვდივარ ამ ტრიბუნაზე მთლიანად დაფარული იმ ისრებით, რომლებიც ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე განაფულმა ხელმა მესროლა. მე არ დაეინყებ ამ ისრების ამოგლეჯას და ჩემი მრისხანე ოპონენტისთვის უკან დაბრუნებას ... მე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა მაქვს...“*

ეს პოლიტიკოსი ამ გამოსვლაში ირიბი ფორმით იყენებს ნინა ორატორზე აპელირების მეთოდს, მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ ფორმალურად არ არღვევს ორატორის ეთიკის ნორმებს.

ავტორიტეტებზე აპელირების მაგალითი ხშირად გვხვდება სხვადასხვა ტიპის გამოსვლაში და ჩვენც ხშირად მივმართავთ მას. მაგალითად: *„მარტო ჩვენ, სტუდენტები, კი არ ვფიქრობთ ასე, არამედ ჩვენი რექტორიც ასეთივე აზრისა“*; *„ეს არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქართველი ხალხის პოზიციაა“*.

ოციოდე წლის წინ ინფორმაციის ოფიციალურ წყაროებზე მითითება ითვლებოდა ქმედით და საიმედო მეთოდად. დღეს, როცა ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი აზრი თუ განსხვავებული შეფასება, ინფორმაციის წყაროები (გაზეთი, ყურნალი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) ერთი და იმავე ფაქტებს ხშირად დიამეტრალურად განსხვავებულად ხსნიან და აფასებენ და ამიტომ მათზე აპელირებება სანდოობის გარანტია ვერ იქნება. როცა თქვენთვის ავტორიტეტულ წყაროს ეყრდნობით, ან ბოლომდე უნდა დაიცვათ თქვენი პოზიცია, ან პატიოსნად უნდა აღიაროთ, რომ ცდებოდით.

აუდიტორიის დაინტერესება სხვაგვარადაც შეიძლება: სათამაშო სიტუაციის შექმნით, იუმორისტული შენიშვნებით, ისტორიული ანეკდოტებით და სხვ. მაგალითად, იურიდიული კა-

ზუსტების შესახებ ლექციაში შეიძლება გამოიყენოთ შემდეგი ისტორია:

საქართველოს იურისპრუდენციის ისტორიას თავისებური მითის სახით შემორჩა ერთი ასეთი შემთხვევა. ცნობილი იურისტი ნ. ანდრონიკაშვილი იცავდა მკვლელს, კუზიან კაცს, რომელმაც მეზობელი მოკლა. ბრალმდებელი კანონის შესაბამისად მისი სიკვდილით დასჯას ითხოვდა. განსასჯელის დამცველმა კი თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლე! პატივცემულო საზოგადოებავ!..

მოსამართლე და დამსწრე საზოგადოება დიდი ყურადღებით უსმენდა ადვოკატს.

— პატივცემულო მოსამართლე! პატივცემულო საზოგადოებავ! — გაიმეორა ადვოკატმა.

— პატივცემულო მოსამართლე! პატივცემულო საზოგადოებავ!.. — ისევ გაიმეორა მან.

მოსამართლეს აღელვება დაეტყო და დამცველს მიმართა, თქვით სათქმელიო.

ადვოკატი კი სხვდასხვა ინტონაციითადა მოდულაციით იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— დიდად პატივცემულო მოსამართლე! ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ!..

როდესაც მან მეთედ გაიმეორა იგივე, მოსამართლემ თავი ველარ შეიკავა და იყვირა:

— ვის დასცინით? სასამართლოს? თუ ასე გააგრძელებთ, სიტყვის უფლებას ნაგართმევთ!

— ღრმად პატივცემულო მოსამართლე! — კვლავ იგივე გაიმეორა ადვოკატმა მშვიდი, აუღელვებელი ტონით. დარბაზში სიცილი ატყდა. ანდრონიკაშვილი კი განაგრძნობდა ერთსა და იმავეს. მოსამართლეს ნერვებმა უმტყუნა, აყვირდა, ჩაქუჩი მაგიდას დაჰკრა და ის იყო სხდომა უნდა დაეტოვებინა, რომ ადვოკატის მშვიდი ხმა: — მხოლოდ ერთ ნუთს გთხოვთ, მომის-

მინეთ! მოსამართლე შეჩერდა:

— *პატივცემულო მოსამართლე! თქვენ ვერ გაუძელით იმას, რომ დიდი პატივისცემით რამდენჯერმე მოგმართეთ ერთი და იმავე სიტყვით. რა უნდა ექნა საცოდავ განსასჯელს, რომელსაც მეზობელი ნლების მანძილზე დღეში ათჯერ შეურაცხყოფდა ერთი და იმავე სიტყვით: „კუზიანო, კუზიანო“, უნდა მოეთმინა თუ მოეკლა იგი? ვთხოვთ, განსაჯოთ.*

ნ. ანდრონიკაშვილმა პროცესი მოიგო.

როცა ლექტორი მიხვდება, რომ აუდიტორიასთან კონტაქტი დამყარებულია, იგი უნდა გადავიდეს გამოსვლის ძირითად, ანუ მთავარ ნაწილზე.

საჯარო გამოსვლის მთავარი ნაწილი. მისი სახელი „მთავარი“ მეტყველებს, რომ საჯარო გამოსვლის ეს მონაკვეთი ყველაზე მნიშვნელოვანი, შინაარსობრივად დატვირთული და მოცულობით დიდია. სწორედ ამ ნაწილში უნდა გადმოვცეთ ინფორმაციის არსი, ფუძემდებლური დებულებები და გავშალოთ არგუმენტების, მაგალითების, დასკვნების მთელი სისტემა, რომელთა საშუალებით მოხდება ორატორის პოზიციის ქვეყნობისა და მიზანშეწონილობის დადასტურება. ორატორის მიზანია, თემა რაც შეიძლება სრულყოფილად, ამომწურავად, სიღრმისეულად გააშუქოს, გაშალოს. ლექტორმა, რომელიც აუდიტორიას მიმართავს, უნდა შეძლოს, ერთმანეთს შეუფარდოს იმ ინფორმაციის მოცულობა, რომელსაც ის ფლობს, დროის იმ მონაკვეთს, რომელიც განკუთვნილია მოხსენებისათვის. მისი ცოდნის მარაგი ბევრად უფრო მეტი უნდა იყოს იმაზე, რაც ორატორს მსმენელამდე მიაქვს. ეს განსაკუთრებით შეეხება საგანმანათლებლო ხასიათის ლექციებს. არ შეიძლება ლექტორმა ფრიალოსანი სტუდენტის დონეზე იცოდეს საგანი.

ზოგჯერ საჯარო გამოსვლის თემა იმდენად მრავალნახნაგოვანი, ვრცელი და რთულია, რომ ძნელია რეგლამენტის დაცვა. გამოცდილმა ორატორმა გონივრულად უნდა შეარჩიოს ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ფუძემდებლურია და

მხოლოდ მათზე ააგოს მსჯელობა, რომ ცაიტნოტში არ აღ-
მოჩნდეს.

ორატორმა მთელი გამოსვლის განმავლობაში უნდა შეინარ-
ჩუნოს აუდიტორიის ყურადღება. ლექცია 45-60 წუთს
გრძელდება, იშვიათად 2 საათამდე. ყველა ლექტორმა იცის,
რომ პუბლიკის ყურადღება არ შეიძლება იყოს მუდმივი, ამიტომ
გამოსვლა უნდა ააგოს ისე, რომ მისი ცალკეული ნაწილები 5-9
წუთს იკავებდეს. ყოველ მათგანში უნდა იყოს ახალი აზრი,
ცინცხალი იდეა ან ნაკლებადცნობილი ინფორმაცია, კარგად
უნდა იყოს მოფიქრებული ერთი ნაწილიდან მეორეზე
გადასვლა. მოხსენების ყველა მონაკვეთი უნდა ემსახურე-
ბოდეს ავტორის ჩანაფიქრის გახსნას, წარმოჩენას და ექვემდე-
ბარებოდეს მასალის გადმოცემის ლოგიკას.

არსებობს განსხვავებული მეთოდები, რომელთა ცალ-
ცალკე ან შერწყმულად გამოყენებით ლექტორი უფრო გააზრე-
ბულად და წარმატებით ააგებს თავის საჯარო გამოსვლას.
ესენია: ქრონოლოგიური (ანუ ისტორიული) მეთოდი, მასალის
კონცენტრიული (ანუ საფეხურეობრივი) გადმოცემის მეთოდი,
ანალოგიის მეთოდი, საკვლევი თემის დედუქციური ან ინდუ-
ქციური გააზრება.

ქრონოლოგიური (ისტორიული) მეთოდის გამოყენება მარ-
თებულია, როდესაც გსურს მოვლენების განვითარების დი-
ნამიკის, პროცესების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ჩვე-
ნება. ეს მეთოდი მიზანშეწონილია, როცა საუბარი ეხება ისტო-
რიულ მოვლენებს, გეოგრაფიულ აღმოჩენებს, ცნობილ ადა-
მიანთა ბიოგრაფიების აღწერას.

საფეხურეობრივი მეთოდის დროს თემა იშლება თანმიმ-
დევრულად, იწყება ამოსავალი თეზისიდან და მკაცრი
დასაბუთებებით ლოგიკურ დასკვნამდე მიდის. მისი გამოყენება
ოპტიმალურია უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების დროს.

საფეხურეობრივი და ქრონოლოგიური მეთოდების შერწყმა
იძლევა არაჩვეულებრივ შედეგებს ქიმიის, ფიზიკის, ასტრო-

ნომიის, მათემატიკის პოპულარულ ლექციებში.

ზოგჯერ ლექტორი მუშაობს ისეთ აუდიტორიასთან, რომელიც არ არის მომზადებული მინოდებული მასალის აღსაქმელად. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია მივმართოთ ლექციის კონცენტრიული აგების პრინციპს, რომლის დროსაც ლექტორი აუდიტორიის ყურადღების შესანარჩუნებლად სისტემატურად უბრუნდება საწყის დებულებას და ყოველ ჯერზე განსხვავებული კუთხით განიხილავს მას, მოჰყავს ახალი მაგალითები და ფაქტები.

ანალოგია გულისხმობს სხვადასხვა მოვლენის, პროცესის, იდეის მიმსგავსებას და მათ შორის პარალელის გავლებას. ანალოგიის მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა უცნობი მოვლენა (ფაქტი, იდეა) უფრო მისაწვდომი, გასაგები გახდება იმ შემთხვევაში, თუ მას შევადარებთ ნაცნობ მოვლენას (ფაქტს, იდეას). მაგალითად, *„ჩვენს ქვეყანაში იკლო ადამიანთა პოლიტიკურმა აქტივობამ. ეს პროცესი გაგრძელდება. ზოგი მიიჩნევს, რომ ამაში დიდ როლს ასრულებს ტელევიზია, რადგან იგი ადამიანს უჩენს ილუზიას, რომ მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მასების პასიურობას ძველ საბერძნეთშიც უჩიოდნენ. არისტოტელეს თქმით, უკვე ჩვ. წელთაღრიცხვამდე V ს-ში ათენის სახალხო კრებას უჭირდა ევორუმის შეგროვება, რადგან მოქალაქეები არ დადიოდნენ კრებებზე. ამის გამო პოლიტიკური ბელადები იძულებულები იყვნენ დაენესებინათ ფულადი ანაზღაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის“.*

ლექცია შეიძლება აიგოს ინდუქციურ ან დედუქციურ მეთოდზე. ინდუქციური მეთოდი გულისხმობს მთელის აღდგენას ცალკეული დეტალებისგან (ანუ აზრის მოძრაობას კერძოდან განზოგადებისაკენ), ხოლო დედუქციური — აზრის მოძრაობას ზოგადიდან კერძოსაკენ. ორატორმა ორივე მეთოდი ნარმატივით შეიძლება გამოიყენოს თავის ლექციაში.

საჯარო გამოსვლის დასკვნა. დასკვნითი ნაწილის ძირითადი ამოცანები შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

- მასალის შეჯამება.

- იმ შთაბეჭდილების გაძლიერება, რომელიც მოახდინა გამოსვლამ მსმენელზე და ამ უკანასკნელის გონებაში ლექციის ძირითადი დებულებების დაფიქსირება.

- აუდიტორიისათვის კონკრეტული მიზნის დასახვა და მის შესასრულებლად ფსიქოლოგიური პლატფორმის შექმნა.

ეს ამოცანები შეიძლება განსხვავებული გზებით გადაიჭრას. ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ მათგანზე.

დასკვნით ნაწილში უფრო ხშირად გვხვდება ძირითადი პრობლემების და მიღებული შედეგების გამეორება, ნათქვამის განზოგადება და საკითხის კვლევის შემდგომი პერსპექტივების დასახვა ან ლექციაზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების გეგმის შემუშავება.

სამიტინგო სიტყვას, როგორც წესი, ამთავრებენ მონოდებებით.

ძირითადი პრობლემისა და დასკვნების მოკლე გამეორების ხერხს უმჯობესია მიმართოთ პროფესიული აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას. ლექტორის სიტყვა ამ დროს მკაცრად ფუნქციურია: *„მოდით, შევაჯამოთ შედეგები.“ „გირჩევთ, ჩაინეროთ შემდეგი დასკვნები“*. ასეთი მიმართვა მსმენელს ეხმარება, ყურადღება მოიკრიბოს, ხოლო დასკვნების ჩაწერა გაადვილებს ლექციის ძირითად ნაწილთან მათ დაკავშირებას.

ორატორის სახე

ტერმინი „ორატორის სახე“ გულისხმობს საჯარო გამოსვლისას მის გარეგნობას, შინაგან განწყობასა და ქცევას.

როდესაც გარეგნობაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ტანსაცმელი, ვარცხნილობა და ყველაფერი, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გარეგნობას ვუნოდებთ. ჩამოვაცალიბოთ მასთან დაკავშირებული ძირითადი წესები:

ორატორის გარეგნობა არ უნდა იყოს გამომწვევი, თორემ მსმენელს ყურადღება გაეფანტება და გულისყურით ვერ მოისმენს სიტყვას.

ორატორმა უნდა ჩაიცვას მოკრძალებულად, ფაქიზად. ტანსაცმელმა ხელი არ უნდა შეუშალოს მას მოძრაობაში. მამაკაცებმა სასურველია, ჯიბეები გაითავისუფლონ ზედმეტი ნივთებისაგან, რომლებიც მათ გამობერავს. კარგი იქნება, რომ საჯარო გამოსვლის დროს ქალს არ ეკეთოს ყველა სამკაული, რაც სახლში აქვს.

ორატორი რომ საუბარს დაიწყებს, მსმენელები დაუინებით თუ არა, გარკვეული ინტერესით მაინც შეათვალიერებენ. თუ მისმა გარეგნობამ გაოცება, უნდობლობა ან ანტიპათია გამოიწვია, მას გაუჭირდება მთავარი მიზნის მიღწევა – მსმენელთა კეთილგანწყობის მოპოვება. სიფაქიზე და სისადავე ორატორს თავიდან ააცილებს არასასურველ ეფექტს და მსმენელი თავიდანვე ცუდად არ განწყობა მის მიმართ. ორატორის ვარცხნილობის ან ტანსაცმლის ექსტრავაგანტულობა მსმენელმა შეიძლება აღიქვას, როგორც მისი ფუქსავატობის, არასოლიდურობის გამოხატულება.

ზოგი ორატორი მოისმენს ან წაიკითხავს რეკომენდაციებს გარეგნობის შესახებ და თავისი „გარეგნული უცნაურობების“ დასაცავად იტყვის: „რა მნიშვნელობა აქვს ჩემს გარეგნობას? მსმენელს ჩემი კვალიფიკაცია აინტერესებს თუ გარეგნობა?“ კვალიფიკაციის მნიშვნელობის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანებს ემოციები და გრძნობები ორატორის მოსმენის დროსაც ისევე ახასიათებს, როგორც ნებისმიერ სხვა დროს.

თუ ორატორმა თავისი გარეგნობით გამოიწვია მსმენელის უკმაყოფილება, შური, გაოცება, გარკვეული დრო და ძალისხმევა იქნება საჭირო, რომ ეს გრძნობები გაქარწყლდეს, თუმცა შეიძლება პირველი შთაბეჭდილება საერთოდ აღარც შეიცვალოს. ადამიანი ხშირად ექცევა გრძნობების გავლენის

ქვეშ, რომელთა წყაროსაც იგი ვერ აცნობიერებს. მას ექმნება ილუზია, რომ სურს ჭეშმარიტების დადგენა, სინამდვილეში კი უმნიშვნელო დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას. თუ ორატორმა თავისი გარეგნობით ამგვარი გრძნობა გამოიწვია, ის მუდმივად ნაანყდება ფარულ ანტიპათიას და, საეჭვოა, რომ მსმენელმა ობიექტურად შეაფასოს მისი გამოსვლა. ორატორის მიერ თავისი გარეგნობის უგულვებელყოფამ შესაძლებელია, დიდად შელახოს მისი იმიჯი და მსმენელი ველარასოდეს განეწყოს მის მიმართ.

ორატორის გარეგნობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი შინაგანი განწყობა, გულწრფელობა საუბრის დროს. დარბაზი უნდა გრძნობდეს, რომ ორატორი კეთილად არის განწყობილი მის მიმართ, მათი ინტერესები, მათზე ზრუნვა ამოძრავებს.

დახვეწილი ორატორული სიტყვა დიდი შრომისა და გარჯის შედეგად იქმნება. საჯარო გამოსვლის მოსამზადებლად სარკის წინ უნდა ივარჯიშოთ. შეეცადეთ, სარკის წინ წარმოთქვათ მოხსენების ის ნაწილი, რომელშიც განსაკუთრებულად კარგად ჩანს თქვენი კეთილგანწყობა მსმენელისადმი და, იმავდროულად, ვლინდება თქვენი სერიოზულობა და საქმიანი თვისებები. ამ დროს ორატორის შუბლი არ უნდა იყოს შეჭმუხნილი, სახე იმავე გრძნობას უნდა გამოხატავდეს, რის გადმოცემასაც თქვენ აპირებთ. ეცადეთ, მიმიკა შეესაბამებოდეს თქვენს ემოციებს და ზოგჯერ ცოტათი უსწრებდეს კიდეც. უყურეთ მსმენელებს. ეცადეთ, მზერით მოიცვათ მთელი აუდიტორია, რომ მის თითოეულ წევრს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ თქვენ პირადად მას მიმართავთ, ხოლო თუკი კონკრეტულად ერთ პიროვნებას ესაუბრებით, უყურეთ მას სახის იმ ნაწილში, რომელიც მოქცეულია ზედა ტუჩსა და წარბს შორის. თუ თქვენი მზერა მიმართული იქნება შუბლისკენ, ეს შეიძლება ჩაგითვალონ ქედმაღლობად ან აღიქვან ამ პიროვნებისადმი თქვენი უპატივცემულობის გამოხატულებად, ხოლო თუ მოსაუბრეს

პირისა და ნიკაპის მიდამოებში დაუნყებთ ცქერას, ეს შეიძლება აღქმულ იქნას დაჟინებულ მზერად, რას გარკვეულ დისკომფორტს შექმნის საუბრისას.

ორატორმა უნდა შეარჩიოს მისთვის ყველაზე მოხერხებული და ამავე დროს დარბაზისათვის მისაღები პოზა, რომელშიც ორატორი თავს მშვიდად და თავდაჯერებულად იგრძნობს. მართალია, საჯარო გამოსვლისათვის იგი თქვენ უნდა შეარჩიოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი თქვენთვის კომფორტული პოზაც არ გამოგადგებათ. მაგალითად, თქვენ შეიძლება არაჩვეულებრივად გრძნობდეთ თავს, როცა ხელები შარვლის ჯიბეში გაქვთ ჩანყობილი, პიჯაკის ღილს ან თმის კულულს ათამაშებთ, მაგრამ ამით მსმენელის უკმაყოფილებას გამოიწვევთ.

დაიმახსოვრეთ, საჯარო გამოსვლისას ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებიც კი მნიშვნელოვანია.

გახსოვდეთ, თქვენ ყველასთვის ლაპარაკობთ, მაგრამ ზოგჯერ ყურადღების განაწილებაა საჭირო. მაგალითად, თუ სასამართლო პროცესზე გინევთ გამოსვლა, მაშინ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ძირითადად მოსამართლეს (სასამართლო კოლეგიას, ნაფიც მსაჯულებს) უნდა მიმართოთ ხოლმე. თუ სამეცნიერო საბჭოს წინაშე გამოდიხართ და დისერტაციას იცავთ, მაშინ ძირითადად უნდა მიმართოთ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს წევრებს და ოპონენტებს. ამ საზოგადოებას თქვენ დისერტაციის დაცვამდეც იცნობდით, ამიტომ წინასწარ უნდა გქონდეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- გადმოცემის როგორი მანერა მოახდენს მათზე ძლიერ შთაბეჭდილებას;
- როგორი თანამიმდევრობით სჯობია გადმოსცეთ თქვენი არგუმენტები;
- რა კითხვები შეიძლება გაუჩნდეს საბჭოს;

- როგორ უპასუხებთ ამ კითხვებზე.

თუ შენიშნავთ, რომ თქვენი არგუმენტაცია სამეცნიერო საბჭოზე ან ოპონენტებზე არ ახდენს სასურველ შთაბეჭდილებას, უნდა შეეცადოთ, იქვე გამოძებნოთ ზემოქმედების უფრო მოხერხებული ფორმა. მოხსენების პრინციპულად შეცვლა თქვენ არ შეგიძლიათ და ამაზე არც უნდა იფიქროთ, მხოლოდ შეძლებისდაგვარად უნდა შეარბილოთ თქვენი პოზიცია. თუ ორატორი არ რეაგირებს აუდიტორიის ქცევაზე, იგი მასთან კონტაქტს დაკარგავს. ამის შემდეგ მან აღარ უნდა ინუნუნოს, რომ ვერ გაუგეს, ან ისე არ გაუგეს, როგორც მას სურდა და ა.შ.

მსმენელი ღიზიანდება, როცა ორატორი მთელი სიტყვის განმავლობაში საერთოდ არ მოძრაობს, ამიტომ მოძრაობა აუცილებელია, გაშეშებულ ორატორს გაუძნელდება აუდიტორიასთან სასურველი კონტაქტის დამყარება, თუმცა არც ზედმეტი მოძრაობებია რეკომენდებული (ქანაობა, ბოლთის ცემა, ფეხის თამაში და სხვ.). ნებისმიერ მოძრაობას, რომლიც აძლიერებს სიტყვის ემოციურ მხარეს, რიტორიკაში *ჟესტი* ეწოდება. ეფექტური ჟესტი ეხმარება ორატორს უფრო ნათლად და მკაფიოდ გადმოსცეს თავისი გრძნობები და აზრები. მისი საშუალებით მან უნდა გამოკვეთოს მთავარი სათქმელი, გახადოს იგი უფრო თვალსაჩინო და ამით გაუადვილოს მსმენელს მისი აღქმა. |

მეტყველებაში ჟესტის მნიშვნელობა განპირობებულია მოვლენით, რომელსაც *ემპათია* ეწოდება. მისი არსი შემდგომში მდგომარეობს: როცა ადამიანი ყურადღებით უყურებს და უსმენს მეორეს, მას რეფლექსურად ეძაბება იგივე კუნთები, რომლებიც მოლაპარაკეს, რაც ქვეცნობიერის დონეზე ხდება. თუ აუდიტორია ჩაერთო ასეთ პროცესში, იგი უკეთ აითვისებს ორატორის ნათქვამს, გაიაზრებს მის პოზიციას. ამიტომ კარგად მოფიქრებული და გათვლილი ჟესტების საშუალებით ორატორმა შეიძლება მნიშვნელოვნად გააძლიეროს თავისი სიტყვების ზემოქმედების ძალა.

ორატორი ფესტიკულაციას მიმართავს როგორც მშვიდ მდგომარეობაში, ისე აღელვებისასაც. მას ერთი რამ უნდა ახსოვდეს, რომ აღელვების დროსაც მისი ფესტები იყოს თავშეკავებული.

სიტყვის ბოლო ნაწილში (განსაკუთრებით ეს ეხება პათეტიკურ გამოსვლებს) ორატორი უკვე აშკარად ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს მსმენელის გრძნობებზე. ამ დროს იგი ენერგიულად იყენებს ფესტებს, რომლებიც მისი გრძნობებისა და განცდების ადეკვატური უნდა იყოს.

ფესტებმა შეიძლება გააძლიეროს და ასევე შეასუსტოს სიტყვით მიღებული შთაბეჭდილება. ეს ორატორის ნიჭსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

ნაკლებად გამოცდილი ორატორი, ჩვეულებრივ, არ ფიქრობს თავის ფესტებზე და ამიტომ არ აკონტროლებს მათ. ორატორმა ჯერ უნდა გაიგოს და შეაფასოს ამ თვალსაზრისით თავისი შეცდომები, მან უნდა სთხოვოს ვინმეს, რომ მოუსმინოს მის გამოსვლას და დააკვირდეს მის ფესტიკულაციას. როცა ობიექტური, მაგრამ კეთილგანწყობილი ადამიანისგან მოისმენს, რა ხარვეზი აქვს მის გამოსვლას, ორატორმა სარკის წინ უნდა დახვეწოს თავისი მანერები.

ორატორის მოძრაობებში განარჩევენ მიმიკას და ფესტს. მიმიკა, ანუ სახის ნაკვეთების მოძრაობა და თვალების გამომეტყველება, უნდა შეესატყვისებოდეს იმ გრძნობებს, რომელთაც განიცდის ორატორი და რისი გამონვევაც უნდა მსმენელში თავისი სიტყვით. ამისათვის სიტყვის წარმოთქმის დროს ისიც იმას უნდა განიცდიდეს, რისი მიტანაც უნდა მსმენელამდე. სიტყვისა და გამომეტყველების შესაბამისობაც სარკის წინ უნდა შემოწმდეს.

ყველაზე უფრო გავრცელებული ფესტები ხელის მოძრაობით გამოიხატება. განვიხილოთ ე.წ. ფესტი-მოდიფიკატორები, ანუ ფესტები, რომლებიც აძლიერებენ წარმოთქმული სიტყვების ემოციურ ძალას. მათგან ყველაზე უფრო ცნობილია მოძ-

რაობა, რომელსაც „გაშლილი ხელი“ ჰქვია. ხელისგული ამ დროს გაშლილია და მიმართულია ზევით. თუ ხელი მოძრაობს ორატორიდან მსმენელისაკენ, იგი გამოიყენება როგორც შეტყობინების სიმბოლო: ორატორი ითხოვს ყურადღებას, მან რაღაც ახალი უნდა თქვას. როცა ხელი მოძრაობს ორატორის მიმართულებით, ის აძლიერებს „შეერთების“, „დათანხმების“ მნიშვნელობას.

საკმაოდ გავრცელებულია ჟესტი „დახურული ხელი“. ამ შემთხვევაში ხელისგული დაბლაა და ხელის მოძრაობა მიმართულია აუდიტორიისაკენ. ეს ჟესტი აძლიერებს „უარყოფის“, „მიუღებლობის“ მნიშვნელობას. თუ ამ დროს თითები გაშლილია („გაფარჩხული ხელი“), ძლიერდება წინააღმდეგობის განცდა.

ასევე ხშირად გვხვდება ჟესტი „შეკუმშული მუშტი“, რომელსაც იყენებენ წინააღმდეგობის გრძნობის, აგრეთვე, მუქარისა და მრისხანების გამოსახატავად.

გამონათქვამის კატეგორიულობა შეიძლება გაძლიერდეს ჟესტით, რომელსაც ჰქვია „ხმალი“ (ზემოთ ანეული, ოდნავ მოღუნული ხელი).

ჟესტის თეორიაში მოძრაობის მიმართულება დაკავშირებულია ემოციის ხასიათთან. დადებითი ემოციები, ამალელებული განწყობილება გამოიხატება ხელის მოძრაობით ქვევიდან ზევით. უიმედობის, ფსიქოლოგიური ჩიხის განცდა გამოიხატება ხელის ძირს ჩამოვარდნით. ნებისმიერი ჟესტიკულაციის უმნიშვნელოვანესი წესია: რაც უფრო ძლიერია ემოცია, მით უფრო ინტენსიური უნდა იყოს ჟესტიკულაცია. მაგრამ არ შეიძლება სუსტი ემოცია ძლიერი ჟესტიკულაციით გავაძლიეროთ, ემოცია და ჟესტიკულაცია ერთმანეთს უნდა ესადაგებოდეს.

არსებობს ჟესტის ეროვნული ტრადიციები, რაც ორატორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, თუ თავის დაქნევა ქართულ სინამდვილეში თანხმობის ნიშნია, ზოგ ქვეყ-

ანაში (ბულგარეთი, ინდოეთი) იგი უარყოფას ნიშნავს; ჩვენში არ არის მიღებული ორივე ხელით შესტიკულაცია, თუმცა, წესით, ორივე ხელით შესტიკულაციამ უფრო მეტი ზეგავლენა უნდა მოახდინოს მსმენელზე, ვიდრე იმავე შესტმა, ერთი ხელით შესრულებულმა.

ყესტების ერთ ნაწილს **გამომსახველობითი** ჰქვია. მათი დახმარებით ორატორი მსმენელისაგან დამატებით ყურადღებას მოითხოვს. მაგალითად, რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების წინ ორატორი აფრთხილებს აუდიტორიას, რომ ახლა ის იტყვის მთავარს, არსებითს. ამ სიტყვებს შეიძლება ახლდეს შემდეგი ყესტები:

- მნიკვად შეკრული ზემოთ მიმართული თითები;
- ზემოთ მიმართული საჩვენებელი თითი;
- მუშტად შეკრული ხელის მტევანი.

თუ ორატორს სურს პოზიციითა დაახლოებაზე ან გაერთიანებაზე მიუთითოს, მაშინ იგი ოდნავ მოლუნულ ორივე ხელის მტევანს აერთებს, თითქოს ხელში ბურთი უნდა დაიჭიროს, ხოლო თუ საპირისპირო პოზიციის გამოხატვა უნდა, მაშინ მათ ერთმანეთს აშორებს.

ორატორი ხშირად იყენებს **საჩვენებელ ყესტებსაც**. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ყესტი, რომლითაც ის მიუთითებს თავის თავზე ან აუდიტორიაზე. ერთ შემთხვევაში მკერდისკენ მიმართავს გაშლილ თითებს, რომელთაც მკერდთან მიტანამდე კრავს, მეორე შემთხვევაში – გაშლილ თითებს აუდიტორიისკენ მიმართავს. ამ ყესტის ხმარებისას ორატორი ფრთხილად უნდა იყოს, რადგან საჩვენებელი თითით ჩვენება ქართულ სინამდვილეში უარყოფით ემოციებს იწვევს, რადგან იგი ითვლება უხამს და დამამცირებელ ყესტად.

რაც შეეხება **მარეგულირებელ ყესტებს**, მათ შორის უფრო ხშირად გამოიყენება:

- იდაყვში ოდნავ მოხრილი ზეანეული ხელი, რომელიც

აღნიშნავს „ყურადღებას“, იგი სიჩუმისაკენ მონოდებადაც შეიძლება გამოვიყენოთ;

- მაჯაზე მითითება, როგორც რეგლამენტის შესხენება;
- მაგიდაზე თითის დადება (ან დაკაკუნება), როგორც ყურადღების ან სიჩუმისაკენ მონოდება.

ორატორმა უესტები ჯერ სახლში კარგად უნდა დაამუშაოს და შემდეგ გამოიყენოს. იგი თავისუფლად და ბუნებრივად უნდა ფლობდეს მათ.

გახსოვდეთ, რომ არსებობს შეურაცხმყოფელი უესტები და ორატორმა არასოდეს არ უნდა გამოიყენოს ისინი. ეს არის ორატორული ეთიკის ნორმა, რომლის შესრულებაც ყველასათვის სავალდებულოა.

კამათის ხელოვნება

ამ საკითხის გასაშუქებლად, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ტერმინი უნდა განვმარტოთ. ესენია: **კამათი, დისკუსია, პოლემიკა.**

კამათი არის სიტყვიერი შეჯიბრი (გაჯიბრება), რომლის დროსაც მხარეები ცდილობენ დაიცვან თავიანთი აზრი და „მოახვიონ“ იგი მეორე მხარეს, ან იპოვონ საერთო გადაწყვეტილება.

საჯარო კამათი არის ჭეშმარიტების დადგენის კოლექტიური საშუალება, რომლის თეორია ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში შეისწავლებოდა და გამოიყენებოდა პრაქტიკაში.

სიტყვა „კამათის“ სემანტიკური მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ვინმეს აზრს არ ეთანხმები. საჯარო კამათის სახეებია: დისკუსია, დებატები, პოლემიკა.

დისკუსიის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა სხვადასხვა შეხედულების შეპირისპირების გზით. დისკუსიის დროს მთავარია შეთანხმების მიღწევა დასმულ საკითხზე, ან მონაწილეების მიერ მისი გადაჭრის გზების მოძებნა.

დისკუსია შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების პროცესშიც, როგორც მიღებული ცოდნის განმტკიცების საშუალება. მისმა მონაწილეებმა წინასწარ უნდა მოამზადონ საჭირო არგუმენტები, დაამუშაონ განსხვავებული თემები და შეეცადონ დამოუკიდებლად გადაჭრან დასახული ამოცანა.

პოლემიკა გარკვეულწილად ჰგავს დისკუსიას. მისგან განსხვავებით, პოლემიკის მიზანი არის არა შეთანხმების მიღწევა, არამედ კონკრეტული თვალსაზრისის დაცვა და მონინალმდეგეზე გამარჯვება.

ბუნებრივია, რომ პოლემიკაში გამოყენებულ საშუალებებს მოკამათე მხარეები ერთმანეთს არ უთანხმებენ, ისევე, როგორც ომში არ უთანხმებენ ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეები, რა იარაღს გამოიყენებენ, როგორ იბრძობლებენ და ა.შ. პოლემიკის ყველა მონაწილე იყენებს იმ საშუალებას, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.

თეორიულად პოლემიკას და დისკუსიას ადვილად გაარჩევთ ერთმანეთისაგან, მაგრამ კამათის პროცესში პოლემიკის და დისკუსიის ელემენტები ისე გადაეჯაჭვებიან ხოლმე, რომ მათი გარჩევა ძნელია. პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ მშვიდი დისკუსია უცებ მძაფრ პოლემიკაში გადაიზრდება, როცა ყოფილი „პატივცემული ოპონენტი“ ხდება „მონინალმდეგე“ და „ადამიანი, რომელსაც ანბანური ქეშმარიტების გაგების უნარი არა აქვს“. შეიძლება მოვლენების განვითარების კვალდაკვალ ვნებები დაცხრეს, მოკამათეებმა ბოდიში მოუხადონ ერთმანეთს და „ადამიანი, რომელსაც ანბანური ქეშმარიტების გაგების უნარიც არ ჰქონდა“, ისევე „პატივცემულ ოპონენტად“ იქცეს.

დისკუსიის ორგანიზატორმა უნდა იცოდეს მისი სტრუქტურა. საჯარო კამათის ეს ფორმა შედგება ექვსი ეტაპისაგან:

- დისკუსიის თემის განსაზღვრა;
- დისკუსიის მომზადება (ამ დროს მონაწილეები ეცნობიან მასალას, მუშაობენ ბიბლიოთეკაში, სწავლობენ

სპეციალურ ლიტერატურას, ესწრებიან სპეციალისტების ლექციებს და ა.შ.);

- ერთი მონაწილე წამოაყენებს თეზისს და ასაბუთებს მის სამართლიანობას წინასწარ მომზადებული არგუმენტების საშუალებით.
- მეორე მონაწილე ცდილობს ამ თეზისის გაბათილებას ან, პირიქით, მის გამყარებას;
- პირველი მონაწილე მეორეს ან ეთანხმება, ან თვლის, რომ მისი დასკვნები არ არის სწორი;
- დისკუსიის სხვა მონაწილეები ჩაებმებიან კამათში.

წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, ვინ უხელმძღვანელებს დისკუსიას. დისკუსია უნდა მიჰყავდეს გამოცდილ, ტაქტიან და ძლიერი ნებისყოფის ადამიანს, რომელსაც შეუძლია აუდიტორიის მართვა. წინასწარ იგეგმება ასევე რეგლამენტიც.

დისკუსიის რეგლამენტი შეიძლება განისაზღვროს ასე:

- მთავარი მოხსენება (5-7 წთ.);
- მონაწილეების გამოსვლა (2-3 წთ.);
- კომენტარები (1 წუთამდე);
- შედეგების შეჯამება (დასკვნითი გამოსვლა) (2-3 წთ.).

დისკუსიის ხელმძღვანელმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ რეგლამენტი ყველამ დაიცვას, რომ მონაწილეები ერთმანეთის მიმართ იყვნენ კორექტულები, თუ ვინმე მეორედ მოითხოვს სიტყვას, მას სიტყვის თქმის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ყველა დანარჩენი გამოვა (აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამონაკლისის დაშვებაც). მან სიტყვა არ უნდა მისცეს იმ მონაწილეს, ვისაც არ სურს ეთიკის ნორმების და დისკუსიის წესების დაცვა. დისკუსიის ხელმძღვანელი თვითონ არ უნდა ჩაებას კამათში.

მოკამათე მხარეებმა უნდა ისწავლონ ერთმანეთის მოთმინებით მოსმენა და არ უნდა შეანყვეტიონ ერთმანეთს სიტყვა. დისკუსიის კულტურა გულისხმობს, რომ ყველა მოკამათეს აქვს

უფლება, ჰქონდეს თავისი აზრი და დანარჩენები, კიდევ რომ არ ეთანხმებოდნენ, ვალდებული არიან, მოუსმინონ მას.

მოკამათე უნდა იყოს ტაქტიანი, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე დაეთანხმოს მონინაალმდეგეს.

დისკუსიის დროს მნიშვნელობა აქვს, რომ ადამიანები მუშაობდნენ ერთმანეთის მიმართ სრული ნდობის პირობებში, ნებისმიერ მონანილეს საშუალება უნდა ჰქონდეს, შიშის გარეშე გამოხატოს თავისი აზრი. არ შეიძლება ადამიანს, განსაკუთრებით კი ბავშვს, თავს მოახვიო შენი მოსაზრება. დისკუსიას, განსაკუთრებით კი პოლემიკას, ახასიათებს გარკვეული სიმძაფრე და ემოციური დაძაბულობა. ზოგჯერ იგი გადადის ლანძვარგინებაში, ირონიულ შენიშვნებში, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვთ სადისკუსიო თემასთან. ამ დროს მოკამათეები არაკორექტულად იქცევიან. არც საქმიანი და არც სასწავლო დისპუტის მონანილეები არ შეიძლება დაემსგავსონ სახედაკარგული ადამიანების ბრბოს.

კამათი სერიოზული მოვლენაა. მან შეიძლება შელახოს მოკამათეების თავმოყვარეობა, ღირსება, სიამაყე. ადამიანის შეურაცხყოფა ძნელი არ არის, მაგრამ რას შემატებს ეს იმ პრობლემას, რის გამოც კამათი გაიმართა?

დისკუსიის ერთ-ერთი სახეა დიალოგიც. რა ფორმით განიხილავთ პრობლემას (დიალოგი, დისკუსია, პოლემიკა), ეს თქვენი გადასაწყვეტია. თეორიულად არც ერთ მათგანს არა ენიჭება უპირატესობა მეორის წინაშე. ყოველი მათგანი მისაღებია კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. ეს ფორმები საკმაოდ დინამიკურია. დიალოგი შეიძლება გადაიზარდოს დისკუსიაში, დისკუსია – პოლემიკაში, ან პირიქით.

კამათის წარმართვის ხელოვნებას *ერისტიკა* ეწოდება, მისი მთავარი ამოცანაა, ადამიანს გამოუმუშაოს თავისი მოსაზრებების ჭეშმარიტებაში სხვისი დარწმუნების უნარი.

რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოთ კამათის დროს? ამ კითხვაზე ამომწურავი და ერთგვაროვანი პასუხი არ არსე-

ბობს. იგი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე:

- როგორია კამათის თემა;
- როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება კამათის ობიექტისადმი;
- როგორ აისახება კამათის შედეგები თქვენს პირად კეთილდღეობაზე;
- როგორი ურთიერთობა გაქვთ ოპონენტებთან;
- როგორ პირობებში და სად მიმდინარეობს კამათი;
- როგორია თქვენი ტემპერამენტი და შეგიძლიათ თუ არა მისი მართვა;
- რამდენად ღრმად იცნობთ სადისკუსიო საკითხს თქვენ და თქვენი ოპონენტები;
- ერთობლივ გადანყვეტილებამდე მისვლა გსურთ თუ გირჩევნიათ, თქვენს პოზიციას იდგეთ.

კამათის დროს რომ თავს თავდაჯერებულად იგრძნოთ, სისტემატურად უნდა მონაწილეობდეთ დისკუსიებსა და დისკუსიებში, რის შედეგადაც ნელ-ნელა გამოგიმუშავდებათ საჭირო უნარ-ჩვევები.

არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც მზად არის, იკამათოს ყველასთან, ყველაფერზე და ყოველთვის. ისინი მუდმივ ოპოზიციაში არიან, მაგრამ იმის გამო, რომ არ აქვთ პროფესიული ცოდნა, ვერ სწვდებიან პრობლემის არსს და ყველას ხელს უშლიან და აღიზიანებენ. გახსოვდეთ, ასეთ ადამიანებთან კამათს აზრი არ აქვს, მაინც ვერაფერს გახდებით.

არსებობს მოსაზრება, რომ კამათის დროს ვერავინ ვერავის გადარწმუნებას ვერ შეძლებს. მაშინ იბადება კითხვა: „აბა, რისთვის ვიკამათოთ?“ თუ თქვენ გულწრფელად გსურთ სწორი გადანყვეტილების მიღება, გახსოვდეთ ლეონარდო და ვინჩის სიტყვები: *„მონინააღმდეგე, რომელმაც სააშკარაოზე გამოიტანა თქვენი შეცდომები, თქვენთვის უფრო მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე მეგობარი, რომელსაც მათი დაფარვა სურს“.*

როგორი მწარეც არ უნდა იყოს სიმართლე, ის ბევრად უფრო საჭირო და სასარგებლოა, ვიდრე სასიამოვნო ტყუილი.

კამათის მთავარი მიზანია მოწინააღმდეგის მსჯელობაში შეცდომების აღმოჩენა. კამათი კამათისათვის მიუღებელია ისევე, როგორც კამათი მოწინააღმდეგის განსაქიქებლად. ასეთი კამათის მთავარი ამოცანაა არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ ოპონენტისთვის გულის ტკენა.

ერისტიკის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კამათის დროს არ შეიცვალოს მისი თემა ან თეზისი. ეს თეორიულად ადვილად განსასაზღვრია, მაგრამ პრაქტიკულად ძნელი ხდება ხოლმე დადგენილი ჩარჩოების დაცვა.

ზოგჯერ მოკამათეები ისე ასცდებიან კამათის საგანს, რომ ვერც კი ამჩნევენ ამას. ამიტომ დროდადრო უნდა დაზუსტდეს მხარეების პოზიციები, დაკონკრეტდეს დასკვნები და, თუ ვინმე გასცდა თემის საზღვრებს, მას აუცილებლად მიუთითონ ამის შესახებ.

კამათის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად ლოგიკურია მოკამათე.

როცა ყველა იღლება ან ვნებები ბობოქრობს და სიტუაცია იძაბება, მიზანშეწონილია მისი განმუხტვა ხუმრობით, ანეკდოტით. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთივე სურვილი სხვა მონაწილეებსაც შეიძლება გაუჩნდეს და ამით შესაძლოა საერთოდ ასცდეთ კამათის თემას.

კამათის უმნიშვნელოვანესი, შეძლება ითქვას, მთავარი მოთხოვნაა ჭეშმარიტების დადგენა („კამათში იზადება ჭეშმარიტება“). მის დროს თავშეუკავებლობა ცუდი მრჩეველია. კამათისას სიტუაცია მუდმივად ვითარდება, წარმოჩნდება ახალი დეტალები, მანამდე უცნობი ფაქტები, სახელდება ახალი არგუმენტები, იცვლება მონაწილეთა პოზიციები და მათი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. ამ ვითარებაში მოკამათებმა უნდა გამოავლინონ მოქნილობა და სწრაფი რეაგირება მოახდინონ ცვლილებებზე. თუ თქვენ მყარი პოზიცია გაქვთ მოცემულ

საკითხზე, ის უნდა დაასაბუთოთ და დაიცვათ, ხოლო თუ დარწმუნდებით, რომ იგი არასწორია, სჯობია აღიაროთ თქვენი შეცდომა, ვიდრე უაზროდ დაიცვათ მცდარი პოზიცია. კამათის დროს სასურველია გამოიჩინოთ დიდი მოთმინება და ტაქტი.

კამათში რომ გაიმარჯვოთ, უნდა ფლობდეთ მის სტრატეგიას და ტაქტიკას.

კამათის სტრატეგია – ეს არის არგუმენტაციის ზოგადი პრინციპი, არგუმენტების გამოყენება თქვენი პრინციპების დასასაბუთებლად და გასამყარებლად. **კამათის ტაქტიკა** კი ისეთი არგუმენტების მოძებნასა და შერჩევას გულისხმობს, რომლებიც უფრო მეტად დამაჯერებელი იქნებიან მოცემულ აუდიტორიაში.

კამათის სტრატეგია სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

- კამათის თემა ფორმულირებული უნდა იყოს ნათლად და გასაგებად;
- კამათის თემა არ შეიძლება განიმარტებოდეს ორაზროვნად;
- მთელი კამათის განმავლობაში კამათის თემა არ უნდა შეიცვალოს.

კამათის არგუმენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- არგუმენტები უნდა იყოს ჭეშმარიტი;
- არგუმენტების ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს თეზისისაგან დამოუკიდებლად. თეზისის ჭეშმარიტების დასაბუთება ხდება შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, ხოლო თვით არგუმენტების სანდოობა გამოიყვანება თეზისიდან.
- არგუმენტებმა უნდა უზრუნველყონ თეზისის აუცილებლობა.

არგუმენტების ძალას მათი რაოდენობა კი არ განაპირობებს, არამედ მათი ხასიათი და კავშირი წამოყენებულ

თეზისთან.

როცა ადამიანმა იცის დისკუსიის, პოლემიკის, დისპუტის, და ყოველდღიური დიალოგის წარმართვის ძირითადი პრინციპები, იგი წარმატებით დაიცავს თავის თვალსაზრისს და უფრო თავდაჯერებულად იგრძნობს თავს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

მეტყველების ტექნიკა

მეტყველების ტექნიკა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ესენია: ხმა, დიქცია (წარმოთქმა), მეტყველების ტემპი, პაუზა და ინტონაცია.

ორატორი უნდა ფლობდეს თავის ხმას. ეს აუცილებელია არა მარტო ორატორისათვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისათვის. ხმა იბადება ხორხში, მისი ენერჯიის ძირითადი ნაწილი შთაინთქმება და ჩაიხშობა ორგანიზმის მიერ. ხმის თავდაპირველი ენერჯიის მხოლოდ 1/10 – 1/50 ნაწილი გამოაღწევს ხორხიდან. სწორედ ეს არის თქვენი ხმა და თქვენი ამოცანაა ისწავლოთ, როგორ მართოთ იგი.

ადამიანის ხმას სხვადასხვა მახასიათებელი გააჩნია. ესენია: ტემბრი (შეფერილობა), სიმაღლე (ქალის ხმა უფრო მაღალია, ვიდრე კაცის), დიაპაზონი (ინდივიდუალისათვის დამახასიათებელი ბგერების ერთობლიობა ყველაზე დაბალი ბგერებიდან ყველაზე მაღალ ბგერამდე).

ფართო დიაპაზონის ხმა არაჩვეულებრივი დამხმარე საშუალებაა ორატორისთვის. ხმის მდგრადობის შენარჩუნებით, ერთი ტონალობიდან მეორეზე გადასვლით ორატორს ეძლევა დიდი შესაძლებლობები, რომ საჯარო გამოსვლა კიდევ უფრო ეფექტური გახადოს.

ინტონაცია. ყოველდღიური მეტყველების დროს ადამიანი ვერც ამჩნევს, რომ მუდმივად ცვლის ინტონაციას და ამით სიტყვებს მეტ გამომსახველობას ანიჭებს. ბ.შოუ ამბობდა:

„უნდა შეგეძლოს, ათასჯერ თქვა „დიახ“ და ათასჯერ — „არა“ და ყოველ ჯერზე განსხვავებულად.“

ორატორულ ხელოვნებაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ხმის ძალა. არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ ხმის ძალა და ხმის სიმაღლე. ხმის ძალა, უპირველეს ყოვლისა, არის მისი ჟღერადობა: ორატორი ხმადაბლა ლაპარაკობს, მაგრამ ყველას კარგად ესმის. სწორედ ეს არის ე.წ. „დაყენებული ხმის“ ეფექტი. სპეციალური სავარჯიშოების შესრულება ხელს უწყობს ხმის გაძლიერებას.

ნორმების დაცვით ბგერების, სიტყვებისა და წინადადებების მკვეთრ წარმოთქმას დიქცია ეწოდება.

ბგერების წარმოთქმის სიზუსტე ორატორის თავაზიანობის გამოხატულებადაც კი მიიჩნევა. დიქცია შეიძლება გაიუმჯობესოთ, თუ მასზე სისტემატურად იმუშავებთ. ამაში ხელს შეგიწყობთ ბაგეების, ლოყების, ენის, ქვედა ყბის კუნთებისათვის განკუთვნილი სპეციალური სავარჯიშოები, რომლებიც დაგეხმარებათ არტიკულაციის მყარი ჩვევების ჩამოყალიბებაში.

მეტყველების სისწრაფე დამოკიდებულია ორატორის ინდივიდუალურ თვისებებზე, მის ტემპერამენტზე, ლექციის შინაარსზე და იმ სიტუაციაზე, რომელიც საჯარო გამოსვლის დროს არის შექმნილი.

ორატორებს, რომლებიც ტყვიამფრქვევივით ისვრიან სიტყვებს, როგორი ჭკვიანური აზრები და კარგი დიქციაც არ უნდა ჰქონდეთ, არავენ მოუსმენს, რადგან ასეთი სწრაფი მეტყველების აღქმა მსმენელს არ შეუძლია.

ზოგი ორატორი მეტყველებს ძალიან ნელა, მეტყველების ასეთი მანერა აუდიტორიას ძილს ჰგვრის. გაუბედავი, „ნატანჯი“ მეტყველება დამახასიათებელია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არა აქვთ მყარი და საკმაო ცოდნა იმ საკითხების შესახებ, რაზედაც ისინი საუბრობენ.

პაუზა მოკლე გაჩერებაა მეტყველების დროს. იგი ას-

რულებს ყველაზე უფრო განსხვავებულ ფუნქციებს. პაუზა უზრუნველყოფს სუნთქვის პროცესს. ორატორები, რომლებსაც არ შეუძლიათ მისი გონივრული გამოყენება, იხრჩობიან ჰაერის უკმარისობით, მათი მეტყველება ხდება არითმიული და გაუგებარი. პაუზა იმის საშუალებასაც იძლევა, მოვიფიქროთ, რა ვთქვათ შემდეგ, ან მოვძებნოთ (გაეიხსენოთ) საჭირო სიტყვა. ამავე დროს პაუზა საჭიროა იმისათვის, რომ გამოვყოთ საჯარო გამოსვლის კომპოზიციური და აზრობრივი ნაწილები. პაუზის გარეშე გამოსვლა „მიფუჩჩებულის“ შთაბეჭდილებას ტოვებს და ძნელად აღიქმება.

გაგრძელებული პაუზა ორატორს ეხმარება მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება. მან კულმინაციურ მომენტში რომ საუბარი შეწყვიტოს, აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოვარდება და ყველა ორატორს მიაპყრობს მზერას.

ხშირად ზეპირი მეტყველების დროს პაუზა წერიითი მეტყველების სასვენ ნიშნებს შეესატყვისება. ვინც სწორად სვამს სასვენ ნიშნებს, იგი სწორად და გასაგებადაც მეტყველებს, რაც ეხმარება მსმენელს, კარგად გაიგოს და აღიქვას მისი ნათქვამი.

თავი III ფუნქციური სტილები

სტილი წარმოშობით ბერძნული სიტყვაა და აღიშნავს ჯოხს, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფირფიტებზე. ამ ჯოხის ერთი მხარე წანვეტებული იყო, ხოლო მეორე კი — ბლაგვი, რათა დანერილი ნაეშალათ.

ფუნქციური სტილები გულისხმობს ენობრივი საშუალებების სისტემებს, რომლებიც მიეკუთვნებიან პროფესიული საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს და გამოიყენებიან სხვადასხვაგვარი ურთიერთობის დროს. თანამედროვე ქართულ ენაში გამოიყოფა:

ა) წიგნური ფუნქციური სტილები:

- სამეცნიერო,
- პუბლიცისტური,
- ოფიციალურ-საქმიანი.

ბ) სასაუბრო სტილი

ამთგან წიგნური სტილი ძირითადად გამოიყენება წერითი მეტყველების დროს, ხოლო სასაუბრო — ძირითადად ზეპირი მეტყველებისას.

ზოგიერთი მეცნიერი ფუნქციური სტილებში გამოყოფს მხატვრულ სტილსაც, ანუ მხატვრული ლიტერატურის სტილს. ეს თვალსაზრისი საკამათოა, რადგან მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ენობრივი საშუალებების მრავალფეროვან პალიტრას გამოიყენებენ. აქედან გამომდინარე, მხატვრული ენა არ წარმოადგენს ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენების მთლიანობას, მეტიც, მხატვრულ ენას არ ახასიათებს რაიმე სტილისტური ჩაკეტილობა, მის სპეციფიკას მთლიანად ინდივიდუალურ-საავტორო სტილი განსაზღვრავს.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, რამდენად არის გამპირობებული ჩვენი მეტყველება ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებით, ანუ სამეტყველო სიტუაციით, მოვიყვანთ ასეთ

მაგალითს:

წარმოვიდგინოთ ცოლ-ქმრის დიალოგი: ქმარი ეკითხება ცოლს, რას აკეთებდა იგი მთელი დღის განმავლობაში, ცოლი პასუხობს: *„დღის პირველ ნახევარში მე ჩქარი ტემპით აღვადგინე სასურველი წესრიგი მთელ საცხოვრებელ ფართში, ავრეთვე, საკვების მოსამზადებლად განკუთვნილ საერთო სარგებლობის დამხმარე ნაგებობაში. შემდგომში მე დავგეგმე და განვახორციელე ვიზიტი სავაჭრო ცენტრში იმ მიზნით, რომ იქ მომეხდინა საჭირო სასურსათო საქონლის შესყიდვა.“*

თუ ცოლი შეგნებულად არ ხუმრობს, მაშინ ეს არის სრულიად არაადეკვატური პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი როგორც აზრობრივად, ასევე სალიტერატურო ენის ნორმებიდან გამომდინარე, სწორია. ამ ტიპის ფრაზები მიზანშეწონილია ოფიციალურ პასუხებში, დადგენილებებში, საქმიან წერილებში, ანუ საკანცელარიო სტილის ფუნქციონირების არეში, მაგრამ უადგილო და მიზანშეუწონელი — ცოლ-ქმრის დიალოგში, ანუ იქ, სადაც სასაუბრო სტილი გამოიყენება. ცოლს, ალბათ, ასე უნდა ეპასუხა: *„დილით ოთახი და სამზარეულო სწრაფად დავალაგე და შემდეგ მაღაზიაში წავედი პროდუქტების შესაძენად.“*

გახსოვდეთ, სამეცყველო სტილს სამეცყველო სიტუაცია განსაზღვრავს.

სასაუბრო სტილი. ამ სტილს ენაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება. მისი დანიშნულებაა ინფორმაციის უშუალო გადაცემა ზეპირი ფორმით (გამონაკლისს შეადგენს: პირადი წერილები, ჩანაწერები, დღიურები). სასაუბრო სტილის ენობრივი ნიშნები განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების განსაკუთრებულ პირობებს(არაოფიციალურობა, უშუალოება, ძალდაუტანებლობა, მეტყველების ავტომატიზმი, ყოველდღიური შინაარსი და დიალოგური ფორმა).

სასაუბრო სტილზე დიდ გავლენას ახდენს სიტუაცია. იგი საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად შემცირდეს (შეიკუმშოს)

გამონათქვამი, მას დააკლდეს გარკვეული კომპონენტები, რაც ხელს არ შეუშლის ფრაზის გაგებას და აღქმას. მაგ: საფუნ-
თუშეში უცნაურად არ გვეჩვენება ასეთი ფრაზა: *„ერთი შავი,
მრგვალი, ორი ჭვავი“*; ტაქსიში: *„საბურთალო, 3 ლარი“*.
რკინიგზის ვაგზლის სალაროში: *„ბორჯომი, ერთი დიდი, ერთი
პატარა“*. სასაუბრო სიტუაციიდან გამომდინარე, არავის გაუ-
ჭირდება სწორად გაიგოს, რას ნიშნავს ვაგზლის სალაროში
ნათქვამი *„ბორჯომი, ერთი დიდი, ერთი პატარა“* და რას ნიშნავს
ზუსტად იგივე ფრაზა (*„ბორჯომი, ერთი დიდი, ერთი პატარა“*)
სასურსათო მალაზიაში.

ყოველდღიურ ურთიერთობაში ადგილი აქვს კონკრეტულ, ასოციაციურ აზროვნებას და აზრის გამოხატვა ხდება უშუ-
ალოდ, ექსპრესიულად. აქედან გამომდინარე, სამეტყველო ფორმები არის მოუნესრიგებელი, ფრაგმენტული, ხოლო სტილი — ემოციური.

სასაუბრო სტილს არ ახასიათებს ოფიციალურობა, იგი უშუ-
ალოა და არ საჭიროებს წინასწარ მომზადებას.

სასაუბრო სტილში, რომლისთვისაც ზეპირი ფორმაა უმ-
თავრესი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტყველების ბგერითი მხარე და, უპირველეს ყოვლისა, ინტონაცია. მისთვის დამახასიათებელია ორთოეპიული ნორმების გამარტივება. მეტყველების ორგანოების სულ მცირე დაძაბვა ზოგჯერ ბგერის დაკარგვასაც კი იწვევს (*მაგ.: გენაცვალე > გენცვალე > გენაცვა...).*

რადიო- და ტელეჟურნალისტიკაში წარმოთქმის და ინ-
ტონაციის განსაკუთრებული წესები მოქმედებს. იმპროვიზირე-
ბულ, მოუმზადებელ ტექსტებში (საუბარი, ინტერვიუ) სრულიად მოსალოდნელია სასაუბრო სტილის ელემენტების არსებობა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი უპირატესობა ნეი-
ტრალურ ვარიანტებს უნდა მივანიჭოთ. მოსაუბრის მეტყ-
ველების მაღალი კულტურა გულისხმობს სიტყვის ზუსტად და სწორად წარმოთქმას, ენისათვის ბუნებრივი, სწორი მახ-

ვილებს გაკეთებას.

სასაუბრო სტილში არ არის გამორიცხული არასალიტერატურო ელემენტების (პროფესიონალიზმები, დიალექტიზმები, ჟარგონები) გამოყენება, რომლებიც ამდაბლებენ სტილს. ამგვარი ლექსიკა ძირითადად ყოფითი შინაარსისაა, კონკრეტული. ფუნქციური სტილის ამ სახეში ნაკლებად გვხვდება ნიგნური სიტყვები, ტერმინები და ნაკლებადგავრცელებული ნასესხობები. მისთვის ნიშანდობლივია ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკის (ფამილარული, მოფერებით-კინიობითი, ირონიული, გამკიცხავი) სიჭარბე.

სასაუბრო სტილში განსაკუთრებით მოქმედებს სამეტყველო საშუალებების ეკონომიის კანონი, ამიტომ ორი და სამი სიტყვისაგან შემდგარი სახელების ნაცვლად გამოიყენება ერთი ან ორი სიტყვა. მაგალითად, რვასართულიანი სახლის ნაცვლად — *რვასართულიანი*; სამოთახიანი ბინის ნაცვლად — *სამოთახიანი*; სააკადის სახელობის მოედნის ნაცვლად — *საკადის მოედანი*.

სასაუბრო სტილი მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით („სად იყო და სად არა...“, „თვალის დახამხამებაში“). ზოგი მათგანი უფრო ექსპრესიულია („ონოფრე ბერივით ბუტბუტი“, „ფეხებზე დაკიდება“, „კისერი მოგიტეხია“, „ენის მოფხანა“). ისინი მეტყველებას ხატოვანების ელფერს მატებენ და ნიგნური და ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმებისგან განსხვავებით განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩევიან (შდრ.: „სული განუტევა“, „ფეხები გაფშკა“, „გავიდა მარილზე“).

სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელია მოფერებით-კინიობითი ფორმები (*ბიძიკო, ელიკო, დაიკო, ძამია...*) და მიმართვის თავისებური, შემოკლებული ფორმები: (*დე!* — *დედა*, *მა!* — *მამა*, *ნან!* — *ნანა*).

სასაუბრო სტილში ხშირად გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფორმები: „საკაბე ვიყიდე — თეთრი აბრეშუმი“.

სასაუბრო სტილის სინტაქსი მეტად თავისებურია, რაც გან-

პირობებულია მისი ზეპირი ფორმით და მკვეთრი ექსპრესიულობით. აქ გვხვდება მარტივი, უფრო ხშირად განსხვავებული სტრუქტურის არასრული წინადადებები, რომელიც მოსაუბრეებისათვის სრულიად გასაგებია. მაგალითად, მაღაზიაში რვეულების ყიდვის დროს მოისმენთ ასეთ ფრაზას: *„მაჩვენეთ ცალხაზიანი თორმეტფურცლიანი“*; თეატრალურ სალაროში — *„მარჯანიშვილი არ მინდა, რუსთაველი თუ შეიძლება“*, აფთიაქში, წამლის ყიდვისას — *„გულის გინდათ?“*

ცოცხალ მეტყველებაში უჩვეულოა სიტყვათა თანმიმდევრობაც. პირველ ადგილზე, როგორც წესი, არის შეტყობინების მთავარი სიტყვა: *„ნაყინი მიყიდე, ვთხოვ!“* *„ვალუტით გადაიხადეთ“*; *„ტრაგიკული ის არის, რომ ვერაფრით უშველი“*.

უნდა აღინიშნოს, რომ სასაუბრო სტილის სინტაქსისთვის ნიშანდობლივია სიტყვა-წინადადებების გამოყენება. *კარგი. გასაგებია. დიახ. არა. სასურველია. აბა რა. კარგი რა. შეიძლება. ვნახოთ*, აგრეთვე გვხვდება ჩართული კონსტრუქციები.

სასაუბრო სტილი სხვებთან შედარებით ხშირად გამოდის ნორმირებული სალიტერატურო ენის ჩარჩოებიდან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასაუბრო სტილი ყოველთვის წინააღმდეგობაში მოდის სალიტერატურო ენასთან. ყოველმა ფუნქციურმა სტილმა გამოიმუშავა საკუთარი ნორმები, რომლებსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ. თუ რამდენად დიდია მისგან გადახრა, ეს დამოკიდებულია მოსაუბრეების კულტურაზე. სასაუბრო სტილსაც აქვს თავისი პლასტები: მდაბალი, უხეში, უწმანური. ინტელიგენტი და განათლებული ადამიანების ყოველდღიური მეტყველება, რომელიც სასაუბრო სტილის სფეროს განეკუთვნება, სალიტერატურო ენის ნორმებშიც თავსდება და ამავე დროს მკვეთრად განსხვავდება მკაცრად ნორმირებული წიგნური სტილისაგან.

წიგნური სტილი. სასაუბროსაგან განსხვავებით წიგნური სტილი მეტწილად წერილობითი ფორმით რეალიზდება. მისთვის დამახასიათებელია სალიტერატურო ენის ნორმების მკაცრი

დაცვა, საყოველთაო გამოყენების ნეიტრალური ლექსიკა და ლექსიკის სტილური ერთგვაროვნება. სასაუბრო ლექსიკური ერთეულების გამოყენება წიგნურ სტილში გაუმართლებელია.

წიგნური სტილის ფრაზეოლოგია არის ნეიტრალური („ყურადღების მიქცევა“, „მნიშვნელობა ენიჭება“, „როლს თამაშობს“, „სიტყვა ეძლევა“ და ა. შ.) და სპეციალური (სამეცნიერო: „ხვედრითი ნონა“; ოფიციალურ-საქმიანი: „ადგილი აქვს“ „ჩვენების მიცემა“; პუბლიცისტური: „პირდაპირი ჩართვა“, „ღია ეთერი“). წიგნური ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა მოკლებულია ექსპრესიულ ელფერს („დროდადრო“, „მხედველობაში იქონიეთ“, „ხელმძღვანელი ორგანოები“, „ძალისმიერი სტრუქტურები“).

წიგნური სტილის სიტყვათწარმოება (წარმოქმნა) გამოირჩევა ე. წ. „წიგნური აფიქსების“ სიჭარბით (არსებობა, არგუმენტაცია, გაზიფიკაცია, რუსთველოლოგია, ალოგიკური, ანტიეროვნული, ცრუმეცნიერული, ინტერკონტინენტური, ულტრამემარჯვენე, ექსტრაორდინარული). წიგნურ მეტყველებაში ბევრი კომპოზიტი გვხვდება: ენათმეცნიერი, ელექტროკარდიოგრაფა, ყინვაგამძლე, მალალმხატვრული, ქვეყანათმცოდნეობა. ხშირია აბრევიატურები: თსუ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), კბს (კავკასიის ბიზნესის სკოლა), გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), აშშ (ამერიკის შეერთებული შტატები).

წიგნური სტილისთვის არ არის დამახასიათებელი შორისდებულების გამოყენება, ხმაბაძვითი სიტყვები და ნაწილაკები.

წიგნური სტილის სინტაქსი არის სასაუბრო სინტაქსის საპირისპირო ფენომენი და გამოირჩევა რთული წინადადებების სიჭარბით. აქ ვერ შეხვდებით არასრულ წინადადებებს და დაუსრულებელ ფრაზებს. წიგნურ სტილს ახასიათებს სიტყვათა ბუნებრივი რიგი.

წიგნურ სტილში არ გამოიყენება ძახილის და ბრძანებითი წინადადებები. შეიძლება შეგვხვდეს კითხვითი წინადადება,

აგრეთვე მიმართვა და ჩართული სიტყვები („ძვირფასო კოლეგებო“, „ბატონებო“, „საჭიროა აღინიშნოს“, „როგორც უკვე ვთქვით“, „ექვეგარეშეა“, „ჯერ ერთი“, „და ბოლოს“...)

ნიგნურ სტილს ახასიათებს რთული სინტაქსური კონსტრუქციები. მასში ხშირად ვხვდებით ციტატებს, ძალიან იშვიათად გვხვდება პირდაპირი ნათქვამი. ცალკეული გამონაკლისის გარდა, ნიგნური სტილი მონოლოგურია.

სამეცნიერო სტილი. სამეცნიერო სტილს ახასიათებს ნიგნური სტილის ყველა თავისებურება და ამასთან აქვს რიგი სპეციფიკური ნიშნებიც, რომლებიც სპეციალურ შესწავლას საჭიროებენ.

სამეცნიერო სტილის სპეციფიკა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება არაენობრივი ფაქტორებით: სამეცნიერო შრომების ძირითადი დანიშნულება კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გადმოცემით მკითხველამდე სამეცნიერო ინფორმაციის მიტანაა. ეს განსაზღვრავს სამეცნიერო ენის მონოლოგურ ხასიათს. სამეცნიერო სტილი წარმოდგენილია სამეცნიერო (მონოგრაფიები, სტატიები, რეფერატები, თეზისები, ანოტაციები...) და საცნობარო (ენციკლოპედიები, ლექსიკონები...) ლიტერატურით და სახელმძღვანელოებით. ამ სახის ლიტერატურის შინაარსი და დანიშნულება განსხვავებულია, მაგრამ მათ აერთიანებთ ცნებებით აზროვნება, მსჯელობები და დასკვნები, რომლებიც მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით გამომდინარეობენ ერთმანეთისაგან.

სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელია განყენებულობა და განზოგადება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩანს ლექსიკაში. სამეცნიერო ტექსტში თითქმის ყოველი სიტყვა აღნიშნავს არა კონკრეტულს, არამედ ზოგად, აბსტრაქტულ მოვლენას. მაგალითად, „ადამიანის საკუთარი სახელი წოდებით ბრუნვაში ნიშანს არ დაირთავს“. აქ საკუთარ სახელში იგულისხმება არა რომელიმე კონკრეტული გიორგის, დავითის, ელენეს, თამარის სახელი, არამედ საერთოდ ყველა ანთროპონიმი; „მანდარინი

ყინვას ვერ უძლებს“ ნიშნავს არა რომელიმე კონკრეტულ მანდარინს, არამედ ამ ჯიშის ყველა ხეს.

სამეცნიერო სტილის ლექსიკა შედგება სამი ძირითადი პლასტისაგან:

- საყოველთაო გამოყენების სიტყვები (*ცოდნა, სამსახური, რიცხვი, შესწავლა*);
- ზოგადმეცნიერული სიტყვები (*კვლევა, ექსპერიმენტი, ანალიზი, ფორმულირება*);
- ტერმინები (*სინტაქსი, მოლეკულა, გრძედი, პნევმონია*).

ტერმინების განმასხვავებელი ნიშანია მათი ზუსტი განმარტების (დეფინიციის) შესაძლებლობა და ერთმნიშვნელობიანობა (მონოსემიურობა). ტერმინოლოგიური ლექსიკა შეადგენს სამეცნიერო სტილის ბირთვს. ეს არის მეცნიერების ენის ყველაზე უფრო არსებითი ნიშანი. ტერმინები ქმნიან ამა თუ იმ მეცნიერების ტერმინოლოგიურ სისტემას.

ლინგვისტურ ტერმინებს — სინონიმი, ანტონიმი, ომონიმი, პარონიმი — აერთიანებს ბერძნული ძირი ონომა (სახელი, დასახელება). სამედიცინო ტერმინოლოგიაში -იტ სუფიქსის დართვის იწარმოება ანთებითი პროცესების აღმნიშვნელი ტერმინები (ბრონქიტი, აპენდიციტი, ჰაიმორიტი, რადიკულიტი). როგორც ვხედავთ, ტერმინების სისტემურობა ენობრივ გამოსახულებასაც პოვებს.

სამეცნიერო სტილისთვის დამახასიათებელია სიტყვების გამოყენება მათი პირდაპირი მნიშვნელობით (გადატანითი მნიშვნელობით სიტყვების გამოყენება აქ შეზღუდულია), მისთვის მიუღებელია, აგრეთვე, ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა (მოფერებითი, კინოზითი ფორმები და ა.შ.). ლექსიკური ხატოვანი საშუალებები სამეცნიერო სტილში იშვიათად გვხვდება, ისიც ძალიან მიზანმიმართულად. მაგალითად, შედარებების საშუალებით შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ მოვლენის ახსნა: *„ოკეანის მოქცევა მთებივით ტალღებს წარმოქმნის“*. ხოლო რაც შეეხება სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, მეტყ-

ველების სატოვანება იქ ჩვეულებრივი მოვლენაა.

სამეცნიერო სტილისთვის ნიშანდობლივია სიტყვათა სწორი წყობა წინადადებაში, რაც გარკვეულწილად განაპირობებს აზრის ფორმულირების სიზუსტეს და სისწორეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აბზაცების მართებულად გამოყოფას, რაც მსჯელობის ლოგიკურ მხარეს უკეთესად წარმოაჩენს.

თანმიმდევრულობა, სიმწყობრე, ლოგიკურობა, სინტაქსური წყობის მოწესრიგებულობა, ზმნების ნაკლებობა, მსჯელობის ლაკონურობა და მტკიცებითი ფორმა ახასიათებს ყველა სახის სამეცნიერო ნაშრომს. მონოგრაფიებში, სამეცნიერო სტატიებში, რეფერატებში ტერმინები ბევრია, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში კი ცოტაა და, როგორც წესი, მათ თან შესაბამისი განმარტებები ახლავთ.

პუბლიცისტური სტილი. პუბლიცისტურ სტილს სხვაგვრად საგაზეთო-პუბლიცისტური ჰქვია. ეს სტილია გამოყენებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის განკუთვნილ ჟურნალ-გაზეთებში, კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებში (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი), საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების საჯარო გამოსვლებში (მიტინგებზე, ყრილობებზე, კრებებზე).

პუბლიცისტიკას სხვაგვრად *თანამედროვეობის მატეანესაც* უწოდებენ, რადგან იგი აშუქებს დღევანდლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს: პოლიტიკურ, სოციალურ, საყოფაცხოვრებო, ფილოსოფიურ, ეკონომიკურ, მორალურ-ეთიკურ, აღზრდის და სხვა საკითხებს. მისი თემატიკა და ჟანრული მრავალფეროვნება შეუზღუდავია. ჩვენი დროის ცოცხალი ისტორია აისახება ინფორმაციულ (შენიშვნა, ჩანაწერი, რეპორტაჟი, ანგარიში, ინტერვიუ, ქრონიკა, მიმოხილვა, რეკლამა), ანალიტიკურ (სტატია, კორესპონდენცია, კომენტარი, რეცენზია, ანალიზი) და მხატვრულ-პუბლიცისტურ (ნარკვევი, ფელეტონი, პამფლეტი) ჟანრებში.

პუბლიცისტურ სტილში შერწყმულია ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია — საინფორმაციო და შემოქმედებითი. ჟურნალისტი მოვლენების გულგრილი რეგისტრატორი კი არ არის, არამედ მათი აქტიური მონაწილეა, რომელიც თავგამოდებული იცავს თავის მრწამსს. ჟურნალისტიკა მონოდებულია აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე მოვლენებში, შექმნას საზოგადოებრივი აზრი, გასწიოს აგიტაცია. საკითხები, რომელსაც ჟურნალისტები აყენებენ, მილიონობით ადამიანს აღელვებს (სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, ეთნიკური კონფლიქტები, ადამიანის უფლებები და ა. შ.). ამ თემებზე მშრალი წიგნური ენით ვერ დანერ. ამიტომ პუბლიცისტურ სტილს ემოციურობაც ახასიათებს.

პუბლიცისტური სტილის ინფორმაციული ფუნქცია განსაზღვრავს მის სიზუსტეს, ლოგიკურობას, ოფიციალურობას, სტანდარტულობას. საგაზეთო პუბლიკაციები ძალიან სწრაფად მზადდება, დროის მოგების მიზნით ჟურნალისტები გამოიყენებენ მათთვის კარგად ცნობილ პუბლიცისტურ მეთოდს, მყარ სამეცხველო კონსტრუქციებს – კლიშეებს. ეს განაპირობებს გაზეთის ენის სტანდარტიზაციას. ენობრივი სტანდარტების გამოყენება ზოგავს რეპორტიორების ძალას და ენერგიას და ეხმარება მათ, ოპერატიულად გამოეხმაურონ ყველა მოვლენას. ამავე დროს იგი მკითხველსაც უიოლებს ახალი ინფორმაციის აღქმას. თუ საგაზეთო პუბლიკაცია დაწერილია მარტივი, ნაცნობი გამოთქმებით, მაშინ მისთვის თვალის გადავლებაც კი საკმარისი იქნება, რომ ადვილად ჩაენვდეთ მის მთავარ აზრს. ექსპრესიისა და სტანდარტის შერწყმა პუბლიცისტური სტილის მთავარი ნიშანია.

ვინაიდან პუბლიცისტური ხასიათის თხზულება მიმართულია მკითხველთა ფართო წრისადმი, მასში მოხმობილი ენობრივი საშუალებები უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. სასურველია პუბლიცისტებმა არ გამოიყენონ მკითხველისათვის გაუგებარი ტერმინები, დიალექტები, ჟარგონული სიტყ-

ვები, უცხოენოვანი ლექსიკა, ზედმეტად რთული სინტაქსური კონსტრუქციები. თუმცა, პუბლიცისტური სტილი არ არის ჩაკეტილი სისტემა, იგი ენობრივი საშუალებების ღია სისტემაა, რაც ჟურნალისტებს არ ზღუდავს გამოიყენონ სხვა ფუნქციური სტილების ელემენტები, განსხვავებული ლექსიკა (არასალიტერატურო სიტყვების და გამოთქმების ჩათვლით), თუ ისინი აუცილებელია გამიერებისა და მოვლენების რეალისტური აღწერისათვის.

პუბლიცისტურ თხზულებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის სტილს, ამა თუ იმ ჟურნალისტისათვის დამახასიათებელ ნერის მანერას. საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში თხრობა ყოველთვის პირველ პირშია, პუბლიცისტისათვის დამახასიათებელია ავტორისა და მთხრობელის თანხვედრა, ავტორი უშუალოდ უზიარებს მკითხველს თავის აზრებს, გრძნობებს, შეფასებებს. ამაშია პუბლიცისტის ზემოქმედების ძალა.

პუბლიცისტური სტილის ლექსიკა გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით და სტილისტური სიმდიდრით. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც საყოველთაოდ გამოყენებული, ასევე წიგნური და სასაუბრო ლექსიკა და ფრაზეოლოგია. სიტყვიერი მასალის შერჩევას განსაზღვრავს თემატიკა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების გაშუქებისას გვხვდება სიტყვები: *პრივატიზაცია, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბირჟა, ბიზნესი, დემოკრატია*; ყოველდღიური ცხოვრების საკითხების გაშუქებისას — *პენსია, ხელფასი, სამომხმარებლო კალათა, უმუშევრობა, ცხოვრების დონე, შობადობა და ა. შ.*

ამ სტილისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ნეიტრალური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ფონზე შეფასებითი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური საშუალებებიც წარმატებით გამოყენება. მათ შორის შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო მდაბიური და უხეში სასაუბრო სიტყვები და გამოთქმები (*„ტუსოვკა“, „პრიხვატიზაცია“, „მაგარი“...*), არამედ წიგნურიც (*მამული, აგონია, ასრულდა სანადელი, შოკური თერაპია,*

ბაბილონის გოდოლი...). პუბლიცისტები ხშირად იყენებენ ტერმინებს ხატოვანი მნიშვნელობით (*რასიზმის ვირუსი, ყბედობის ეპიდემია, მოლაპარაკების რაუნდი, ქიში მთავრობას, პოლიტიკური ფარსი, პაროდია დემოკრატიაზე, ცეცხლის ხაზი, ბიუროკრატიზმის ქრომოსომები*), რაც არ გამორიცხავს, რასაკვირველია, შესაფერის კონტექსტში მათ გამოყენებას პირდაპირი მნიშვნელობით.

პუბლიცისტური სტილი ღიაა ინტერნაციონალური პოლიტიკური ლექსიკოსათვის. განსაკუთრებით გაფართოვდა ამ სიტყვების წრე XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე (*პარლამენტი, ელექტორატი, ინაუგურაცია, სპიკერი, იმპიჩმენტი, დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტი, ლეგიტიმური, კონსენსუსი, რეიტინგი, ექსკლუზიური, კორუფცია, პრეზენტაცია და ა.შ.*) შეივსო მეცნიერული ტერმინოლოგიის ლექსიკონიც (*ინტერნეტი, პრინტერი, ვირტუალური სამყარო, სტაგნაცია...).*

პუბლიცისტური სტილი სწრაფად ითვისებს ახალ ცნებებს და შესაბამისად სიტყვებს, სიტყვათშეხამებებს, რომლებიც ასახავენ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს (*ფინანსური გაჯანსაღება, ალტერნატიული არჩევნები, ეკონომიკური სივრცე, ინტერესთა ბალანსი, ახალი პოლიტიკური აზროვნება, დიალოგის პოლიტიკა*). ჩნდება უჩვეულო შესიტყვებები, რომლებიც ახასიათებენ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს (*ვარდების რევოლუცია, ნარინჯისფერი მინისტრთა კაბინეტი, აბრეშუმის გზის მომხრე*).

ჟანრიდან გამომდინარე, პუბლიცისტურ თხზულებაში შეიძლება შეგვხვდეს განსხვავებული ლექსიკა და ფრაზეოლოგია. ფელეტონში შეიძლება გამოვიყენოთ ხალხური სასაუბრო მეტყველება, კომიკური ეფექტის მისაღებად კარგ შედეგს იძლევა სხვადასხვა სტილის ლექსიკის აღრევა, ინფორმაციულ ჟანრში კი ენობრივი საშუალებების სიჭრელე გამართლებული არ არის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პუბლიცისტურ სტილში სამეტყველო სტანდარტების, კლიშეების გამოყენება.

მათ მიეკუთვნება ისეთი გამოთქმები, რომლებმაც მიიღეს მყარი ხასიათი: *საბიუჯეტო სფეროს მუშაკები, დასაქმების სამსახური, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება, კომერციული სტრუქტურები, საინფორმაციო წყაროების მონაცემებით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჯანმრთელობის სამსახური*. ეს სამეცყველო ერთეულები ფართოდ გამოიყენება უზრუნველყოფის მიერ.

სამეცყველო სტანდარტებისაგან უნდა გავარჩიოთ სამეცყველო შტამები — შაბლონური კონსტრუქციები, რომელთაც კანცელარიზმის ელფერი დაჰკრავთ (*მოცემულ ეტაპზე, დროის მოცემულ მონაკვეთში* და ა. შ.). როგორც წესი, მათ აზრობრივად ახალი არაფერი შეაქვთ გამონათქვამის შინაარსში, მხოლოდ „ანაგვიანებენ“ წინადადებას. ამ შტამების ამოღებით ტექსტის შინაარსში, მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არაფერი შეიცვლება.

პუბლიცისტური თხზულებები გამოირჩევა წინადადების სწორი და მკაფიო წყობით და აზრის სინათლით. მათში გამოიყენება მეცყველების მონოლოგური ფორმა (ძირითადად ანალიტიკურ ჟანრებში), დიალოგი (ინტერვიუებში), პირდაპირი ნათქვამი. უზრუნველყოფის ოსტატურად იყენებენ ექსპრესიის სხვადასხვა ხერხსაც: სიტყვათა უჩვეულო წყობა, რიტორიკული შეკითხვები, მიმართვები, ძახილის წინადადებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პუბლიცისტური თხზულების სათაურს, მასზე დიდად არის დამოკიდებული დაინტერესდება თუ არა მკითხველი ამ წერილით, რადგან სათაური სარეკლამო ფუნქციასაც ითავსებს.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი ემსახურება სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარებას მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის და გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტში. მისი გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა (საერთაშორისო მოლაპარაკებებიდან და საკანონმდებლო საქმიანობიდან დაწყებული საქმიანი მიმონერით დამთავრებული). ამ სტილის

მნიშვნელოვანი ფუნქციებია — შეტყობინება და ზემოქმედება, რომელთა რეალიზაცია ხდება ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა: კანონები, დადგენილებები, ბრძანებები, ხელშეკრულებები, შეთანხმებები, საქმიანი მიმონერა, განცხადება, ხელნერილი და ა. შ. ამ სტილს სხვაგვარად ადმინისტრაციულსაც უწოდებენ, რადგან ის აწესრიგებს ოფიციალურ, საქმიან ურთიერთობებს, სამართლისა და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროს.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი გამოირჩევა თავისი სტაბილურობით, ჩაკეტილობით და სტანდარტულობით. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანი დოკუმენტების დიდი ნაირსახეობა არსებობს, მათი ენა მკაცრად ემორჩილება ოფიციალურ-საქმიანი თხრობის სტილს. დოკუმენტებში აზრის ფორმულირების სიზუსტე მათი აბსოლუტურად ადეკვატური გაგების აუცილებელი წინაპირობაა.

ნებისმიერი ფორმის საქმიანი წერილისთვის აუცილებელია სალიტერატურო ენის ნორმების მკაცრი დაცვა: დაუშვებელია სასაუბრო ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხერხების, დიალექტური ფორმების, პროფესიული და ჟარგონული სიტყვების, სასაუბრო სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება. ოფიციალურ-საქმიანი სტილი ვერ ეგუება ექსპრესიულ ელემენტებს: შეფასებით ლექსიკას (სახუმაროს, ირონიულს), ხატოვან გამოთქმებს, მას მოეთხოვება ობიექტურობა და ფაქტების აუღელვებელი გადმოცემა.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი ფუნქციონირებს უმეტესად წერილობითი ფორმით, თუმცა ზეპირი ფორმაც გააჩნია (მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების გამოსვლები საზეიმო შეკრებებზე, თათბირებზე, სხდომებზე, მიღებებზე). საქმიანი მეტყველების ზეპირი ფორმისათვის დამახასიათებელია სრული წინადადებები, ინტონაციის განსაკუთრებული გამომსახველობა, მკვეთრი ლოგიკური მახვილები. დასაშვებია მეტყველების გარკვეული ემოციური ზეანულო-

ბაც, მაგრამ დაუშვებელია არასწორი მახვილები და არასალიტერატურო წარმოთქმა.

ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელია სპეციალური სიტყვებისა და ტერმინების (იურიდიული, დიპლომატიური, სამხედრო, ფინანსური, სპორტული) გამოყენება. ლაკონიურობისკენ მისწრაფება განაპირობებს აბრევიატურების სიმრავლეს, სახელმწიფო დანესებულებების, ორგანიზაციების, პარტიების სახელების შემოკლებას (*„დღე“ — დამატებითი ღირებულების გადასახადი, „შპს“ — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, „საქნავთი“, „საქენერგო“, „თბილგაზი“*), აგრეთვე სხვა შემოკლებებს: *პროფ., დოც., აკად., ჩვ.წ. აღ-მდე და ა.შ.*

ოფიციალურ-საქმიანი ქალაქების ენა ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ ივსება და იცვლება.

საქმიან ტექსტში დასაშვებია ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომელთა გამოყენებაც არ არის მიღებული სხვა სტილებში: *ზემოაღნიშნული, ქვემოთხელისმომწერნი, აღმკვეთი ღონისძიება, მობინადრე, მეანაბრე.*

საქმიან მეტყველებას მიეკუთვნება მყარი სიტყვათშეთანხმებები: *საკასაციო წერილი, სამოქალაქო მდგომარეობის აქტი, დაუმორჩილებლობის აქტი, გაუსვლელობის ხელწერილი* და ა.შ. ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების რეგულარული გამოყენება (უნდა აღინიშნოს, რომ მათ სინონიმები არ გააჩნიათ) მეტყველებას ანიჭებს სიზუსტეს და გამოირიცხავს განსხვავებული ნაკითხვისა და განმარტების შესაძლებლობას.

ოფიციალურ სტილს არ შეიძლება ჰქონდეს ექსპრესიული შეფერილობა. ამიტომ ოფიციალურ მეტყველებაში არ გამოიყენება შორისდებულები, ზოგიერთი ნაწილაკი, იშვიათად ვხვდებით ზედსართავი სახელის უფროობითი და ოდნაობითი ხარისხის ფორმებს. ზედსართავი სახელები და მიმღობები ხშირად გამოიყენება არსებითის მნიშვნელობით (*ექვმიტანილი დააკავეს, დაზარალებული დაკითხეს, დაშავებულები წაიყ-*

ვანეს).

საქმიან მეტყველებაში თითქმის არ გამოიყენება პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ის, ისინი...), რადგან აქ არ ვხვდებით მეტყველების ინდივიდუალიზაციას და კონკრეტულობას. საერთოდ არ გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (ვილაც, რალაც, სადლაც ...)

ოფიციალურ-საქმიან სტილში ხშირად გამოიყენება ზმნის აღწერითი ვნებითი: *დანიშნულ იქნა, მოსმენილ იქნა, მიღებულ იქნა* და მესამე პირის განზოგადებული ფორმები: *მიენოდა (ელექტროენერგია), დაურიგდა (პენსია), განემარტა (კანონი)*.

ოფიციალური მეტყველება დატვირთულია კლიშირებული კონსტრუქციებით, რომლებიც ამ ტიპის დოკუმენტების სტილის სპეციფიკური ნიშანია (*სტრუქტურის დახვეწის მიზნით, მითითებული გართულებების გამო, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე*).

საქმიანი მეტყველების თავისებურებაა ძირითადად ირიბი ნათქვამის გამოყენება. პირდაპირ ნათქვამს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელია საკანონმდებლო აქტებისა ან სხვა დოკუმენტების სიტყვასიტყვითი ციტირება.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტების გაფორმებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აბზაცებსა და რუბრიკებს, რეკვიზიტებს (დასახელებას, თარიღს, ხელმოწერას) და, აგრეთვე, კონკრეტული დოკუმენტისათვის მიღებული გრაფიკული გაფორმების ნესების დაცვას. ყოველივე ამას საქმის წარმოებაში დიდი ყურადღება ექცევა და მეტყველებს დოკუმენტის შემდგენლის წიგნიერებაზე, პროფესიონალიზმსა და წერის კულტურაზე.

გამოყენების სფეროდან გამომდინარე ოფიციალურ-საქმიანი სტილი იყოფა ქვესტილებად:

- **დიპლომატიური**, რომლის რეალიზაციაც ხდება კომუნიკეს, ნოტის, კონვენციის, მემორანდუმის, საერთაშორისო შეთანხმებების ტექსტებში.

- კანონშემოქმედებითი (იურიდიული), რომელიც წარმოდგენილია კანონებში, კონსტიტუციაში, ბრძანებებში, წესდებებში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის აქტებში.
- ადმინისტრაციულ-საკანცელარიო, რომელიც გამოიყენება საკანცელარიო მიმონერაში, განკარგულებებში, სხვადასხვა დოკუმენტაციაში (განცხადება, მინდობილობა, ავტობიოგრაფია, ხელწერილი, დახასიათება, ოქმი და ა.შ.)

ოფიციალურ-საქმიან ქალაქებში განიჩრევა მეტყველების სხვადასხვა ხარისხის სტანდარტიზაცია:

- დოკუმენტები, რომლებიც სტანდარტული ფორმის გარეშე კარგავენ იურიდიულ ძალას (მაგ.: პასპორტი, ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, სიმნიფის ატესტატი, დიპლომი).
- დოკუმენტები, რომლებსაც არა აქვთ სტანდარტული ფორმა, მაგრამ მათი გამოყენების მოხერხებულობისთვის ისინი შედგენილი არიან გარკვეული ნიმუშის მიხედვით (ნოტა, მოლაპარაკება, შეთანხმება, ხელშეკრულება და ა.შ.).
- დოკუმენტები, რომელთა შედგენის დროს არ არის აუცილებელი მოცემული ფორმის დაცვა (ოქმი, დადგენილება, ანგარიში, საქმიანი წერილი).

ოფიციალურ-საქმიანი სტილში განიჩრევა ოფიციალურ-დოკუმენტური და ყოველდღიურ-საქმიანი ჟანრები. ოფიციალურ-დოკუმენტურ ჟანრს მიეკუთვნება დიპლომატიის და კანონის სფერო, ხოლო ყოველდღიურ-საქმიან ჟანრს --- სამსახურეობრივი მიმონერა, საქმის ქალაქები.

ექსპრესიული სტილის სახელი მოდის ლათინური სიტყვიდან *expressio*, რაც გამომსახველობას ნიშნავს.

ზოგჯერ ერთ ნეიტრალურ სიტყვას აქვს რამდენიმე ექსპრე-

სიული სინონიმი, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან ემოციურობის ხარისხით. მაგალითად, სიტყვა „კარგის“ ნაცვლად შეიძლება ვთქვათ: „არაჩვეულებრივი“, „ბრწყინვალე“, „საოცარი“. ერთ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ: „არ მიყვარს“, სხვა შემთხვევაში კი — „ვერ ვიტან“, „მეზიზღება“. სინონიმური მწკრივის (*მოკვდა, გარდაიცვალა, ჩაძაღღდა, ფეხი გაფშკია, სული განუტევა, სული ამოხდა, პატრონს ჩაბარდა*) თითოეული წევრი განსხვავებული სტილური ელფერის მქონეა და განსხვავებულ ექსპრესიულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ზემოთ დასახელებულ ყველა მაგალითში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ექსპრესიით ძლიერდება.

ექსპრესიულობით გამოირჩევა საზეიმო სიტყვები (*დაუვინყარი აღმოჩნდა, წარუშლელი კვალი დატოვა*), რიტორიკული (*ამაღღდა, თანამებრძოლი, წმიდათანმიდა*), პოეტური (*ლაყვარდოვანი, უგალობა*). განსაკუთრებული ექსპრესიით გამოირჩევა სახუმარო სიტყვები (*ახალგამომცხვარი, არამკითხე მოამბე*), ირონიული (*დონჟუანი, ნაქები*), ფამილიარული (*ძმურად, აფრა აუშვა*). ექსპრესიული ელფერით გამოირჩევა საძრახისი და ვულგარული სიტყვები (*ხეპრე, იდიოტი, პატივმოყვარე, პედანტი*).

თანამედროვე სტილისტიკა გამოყოფს შემდეგ ექსპრესიულ სტილებს:

- საზეიმო
- ფამილიარული
- მოფერებითი
- სახუმარო (ირონიული)
- დამცინავი, სატირული.

მათ უპირისპირდება ნეიტრალური სტილი, რომელიც მოკლებულია ექსპრესიას.

ყველა სტილს თავისი შესაფერისი მოტივაცია სჭირდება. სასურველი ექსპრესიის მისაღწევად ძირითად საშუალებას

წარმოადგენს შეფასებითი ლექსიკა, რომლის შემადგენლობაში გამოიყოფა სამი ნაირსახეობა:

- მკვეთრი შეფასებითი მნიშვნელობის სიტყვები. მათ მიეკუთვნება სიტყვა-დახასიათებები (*ყბელი, დოყლაპია, ჩიტირეკია*)
- სიტყვები, რომლებიც აფასებენ ფაქტს, მოვლენას, თვისებას, მოქმედებას (*ხელშეუხებელი, წარღვანადელი, აღაფრთოვანა*)
- მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები, რომელთა ძირითადი მნიშვნელობა ნეიტრალურია, მაგრამ იღებენ ძლიერ ემოციურ შეფერილობას მეტაფორული გამოყენების დროს (*ჩეარი, სპილო, გველი, ყვავი*).

გრძნობების გარკვეულ ნიუანსებს გადმოსცემს სუფიქსიანი სიტყვებიც: *დედიკო, შვილიკო, დათუნია, მელაკუდა*. ნეიტრალურ ლექსიკურ ერთეულებს შეიძლება მოვუძებნოთ ექსპრესიული შეფერილობის მქონე სიტყვები (*ტირილი — ქვითინი — ღრიალი; თხოვნა — მუდარა — ხეენა*). სიტყვათა ერთ ნაწილს ნებისმიერ კონტექსტში მკვეთრად უარყოფითი შეფერილობა აქვს: *კორუფცია, მაფიოზი, ფაშისტი, სეპარატისტი, ტერორი, აგრესია*, მეორე ნაწილს კი – დადებითი: *სათნობა, სიკეთე, კანონიერება, სამართლიანობა*.

ადეკვატური სტილის შერჩევა რიტორიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჯერ კიდევ არისტოტელეს „რიტორიკაში“ იყო გამოყოფილი მაღალი და დაბალი სტილი. არისტოტელეს აზრით, სტილი უნდა შეესატყვისებოდეს მეტყველების საგანს. მნიშვნელოვან საგნებსა და მოვლენებზე ამაღლებული სტილით უნდა ვილაპარაკოთ, ხოლო უმნიშვნელო საგნებსა და მოვლენებზე საუბრისას დაბალი სტილი უნდა გამოვიყენოთ. ამასვე მოითხოვდა ლომონოსოვის „სამი სტილის თეორია“. ქართულ სინამდვილეში ანტონ კათალიკოსი (XVIII ს.) შეეცადა დაენერგა „სამი სტილის თეორია“, რომლის მიხედვით ყველა საგანზე ერთი და იმავე ენით მსჯელობა დაუშვებელი იყო; ღვთისმეტყ-

ველებას აღზევებული ენა — „მაღალი სტილი“ შეეფერებოდა, ისტორიული თხრობა „საშუალო სტილს“ მოითხოვდა (მას „დარბაისლურსაც“ უწოდებდნენ), ყოველდღიურ ამბებზე, საყოფაცხოვრებო მოვლენებზე საუბრისას ჩვეულებრივი სასაუბრო ენა, „დაბალი სტილი“, იყო საჭირო.

თავი IV

მეტყველების სიტყვის.

ტექსტისათვის ერთადერთი მართებული სიტყვის მოძებნა

სიტყვის სწორად, ზუსტად გამოყენება რიტორიკის აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ ტექსტისათვის შესაფერისი ერთადერთი მისაღები სიტყვის მოძებნა იოლი როდია. უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტში ნებისმიერის ჩასმა არ შეიძლება, რადგან სასურველ შინაარსს ვერ გადმოვცემთ. ამაზე კარგად მეტყველებს მწერალთა ხელნაწერების შესწავლა, რომლებშიც შემორჩენილია მათი ფიქრის, მუშაობის ამსახველი მასალა. ხშირად ავტორს თხზულების რედაქტირების პროცესში ერთადერთი სწორი სიტყვის მოსაძებნად სინონიმთა მთელი რიგი აქვს ჩამოწერილი და შემდეგ იქიდან ირჩევს იმ სიტყვას, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება მოცემულ კონტექსტს. ადვილი მოსახვედრია, რამდენი შრომაა დახარჯული მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. რამდენი ფიქრი დასჭირდა მწერალს იმისათვის, რომ ყველა სიტყვა „თავის ადგილზე“ ყოფილიყო და თავისი მხატვრულ-ესთეტიკური თუ იდეური ფუნქცია შეესრულებინა.

სიტყვის არასწორი შერჩევა, სიტყვის შერჩევისადმი გულგრილი დამოკიდებულება უამრავი ლექსიკური შეცდომის წინაპირობაა. მაგალითად, *„მე გადავწყვიტე, ოფიცერი გაეხდე, რათა ოჯახური დინასტია (უნდა იყოს: ტრადიცია) გაეგრძელო“*. სამარშრუტო ტაქსიში იყო ასეთი წარწერა: *„ფულის დასახურდავებლად ნუ მიმართავთ მძღოლს, დახურდავდით თვითონ.“* დაწესებულებაში გამოაკრეს განცხადება: *„დღეს სხდომათა დარბაზში ჩატარდება ლექცია ამორალურ თემებზე“*. ლექცია იმართებოდა რასიზმის პრობლემებზე.

ასეთ შემთხვევებში სტილისტები ამბობენ, რომ სიტყვა გამოყენებულია მისი სემანტიკის (ე. ი. მნიშვნელობის) გათვალისწინების გარეშე. ასეთი შეცდომები მეტყველების დროს გამონათქვამის ალოგიურობისა და ზოგჯერ აბსურდულობის მიზეზიც კი ხდება. მაგალითად, „ჩვენი გადაცემები თეთრში გადის ყოველდღიურად სამშაბათობით“; „ეს პიესა ოპტიმისტურად მთავრდება: მთავარმა მოქმედმა გმირმა თავი ჩამოიხრჩო“; „ადამიანები აღარ ენდობიან ტელევიზიას, რადგან იგი ხშირად გვანდის დეფორმაციას (უნდა იყოს: დეზინფორმაციას) ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ“.

სიტყვათა არაზუსტი გამოყენება აიხსნება ან უყურადღებობით, ან მეტყველების დაბალი კულტურით, ან სიტყვის მნიშვნელობის არცოდნით.

მეტყველების ევფემისტურობა. ზოგჯერ შეგნებულად არ იყენებენ ამა თუ იმ სიტყვას, რათა დაფარონ ან შეარბილონ გამონათქვამის უარყოფითი შინაარსი. „ტყუის“ — ამის ნაცვლად ამბობენ „ფანტაზიორობს“, „ქრთამს იღებდა“ — ამის ნაცვლად — „საჩუქრებს იღებდა“.

სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ერთგვარად „არბილებენ“, ამსუბუქებენ უხეში აზრის გამომხატველ სიტყვებს ევფემიზმებად იწოდება (ბერძ. eu — კარგი, phemi — ვლაპარაკობ).

ევფემიზმით იცვლება რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა. ევფემიზმები სხადასხვა სახისაა. ზოგი ევფემისტური სიტყვის თუ გამოთქმის გაჩენის მიზეზი არის შიში ან რამე უსიამოვნო გრძობა. მაგალითად: *სიცოცხლეს გამოესალმა, მიიძინა, დაგვაობლა* — გარდაცვალების ნაცვლად; *შეუძლოდაა, უქეიფოდაა* — ავადყოფნის ნაცვლად; *ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხელით შეეხო* — ცემის ნაცვლად; *სულით ავადმყოფი* — გიჟის ნაცვლად; *უხსენებელი* — გველის ნაცვლად; *სასახლე* — კუბოს ნაცვლად, *ხელ-*

ცივი ან ხელმრუდი — ქურდის ნაცვლად.

ევფემიზმთა მეორე ჯგუფის გაჩენა ენაში თავაზიანობის გამოხატვის სურვილით არის განპირობებული: როგორ ბრძანდებით — როგორ ხართ, მიირთვით — ჭამეთ, დაბრძანდით — დაჯექი, ბრძანა — თქვა. ასეთი ფორმების არსებობა ენის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

ევფემიზმის საპირისპირო ენობრივი მოვლენაა დისფემიზმი, რომელიც ნეიტრალური გამოთქმის უფრო უხეში გამოთქმით შეცვლას გულისხმობს. მაგალითად, მოკვდას ნაცვლად „ფეხები გაჭიმა“, „ფეხები გაფშკა“, „ჩაძაღღა“.

ევფემიზმის გამოყენებას ხშირად განაპირობებს ავტორის სურვილი, შეარბილოს გამონათქვამის კრიტიკული სიმწვავე. მაგალითად, „მრავალმა მენარმემ, რომელთა კაპიტალიც მილიონებით განისაზღვრება, ქონება ისე დააგროვა, რომ საქართველოს კანონმდებლობისთვის ანგარიში არ გაუწევია.“ აქ აზრი უფრო ნათლად და ზუსტად გამოითქმებოდა, რომ გვეთქვა: „ქონება დააგროვა უკანონო გზით“.

მეტყველების ევფემისტურობა კარგად ჩანს სასაუბრო ენაშიც: „ჩემს მეგობარს უყვარს ზღაპრების მოგონება“ (ე. ი. ტყუილის თქმა).

ევფემიზმები ხშირია სტუდენტებისა და ლექტორების მეტყველებაშიც. მაგალითად, სტუდენტი გამოტყდა: „ჩვენ ჯერ კიდევ არ ვუთმობთ საჭირო დროს საშინაო დავალებების შესრულებას.“ (მას უნდა ეთქვა: „არ ვასრულებთ ან ცუდად ვასრულებთ საშინაო დავალებებს“). მეორე სტუდენტმა კვერი დაუკრა: „ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ გვხვდება ხარვეზები, რომლებიც ხელს გვიშლიან აკადემიური ჩამორჩენის დაძლევაში.“ (მას არ ეყო ძალა, ეთქვა: „ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვმუშაობთ ან ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ ჩამორჩენა“).

აზრის ევფემისტურობა მსმენელს აშორებს ჭეშმარიტებას, რაც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება პოლიტიკოსების გამოსვლებში: ერთ-ერთმა პარლამენტრმა იმის ნაცვლად, რომ

ეთქვა: ჩვენ ასეთ ადამიანებს დავაპატიმრებთო, თქვა: „*ჩვენ ასეთ ადამიანებს ისეთ ადგილებში მოვათავსებთ, სადაც მათ არ ენდომებათ ყოფნა*“.

ანაქრონიზმი. ლექსიკური ერთეულის არასწორმა შერჩევამ ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს ანაქრონიზმი. სიტყვის გამოყენებას მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების გათვალისწინების გარეშე ანაქრონიზმი ჰქვია. მაგალითად, „*XVIII საუკუნეში ლენინგრადში გაიხსნა სტამბა*“; „*მახარაძეში ჩვ. ნ. აღრიცხვამდე II საუკუნეში სიცოცხლე ჩქეფდა*“. ამ ტიპის ანაქრონიზმები ჩვენს მეტყველებაში ხშირად გვხვდება ქალაქების, სოფლების, ქუჩების, მოედნების სახელწოდებების შეცვლის შემდეგ (გოლოვინსკის პროსპექტი, ლენინის მოედანი, ქალაქი ცხაკაია და სხვ.) მართალია, დროთა განმავლობაში ამ ტიპის ანაქრონიზმები აუცილებლად გასწორდება, მაგრამ ანაქრონიზმით გამონვეული შეცდომები ენაში, სამწუხაროდ, არასოდეს გაქრება. მაგალითად, საგაზეთო სტატიებში ვკითხულობთ: „*ჩვ. ნ. აღრიცხვამდე V ს-ში ეგვიპტეში ბერძენი ტურისტების ნაკადმა იმატა*“; „*XIX ს-ში ამ ციხესიმაგრესთან იმართებოდა ბაზრობა, სადაც ქალაქის ღარიბი მოსახლეობა სექენდ-ჰენდით ვაჭრობდა*“ (უნდა იყოს ძველმანებით ვაჭრობდა).

სიტყვათა თავსებადობა. სიტყვის სწორად გამოყენებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მისი ზუსტი მნიშვნელობის ცოდნა, აუცილებელია ასევე ლექსიკური შესატყვისობის თავისებურებების გათვალისწინებაც. მაგალითად, გრძელი ან მოკლე შეიძლება იყოს ჯოხი, მაგრამ არა ადამიანი. ადამიანი არის მაღალი ან დაბალი. ხანგრძლივი შეიძლება იყოს საუბარი, მაგრამ ხანგრძლივი არ შეიძლება იყოს კიბე.

სიტყვათშეხამებაში სიტყვათა შეერთების დროს შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა. უპირველეს ყოვლისა, სიტყვათშეხამება შეიძლება დაუშვებელი აღმოჩნდეს იმის

გამო, რომ ეს სიტყვები აზრობრივად არ იყვნენ თავსებადნი. მაგალითად, არ შეიძლება ვთქვათ: „იისფერი ფორთოხალი“, „წყალი იწვის“, „ხე მშობიარობს“, და ა. შ., რადგან ბუნებაში ასეთი რამ არ არსებობს (ეს არ ეხება პოეზიას. იისფერი თოვლი, ლურჯი წვიმა და ა. შ. პოეზიაში დასაშვებია).

სიტყვათა თავსებადობას ზოგჯერ ხელს უშლის მათი ლექსიკური თავისებურებები. მაგალითად, სწორია: „მიაყენა უსიამოვნება, ზარალი“, ხოლო „მიაყენა სიხარული, სიამოვნება“ — არა. უნდა იყოს: „მიანიჭა სიამოვნება, სიხარული, კმაყოფილება“, მაგრამ დაუშვებელია „მიანიჭა უსიამოვნება, სევდა, შეურაცხყოფა...“

სემანტიკური თავსებადობა დარღვეულია შემდეგ მაგალითებში: *„ჩვენ გვთხოვეს დაგვენერა საკონტროლო ზეპირად,“* — *ჩურჩულით გადასძახა ელენემ კოტეს; „ასმათმა ტარიელს ცუდი ამბავი ახარა“.*

ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვათა თავსებადობის დარღვევის დროს წარმოიქმნება განსხვავებული, არასასურველი ფარული აზრი. მაგალითად, *„აუცილებელია დაჩქარდეს სისხლისღერის საკითხების მონესრიგება“.*

ლექსიკური შესატყვისობის დარღვევა შეიძლება განპირობებული იყოს მოსაუბრის, მწერლის შეგნებული, გაცნობიერებული სურვილით, გააოცოს მკითხველი ან მსმენელი სიტყვათა უჩვეულო შეთანხმებით, რაც შეიძლება გახდეს კომიკური ეფექტის მიღწევის წინაპირობა. უამრავი ასეთი მაგალითი გვხვდება თანამედროვე იუმორისტი მწერლების შემოქმედებაში: *სოფელში შეიქმნა მოსავალთან ბრძოლის შტაბი; ტყვიაგაუმტარი შუბლი; ნახევრადგაპარსული ქათმები და ა.შ.*

მრავალსიტყვაობა და პლეონაზმი. სათქმელი სჯობს ყოველთვის მოკლედ და გასაგებად ითქვას, მაგრამ ზოგჯერ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად იციან რადიო- და ტელეჟურნალისტებმა, თუმცა მათს მეტყველებაშიც ხშირად შეინიშნება მრავალსიტყვაობა. მაგალითად,

დიქტორი ამბობს: „ახლა კი პირველ არხზე ახალი ამბების დროა, რომელშიც ჩვენ შევიტყობთ, რა ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში“. აზრის გასაგებად ფრაზის პირველი ნაწილი სავსებით საკმარისია, ხოლო მეორე — სრულიად ზედმეტი. გუბერნატორი ამბობს: „შეხედეთ, როგორ მიმდინარეობს ადმინისტრაციული რეფორმა“. ამ ფრაზაში სიტყვა „შეხედეთ“ ზედმეტია.

მეტყველების გადატვირთვა უსარგებლო, არასაჭირო სიტყვებით ზოგჯერ კომიკურ ეფექტს ქმნის, რაც კარგად შენიშნეს და მარჯვედ გამოიყენეს იუმორისტებმა. ისინი ხშირად კითხულობენ სასაცილო ადგილებს „ინსტრუქციებიდან“: „მარჯვენა ჩექმა ჩაიცვით აუცილებლად მარჯვენა ფეხზე, ხოლო მარცხენა — მარცხენაზე“; „ტელეფონის აპარატი მიიღეთ მხოლოდ ყურზე“; „გახსნილი ბოთლი დაიჭირეთ თავით ზევით“ და ა. შ. ამ შემთხვევებში იუმორი მოსაწყენ მსჯელობებზე უფრო დამაჯერებლად გვიჩვენებს ამ ფრაზების უაზრობას. თუმცა ჩვენი მიზანია, მრავალსიტყვაობა განვიხილოთ არა იუმორის, არამედ რიტორიკის პოზიციებიდან.

სტილისტურ მრავალსიტყვაობას მეტყველების სიჭარბეს უწოდებენ. ეს მანკიერება შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერ ტექსტში, ჟანრისა და სტილის მიუხედავად. უფრო ხშირად ის ახასიათებს ჟურნალისტების და პოლიტიკოსების ზეპირ გამოსვლებს. მაგალითად, „კომერციული რადიოსადგურის რადიონამყვანი ძალიან შეზღუდულია პროგრამების პროგრამირებით“; „მან განცხადებით განაცხადა, რომ აღარ სურს ჩვენს ფირმასთან თანამშრომლობა“; „გადმორიცხული ფულის მნიშვნელობას დიდი მნიშვნელობა აქვს“; „ასეთი შემთხვევების შემთხვევაში აუცილებლად დარეკეთ სამინისტროში“.

ბლუზ პასკალი ამბობდა: „მე ვნერ ვრცლად, რადგან არ მაქვს დრო, რომ მოკლედ დავეწერო“. მართლაც, მოკლედ და გასაგებად აზრის გამოთქმა რომ ისწავლოთ, სიტყვასთან ხანგრძლივი ჭიდილი, დიდი მუშაობა დაგჭირდებათ. ეს უნდა

გახსოვდეთ ყოველთვის, თუ გინდათ, დაეუფლოთ რიტორიკის ხელოვნებას.

მრავალსიტყვაობა ხშირად ფუჭსიტყვაობაცაა. მაგალითად, სპორტული კომენტატორი გვამცნობს: *„სპორტსმენები ჩამოვიდნენ საერთაშორისო შეჯიბრებაზე იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობენ არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოელი სპორტსმენებიც“*.

პლეონაზმი. მრავალსიტყვაობა შეიძლება პლეონაზმის სახითაც გამოვლინდეს (ბერძნულიდან pleonasmos — ზედმეტობა). პლეონაზმი არის მეტყველების სტილისტური საქცევი, რომელიც ერთი და იმავე საგნის დასახასიათებლად, განწყობილების გამოსახატავად იყენებს ლოგიკურად ზედმეტ, ერთნაირი მნიშვნელობის მქონე უსარგებლო სიტყვებს. მაგალითად, *ჩამოვარდა ქვევით, ავარდა ზევით, ირგვლივ გარშემორტყმული, ახალგაზრდა ბიჭი*. პლეონაზმი შეიძლება წარმოიშვას უცხო სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის არცოდნის გამო. მაგალითად, *„ახალგაზრდა თინეიჯერი“*, *„თავისუფალი ვაკანსია“* და სხვ.

ტავტოლოგია პლეონაზმის ნაირსახეობაა. ტავტოლოგია (ბერძნული tauto — იგივე, logos — სიტყვა) არის სიტყვათა უადგილო, უფუნქციო განმეორება. მაგალითად, *„კვლავ განახლა“*; *„უჩვეულო ფენომენი“*; *„პოეტმა ამ პერიოდში შექმნა ლექსი „პოეტი“, რომელშიც პოეტის წერს, რომ პოეტის მთავარი დანიშნულება ერის სამსახურია“*. აშკარა ტავტოლოგია წარმოშობა ერთფუძიანი სიტყვების განმეორებით. მაგალითად, *„შეიძლება გკითხოთ კითხვა?“* ფარული ტავტოლოგია წარმოშობა უცხოური და ქართული სიტყვების დუბლირებისას (მაგალითად: *„სამახსოვრო სუვენირი“*, *„პირველი დებიუტი“*, *„სრული ანშლაგი“*, *„ახალგაზრდა ვუნდერკინდი“* და სხვ.).

ზოგჯერ ტავტოლოგიის გამოყენება აუცილებელია. მაგ: *„ქვაბს დაახურე თავსახური“*, *„გამომძიებელმა გამოიძია“*,

„მხატვარმა დახატა“ და ა.შ.

ტავტოლოგიური სიტყვათშეხამებები ზოგჯერ დასაშვებია. ისინი ენაში მკვიდრდებიან, რაც გამონეუელია სიტყვის მნიშვნელობის ნაწილობრივი შეცვლით. მაგალითად, *ბუკინისტური წიგნი, მონუმენტური ძეგლი, გამოფენის ექსპონატი*.

ზოგ შემთხვევაში ტავტოლოგია და პლეონაზმი შეიძლება იყოს სტილისტური ხერხი, რომელიც აძლიერებს აზრის ემოციურ მხარეს. მაგალითად, *„სიკეთისათვის სიკეთე არავის უქმნია“*.

ტავტოლოგიას მარჯვედ იყენებენ სიტყვათა თამაშის დროს. მაგალითად, *„მე ვიცი, რომ შენ იცი, რომ მე ვიცი“* (ფილმის სათაური). *„მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“* (სოკრატე). უურნალისტები ხუმრობენ: *„ჩვენს მეტს არავის შეუძლია აიტანოს მთავრობა, რომელსაც ვერავინ იტანს“*.

პოეზიაში ტავტოლოგია ვლინდება, როგორც მხატვრული გამეორების ერთ-ერთი სახე, რომელიც აძლიერებს სიტყვის ემოციურ-გამომსახველობით მხარეს, ანიჭებს მას ესთეტიკურ მნიშვნელობას. ნიმუშად გამოდგება გალაკტიონის ცნობილი ლექსი:

*„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიქრიან ქარდაქარ.
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სად ხარ, სადა ხარ?“*

სამეტყველო უკმარისობა, ანუ საჭირო სიტყვის გამოტოვება, ძირითადად ზეპირმეტყველების დროს გვხვდება. იგი ამ შემთხვევაში აზრს არ ვნებს, აზრი გასაგებია.

სრულ უაზრობამდე მიდის საჭირო სიტყვის გამოტოვება (დაკლება) განცხადებებში. მაგალითად: *„ტარაკნები, წარმატება გარანტირებულია!“* *„ეცვლი ოროთახიან ბინას ქალაქის გარეუბნიდან მეტრო რუსთაველზე“*; *„დაცვა: მამაკაცები 45 წლამდე“*; *„ამ წამლის მიღებით თქვენ 100%-ით გახდებით“*; *„კარგ მუშაკებს დავაჯილდოებთ საპატიო დაფით“*.

სიტყვის არასწორი ხმარებით გამოწვეული ლოგიკური შეცდომები. სიტყვის არასწორმა ხმარებამ ან საჭირო სიტყვის დაკლებამ (სამეტყველო უკმარისობამ) შეიძლება გამონათქვამის აზრი დაამახინჯოს. მაგალითად, ტელენამყვანმა მსმენელებს ასე მიმართა: *„ახლა მე თქვენ ნაგიკითხავთ რამდენიმე ზარს“* (მხედველობაში ჰქონდა თხოვნები, რომლებითაც მაყურებლებმა სტუდიაში დარეკეს). სამეტყველო უკმარისობამ მიგვიყვანა ლოგიკურ უაზრობამდე (ზარებს არ კითხულობენ). ასეთ შეცდომას ხშირად უშვებენ განცხადების დამწერები და მკითხველს აოცებენ თავიანთი „ლოგიკით“. მაგალითად: *„აეადმყოფები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში არ გამოცხადებიან ამბულატორიაში, მოთავსდებიან არქივში“*; *„ქირავდება ბინა დიასახლისით და ბავშვით“*; *„ხორცკომბინატს სჭირდება თანამშრომელი ძეხვის შიგთავსისათვის“*.

სიტყვის გამოტოვების შემთხვევები, რომელიც გამონათქვამის აბსურდულობის მიზეზი ხდება, ხშირია საგაზეთო პუბლიკაციებშიც. მაგალითად: *„კანადაში ფერმერს ეყოლა უჩვეულო თხა“*.

ზოგ შემთხვევაში არალოგიკურობის მიზეზი მრავალსიტყვაობაა. მაგალითად: *„სტუმართმოყვარე მეზობლები გაგვიმასპინძლდნენ ორიგინალური ეროვნული კერძების ნაკრებით“*; *„ცუდია, როცა ქალაქის ყველა კინოთეატრში უჩვენებენ ერთი და იმავე ფილმის სათაურს“* (ე. ი. ფილმს); *„ვარ დაახლოებით 40-45 წლის მანდილოსანი, ვიმუშავებ ძიძად“*; *„ბოდში მომითხოვია და გუშინ ქალიშვილი გავათხოვე“*.

მეტყველებას ალოგიკურს ხდის ცნების გაუმართლებელი გაფართოება ან შევიწროება. მაგალითად: *„შინ საზოგადოებრივი ტრანსპორტით დავბრუნდი“*; *„მანქანების სადგომს იცავენ ცხოველები“*; *„აქ ველური ადგილებია, სადაც ფეხი ჯერ ყურნალისტსაც კი არ დაუდგამს“*. I და II მაგალითი არის ცნების გაფართოების ნიმუში. აქ სახეობის ნაცვლად (მეტრო, ავტობუსი; ძაღლები) გვარია დასახელებული (საზოგადოებრივი

ტრანსპორტი, ცხოველები), III მაგალითში კი ცნების დავიწროება ხდება (უნდა იყოს: „ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს“). როგორც ცნების გაფართოება, ასევე დავიწროება ამ ფრაზებში გაუმართლებელია, რადგან მათში ჩადებულ აზრს არამარტო სიზუსტეს, არამედ ინფორმაციულობასაც აკარგვინებს და მეტყველებას აძლევს კანცელარიზმის ელფერს.

ხშირად გვარეობითი ცნებების დასახელება ზოგიერთ მოსაუბრეს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე სახეობითის. თითქოს ამით მეტ წონას მატებს გამონათქვამს. როგორც ერთმა ჭკვიანმა კრიტიკოსმა შენიშნა, ზოგი ადამიანი, რომელსაც უნდა „უფრო კულტურულად“ გამოთქვას თავისი აზრი, ზოგჯერ იმასაც ვერ ბედავს, რომ ქუდს ქუდი უწოდოს, და მის ნაცვლად „თავსაბურავს“ ხმარობს.

ალოგიზმი. ტერმინი „ალოგიზმი“ მოდის ბერძნული ენიდან. პრეფიქსი *α* მიუთითებს უარყოფაზე, ალოგიკური ანუ არალოგიკური.

სიტყვის დაკლება შეიძლება ალოგიზმის, ანუ საგნებსა და მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირის დარღვის, მიზეზიც გახდეს. მაგალითად: *„მზატვარი ჩასწვდა ყვავილის სულის შინაგან მდგომარეობას; ის ხომ ადამიანის სულის მონათესავეა და სილამაზეს გვჩუქნის.“* თითქოს ლამაზად არის ნათქვამი, მაგრამ არალოგიკურია. შეცდომას იწვევს ის, რომ ყვავილის სულის შინაგანი მდგომარეობა შედარებულია ადამიანის სულის მდგომარეობასთან. ამ შედარების არამართებულობა ცხადია. ასეთი მაგალითი უამრავია. მაგალითად: *„შევადაროთ პირველი ცხრილის მონაცემები მეშვიდე ცხრილთან“.* ამ ფრაზის მიხედვით შესადარებელია, ერთი მხრივ, ცხრილის მონაცემები, მეორე მხრივ, ცხრილი. ასეთი შედარება არასწორია. ფრაზა უნდა გასწორდეს ასე: *„შევადაროთ პირველი ცხრილის მონაცემები მეშვიდე ცხრილის მონაცემებს“.* იგივე ხარვეზია შემდეგ ფრაზაშიც: *„ილია ჭავჭავაძის პერსონაჟების ენა გამოირჩევა ყველა სხვა პერსონაჟისაგან“.*

სიტყვის სტილისტური ელფერი. წიგნური და სასაუბრო ლექსიკა. სიტყვების სტილისტური ელფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სამეტყველო სტილს მიეკუთვნებიან ისინი: წიგნური სიტყვები გამოიყენება სამეცნიერო, პუბლიცისტურ, ოფიციალურ სტატიებში, ხოლო სასაუბრო ლექსიკა იმ ადამიანთა ძალდაუტანებელ საუბრებში, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული საქმიანი ურთიერთობებით. არც ერთ ზემოთჩამოთვლილ სტილს არ მიეკუთვნება საყოველთაოდ გამოყენებული სიტყვები (სახლი, ხელი, სამუშაო, ორი, კარგი და ა. შ.). ლექსიკონებში ისინი მოცემულია სტილისტური აღნიშვნის გარეშე.

სიტყვის სტილისტურ შეფერილობას ადვილად განვსაზღვრავთ განმარტებით ლექსიკონში ჩახედვის გარეშეც. ტერმინები: კვანტური მექანიკა, ექსპერიმენტი, კრიმინალისტიკა, მონოკულტურა — სამეცნიერო სტილს მიეკუთვნება. ელექტორატი, აგრესია, მიტინგი, პროვოკაცია, აქცია — პუბლიცისტურს; საბუთების მიღება, ქვემორეხელისმომწერნი, განცხადების გაკეთება — ოფიციალურ-საქმიანს.

რიტორიკა გვავალდებულებს, რომ სიტყვების ხმარებისას გავითვალისწინოთ, რომელ სტილს ეკუთვნიან ისინი. მაგალითად, წიგნური სიტყვები უადგილოა უშუალო საუბრისას. *„მწვანე ნარგავებზე გამოჩნდა პირველი ფოთლები. ჩვენ ვისეირნეთ მწვანე მასივში და გავირუჯეთ წყალსატევთან“*. სტილთა ასეთი აღრევა პაროდულობის ფეექტს ქმნის. უნდა გვეთქვას: არა *მწვანე ნარგავები* — არამედ ხეები, ბუჩქები; არა *მწვანე მასივი* — არამედ ტყე, არა *წყალსატევი* — არამედ ტბა. სასაუბრო ლექსიკა არ შეიძლება გამოვიყენოთ იმ ადამიანებთან საუბრისას, რომელთანაც ჩვენ ოფიციალური ურთიერთობა გვაქვს, არ შეიძლება მოსწავლემ ასე იმსჯელოს ლუარსაბ თათქარიძეზე: *„იყო ერთი ლუარსაბ თათქარიძე. მას ჰყავდა მაგარი შეუხედავი ცოლი — დარეჯანი. ეს ლუარსაბი დებილი იყო, ინჩიბინჩი არაფრის გაეგებოდა, თოხლაობა უყვარდა მა-*

გრად და ძილი”.

სტილისტური ელფერის მქონე ლექსიკის გამოყენება მოტივირებული უნდა იყოს. ლექსიკური ერთეულის შერჩევა ხდება მეტყველების შინაარსიდან, მისი სტილიდან, იმ გარემოდან გამომდინარე, რომელშიც იხადება სიტყვა. ამაღლებული ლექსიკა საჭიროა, როცა ლაპარაკობენ რაღაც მნიშვნელოვანზე. იგი გამოიყენება ორატორების გამოსვლებში, პოეტურ მეტყველებაში, სადაც გამართლებულია საზეიმო, პათეტიკური ტონი. თუ თქვენ მოგწყურდათ, თავეში აზრად არ მოგივათ ამის გამო ასე მიმართოთ თქვენს მეგობარს: „ო, ჩემო დაუფინყარო ძმაო და მეგობარო, მომაკვლევიანე წყურვილის გრძნობა მაცოცხლებელი სითხით“.

სტილისტურად შეფერილი ლექსიკის უადგილო ხმარება მეტყველებას აძლევს კომიკურ ეფექტს. იუმორისტები ამ ეფექტის მისაღებად შეგნებულად არღვევენ სტილისტურ ნორმებს. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: ხალხურმა სიტყვიერებამ შემოგვინახა მშვენიერი ლექსი „მერცხალმა იცის“:

„მერცხალმა იცის, ვინ არის,
რომელ კუთხეში შობილი,
მოვალის გაზაფხულობით
შავებში გამონწყობილი.“

ჩვენ შეგვიძლია სტილისტური ნორმების დარღვევით დავენროთ ამ ლექსის განხილვა, რის შედეგადაც მივიღებთ ასეთ პაროდიას:

„გავაანალიზოთ მერცხლის პოეტური სახე ხალხურ ლექსში „მერცხალმა იცის“. ამ ნაწარმოებში გამოყვანილია მონინავე, პროგრესულად მოაზროვნე მერცხალი. ეს უკვე აღარ არის ის ფრინველი, რომელმაც მხოლოდ გაზაფხულის მოსვლა უნდა გვახაროს, მას დიდი და საპასუხისმგებლო მისია აკისრია. იგი არის პატრიოტი მერცხლების კრებითი სახე, რომელმაც ზუსტად იცის, სად და რატომ უნდა ცხოვრება. სწორედ ამიტომ

ბრუნდება იგი თავის კუთხეში „შავებში გამოწყობილი“.

ვიწმის შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: რატომ არის მერცხალი შავებში გამოწყობილი? რას გლოვობს იგი? ვისაც ასეთი შეკითხვა გაუჩნდება, ცხადია, მას ვერც ნანარმოების არსი გაუგია და ვერც მერცხლის ხასიათი. შავი ხომ მარტო გლოვის ფერი არ არის. შავი ფერი გამოსასვლელი ტანსაცმელის ფერია. სწორედ ასე, საღამოს კაბაში საზეიმოდ გამოწყობილი ბრუნდება ჩვენი ახალი ფორმატის მერცხალი თავის კუთხეში, რომ ქვეყნის აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა. მას შეეძლო დარჩენილიყო თბილ ქვეყანაში, ბედნიერად და უზრუნველად ეცხოვრა იქ. მაგრამ არა! მერცხლის ქმედებაში კომფორმის ნასახიც არ არის, რადგან იგი გულმხურვალე მამულიშვილია და მზად არის თავდაუზოგავად ემსახუროს თავის ქვეყანას.“

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ნანარმოების ანალიზისას წიგნური ლექსიკა უნდა იყოს გამოყენებული, ადეკვატური სტილის შერჩევა ერთი სტილის ფარგლებშიც აუცილებელია. ამ მოთხოვნის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ის კომიკური ეფექტი, რომელიც მოყვანილ მაგალითში ვნახეთ. ასე რომ, შეეცადეთ არ დაარღვიოთ სტილისტური ნორმები.

შეფასებითი ლექსიკა. სიტყვის შერჩევას დიდად განაპირობებს ჩვენი სუბიექტური დამოკიდებულება საუბრის ობიექტისადმი, როგორ ვართ განწყობილი იმის მიმართ, ვისზეც ან რაზეც ვლაპარაკობთ.

ქართული ენის სინონიმური სიმდიდრე დიდ საშუალებას გვაძლევს, რომ შეფასებითი ლექსიკა სტილისტურად ზუსტად შევარჩიოთ. ზოგიერთი სიტყვა დადებითი შეფასების შემცველია, ზოგი — უარყოფითის, ზოგი — ნეიტრალურის. მაგალითად: „ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი, ივანე ჯაყელი, ტანადი, სათნო კაცი იყო, მისი შვილი, ნიკა — ერთი აწონილი უცხვირპირო ბიჭი“. ამ ფრაზიდან ნათელია, რომ მთქმელი სიმპათიითაა განწყობილი ივანეს მიმართ, ხოლო მისი შვილი არ

მოსწონს. განსხვავებული სტილისტური ელფერის შემცველია შემდეგი სინონიმები: ენამჭვერი — ყბედი — ენაჭარტალა — ოქროპირი; თქვა — ბრძანა — დაახეთქა; მოიტანა — მოათრია; შეჭამა — მიირთვა — ჩახეთქა.

შეფასებით ლექსიკაში შედის სიტყვები, რომლებსაც აქვთ ემოციური და ექსპრესიული შეფერილობა. მაგალითად, ხანშიშესული ადამიანის შესახებ შეიძლება ვთქვათ: *მოხუცი, ბებერი, ბებრუცანა, ბებრუხანა*. პირველი — ჩვენს თბილ გრძნობებს გამოხატავს ამ ადამიანის მიმართ, მეორე სიტყვა ნეიტრალურია, მესამე და მეოთხე უარყოფითი დამოკიდებულების ელფერს შეიცავს.

ემოციური ლექსიკა ასახავს განსხვავებულ გრძნობებს — სიყვარულს, მოფერებას, სინაზეს (შვილიკო, დედიკო...), სიძულვილს, ზიზღს, უდიერ დამოკიდებულებას (აუტანელი, საზიზღარი, საძულველი...). ემოციური ლექსიკა ჩვენს მეტყველებას ანიჭებს მგზნებარებას, ამიტომ ის მეტი ექსპრესიულობისათვის უნდა გამოვიყენოთ გარკვეულ შემთხვევებსა და შესაბამის კონტექსტში.

მნიშვნელობით ახლოს მდგომი სიტყვებიდან ჩვენ ვცდილობთ ამოვიჩიოთ ისინი, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერად, დამაჯერებლად გადმოსცემენ ჩვენს აზრს. შეიძლება ვთქვათ: „არ მიყვარს“, მაგრამ შეიძლება ვიპოვოთ უფრო ექსპრესიული სიტყვები: „მძულს“, „მეზიზღება“, „მეჯავრება“.

ხშირად ნეიტრალურ სიტყვას აქვს რამდენიმე ექსპრესიული სინონიმი, რომლებსაც ემოციური დაძაბულობის განსხვავებული ხარისხები აქვთ: ტირილი, ქვითინი, მოთქმა, გოდება, ვაება; თხოვნა, მუდარა, ხვეწნა, ღიჭინი...

ექსპრესიულ სიტყვებს აქვთ განსხვავებული სტილისტური ელფერი, რაზეც მიუთითებს ლექსიკონების აღნიშვნებიც: საზეიმო, ამაღლებული, რიტორიკული, პოეტური. ამ სიტყვებიდან გამოირჩევა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აღნიშნულია მითითებებით: სახუმარო, ირონიული, ფამილია-

რული, ვულგარული, სალანძღავი, საძრახავი, დამამცირებელი, უპატივცემულობის ან ზიზლის გამომხატველი. ასეთი სიტყვების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ექსპრესიულ სტილებში.

საყოველთაო და გამოყენების სფეროთი შეზღუდული ლექსიკა. ქართული ენის მთელი ლექსიკური მარაგი შეიძლება გაიყოს ორ დიდ ჯგუფად: ა) საყოველთაო და ბ) გამოყენების სფეროთი შეზღუდული. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საყოველთაოდ გამოყენებული სიტყვები. ისინი წარმოადგენენ ქართული ენის ლექსიკური ფონდის საფუძველს. ამ ჯგუფში შედის სიტყვები საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საყოფაცხოვრებო), რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ საყოველთაო ლექსიკიდან გამოიყოს სიტყვათა განსხვავებული თემატური ჯგუფები. ამასთან ეს სიტყვები გასაგები და მისაწვდომია ენის ყველა მატარებლისათვის და შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვაგვარ პირობებში, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

შეზღუდული სფეროს ლექსიკას მიმართავენ ერთი კონკრეტული გეოგრაფიული ადგილის მაცხოვრებლები ან ის ადამიანები, რომლებსაც აერთიანებთ პროფესია, საერთო ინტერესები და ა. შ. ამ ლექსიკურ ჯგუფში შედის დიალექტიზმები, სპეციალური ანუ პროფესიული ლექსიკა და ჟარგონული სიტყვები.

დიალექტიზმები. დიალექტი ძველბერძნული სიტყვაა და სამეტყველო მანერას ნიშნავს. მისი ქართული შესატყვისია **კილო**. დიალექტზე მეტყველებენ ქვეყნის ერთი კუთხის მაცხოვრებლები. ქართულ ენას 16 დიალექტი აქვს: ქართლური, იმერული, გურული, კახური, ლეჩხუმური, რაჭული, აჭარული, მესხური, ფშაური, თუშური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ფერეიდნული, ინგილოური, იმერხეული

(კლარჯული).

სალიტერატურო ენა ერთი რომელიმე დიალექტის საფუძველზე იქმნება და საერთოა მთელი ერისათვის. ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად ა. ჩიქობავა და ვ. თოფურია მიიჩნევენ ქართლ-კახურ დიალექტს. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ბ. ჯორბენაძე თბილისურ ქართულს მიიჩნევდა სალიტერატურო ენის საძირკვლად.

დიალექტები ამოუწურავი წყაროა სალიტერატურო ენის განვითარებისათვის, დიალექტური ფორმები ხშირად გადადიან სალიტერატურო ენაში და მის ლექსიკურ მარაგს ავსებენ.

პროფესიონალიზმები. პროფესიული ლექსიკა გამოიყენება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მუშაობენ ერთ სფეროში. პროფესიონალიზმები ისევე, როგორც ტერმინები, განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია სიტყვით *სპეციალური (სპეც.)*, ზოგჯერ კი მითითებულია ამა თუ იმ სიტყვის გამოყენების სფერო: *ფილ. (ფილოსოფიური)*, *ტექნ. (ტექნიკური)*, *ზოოლ. (ზოოლოგიური)*, *სპორტ.(სპორტული)*, *იურ. (იურიდიული)*, *მეტალ. (მეტალურგიული)*, *მით. (მითოლოგიური)*.

პროფესიულ ლექსიკას მიეკუთვნება ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოიყენებიან სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის დროს და რომლებიც არ მიეკუთვნებიან საყოველთაო ლექსიკას. ტერმინებისაგან განსხვავებით, რომლებიც აღნიშნავენ სამეცნიერო ცნებებს, პროფესიონალიზმები აღიქმება, როგორც „ნახევრადოფიციალური“ სიტყვები, რომლებსაც არა აქვთ მკაცრი მეცნიერული ხასიათი და გამოიყენებიან ძირითადად ზეპირ მეტყველებაში. პროფესიული ლექსიკა იხმარება სხვადასხვა სანარმოო პროცესის, შრომის იარაღის, ნედლეული და ა. შ. აღსანიშნავად. მაგალითად, ურნალისტების მეტყველებაში არის ასეთი პროფესიონალიზმები: „საგაზეთო სვეტი“, „სარდაფი“, „ქუდი“, „რედაქტორის სვეტი“ და ა. შ.

მხატვრულ ლიტერატურაში პროფესიონალიზმებს მიმარ-

თავენ ადამიანთა ცხოვრების რეალისტური ასახვის მიზნით.

არსებობს აგრეთვე პროფესიულ-ჟარგონული ლექსიკა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ერთი პროფესიის ადამიანების ზეპირ მეტყველებაში, მაგალითად, „პინგვინი“ რეპეტიტორთა პროფესიულ-ჟარგონულ ენაზე ნიშნავს აბიტურიენტს.

ჟარგონი. ჟარგონულ ლექსიკას ვხვდებით იმ ადამიანთა მეტყველებაში, რომელთაც აერთიანებთ საერთო ინტერესები, საქმიანობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

თანამედროვე ქართულში უხვად გვხვდება ახალგაზრდული ჟარგონი, იგივე სლენგი. მაგალითად, „ძალი“ (პოლიციელი), „შმონი“ (ჩხრეკა), „მაყუთი“ (ფული), აახვია (ნავიდა), „გაფეილდა“ (ტესტი ვერ ჩააბარა), „შეაბა“ (დაიყოლია). სლენგი მუდმივად იცვლება. ჟარგონთა ერთი ნაწილი დავინწყებას ეძლევა, მათ ადგილს სხვა იკავენს და სწრაფად ვრცელდება ახალგაზრდებში. ჟარგონით საუბარი მიუთითებს არა მხოლოდ დაბალ სამეცყველო კულტურაზე, არამედ სამყაროს აღქმის პრიმიტიულობაზე, და ბოლოს, სულიერების ნაკლებობაზე. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სლენგი ახალგაზრდული სენია და ბევრი ახალგაზრდა მონიფულ ასაკში ჟარგონულ ლექსიკაზე უარს იტყვის და მეტყველების კულტურასაც აიმაღლებს.

ჟარგონის განსაკუთრებული სახეობაა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლების მეტყველება, რომელიც ე. წ. „ზონებიდან“ (ციხეებიდან) შემოვიდა.

უცხოენოვანი ლექსიკა. უამრავი უცხოური ლექსიკური ერთეული გამოიყენება ცხოვრების ყველა სფეროში. მათი ხმარება ზოგჯერ საჭიროა და აუცილებელი, ზოგი კი უცხო სიტყვებს ყოველგვარი საჭიროების გარეშე მიმართავს და ეს კარგ ტონადაც მიაჩნია.

უცხოენოვან ლექსიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკოსთა მეტყველებაში: *პრეზიდენტი, პარლამენტი, ინ-*

აუგურაცია, სპიკერი, იმპიჩმენტი, ელექტორატი, დეპარტამენტი, კონსენსუსი და ა.შ. უცხოური სიტყვები გამოიყენება სხვა სფეროებშიც, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში: კომპიუტერი, ფაილი, მოდემი, ფაქსი; ფინანსურ-კომერციულ საქმიანობაში: ბარტერი, ბროკერი, ბიზნესი, დილერი, სპონსორი, ინვესტიცია; ყოფა-ცხოვრებაში: ჰამბურგერი, სუპერმარკეტი, შოპინგი. ბანდიტ-გამომძაღველებს ახლა რეკეტიორს უწოდებენ, დაქირავებულ მკვლელს — ქილერს.

ქართული ენა, როგორც მრავალი სხვა, განიცდის ამერიკანიზაციას. ამის მიზეზი სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში უნდა ვეძებოთ.

ჩვენს ცხოვრებაში უამრავი ახალი მოვლენა შემოდის, მას მოჰყვება მისი აღმნიშვნელი სიტყვაც. რაღაც დროით ნასესხობა ყოველთვის იყო და იქნება. ქართულ ენას თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრ სხვა ენასთან (ბერძნულთან, სპარსულთან, არაბულთან, თურქულთან, რუსულთან...) ჰქონდა კონტაქტი. ამის შედეგად უცხო ენებიდან მრავალი სიტყვა შემოდიოდა. ზოგი მათგანი ენაში დამკვიდრდა და დღეს მათი უცხოური წარმომავლობა არც კი იგრძნობა (მაგალითად: განძი, სპილენძი, აბჯარი, ავაზაკი, ვარდი, ასაკი, აივანი, ბაღი, ზეიმი, თეფში, ოთახი, ფანჯარა, საათი, ხალხი, ექიმი, ნაბადი, პარასკევი, შაბათი, კვირა, ეპისკოპოსი, თეატრი, ისტორია, მელანი, ბილეთი, ლიმონათი, პასპორტი და ა.შ.). თუ ენის ხერხემალი მტკიცეა, ლექსიკური ნასესხობები მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს (რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება საჭირო ნასესხობანი და არა უსარგებლო ან სულაც ზიანის მომტანი ბარბარიზმები) მიუხედავად ამისა, ენა უნდა დავიცვათ უცხოენოვანი სიტყვების მოძალეებისაგან.

ნეოლოგიზმები. ქართულ ენაში პოსტსაბჭოურ პერიოდში უამრავი ახალი სიტყვა გაჩნდა, რაც განაპირობა ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის მეორით შეცვლამ. მაგალითად: ევრო, დეპარტამენტი, ლარი, კუპონი, ინფლაცია,

ლობი. ახალი სიტყვები დამკვიდრდა თითქმის ყველა სფეროში მაგალითად, სამთავრობო დაწესებულებების სახელები: *პარლამენტი, მერია, საკრებულო*; თანამდებობები: *კოორდინატორი, მენეჯერი, ასოცირებული პროფესორი, პროდიუსერი, ვიზაჟისტი, დიზაინერი*; საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების სახელწოდებები (*„თავისუფლების ინსტიტუტი“*, *„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“* და ა. შ.). ეს სიტყვები და გამოთქმები პოსტსაბჭოური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია და ასახავს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს, რაც ბოლო პერიოდში მოხდა. ამ სიტყვების გაჩენა თვითონ ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

ენის ლექსიკური ფონდი გამუდმებით იცვება. ამიტომ მასში ყოველთვის გვხვდება ახალი სიტყვები. დროთა განმავლობაში ისინი გადადიან აქტიურ ლექსიკურ მარაგში. როცა ახალი სიტყვა ხშირად გამოიყენება, იგი ჩვეულებრივ ენობრივ ერთეულად იქცევა, სტილისტურად აღარაფრით განირჩევა დანარჩენი ლექსიკური ერთეულებისაგან და ენაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ფუნქციონირებს.

ნეოლოგიზმებად იწოდება ის ახალი სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ იქცნენ შესატყვისი ცნების ჩვეულებრივ დასახელებად და ამიტომ შეინარჩუნეს სიახლის ელფერი; ასეთი სიტყვები ჯერ არ მოხვედრილან ლექსიკონებში, ადამიანებიც ჯერ არ არიან შეჩვეულნი ამ „სიახლეს“. პრაქტიკულად ყველა „ახალშობილი“ სიტყვა დასაწყისში ნეოლოგიზმს წარმოადგენს; შემდეგ, დროთა განმავლობაში, ისინი კარგავენ სტილისტური სიახლის ეფექტს და ზოგ შემთხვევაში არქაიზმებადაც კი გადაიქცევიან. მაგალითად, არქაიზმად იქცა „ვაუჩერი“, რომელიც ახლა ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების პირობებში კვლავ შემოვიდა ხმარებაში. უკვე არქაიზმადაა ქცეული რევეკომი, ჩეკა, რაიკომი, აღმასკომი, პარტკომი, სოციალისტური შეჯიბრება, მერგოლური, რომლებიც სულ რამ-

დენიმე ათეული წლის წინ ნეოლოგიზმები იყო.

ნეოლოგიზმთა ტიპები. წარმოების საშუალებების მიხედვით გამოიყოფა ლექსიკური ნეოლოგიზმები, რომლებიც იქმნება ენაში არსებული პროდუქტიული მოდელების მიხედვით (*მარსიელები, მთვარემავალი, მაცივარი, ასანთი*) და სემანტიკური ნეოლოგიზმები, რომლებიც წარმოიქმნება ენაში უკვე არსებული სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებით (მაგალითად: *ესტრადის ვარსკვლავი, კომპიუტერის თავი...*).

ნეოლოგიზმის შექმნის პირობების გათვალისწინებით განირჩევა მათი ორი ჯგუფი: 1) სიტყვები, რომელთა გაჩენა ენაში არ უკავშირდება კონკრეტულ პირს. 2) სიტყვები, რომლებიც დაამკვიდრა კონკრეტულმა ავტორმა, ანუ ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმები.

რასაკვირველია, ყველა ახალი სიტყვა ოდესღაც ვილაცამ მოიგონა, მაგრამ, როგორც წესი, იშვიათად ვიცით, ვინ შექმნა ესა თუ ის ნეოლოგიზმი. ამიტომ ნეოლოგიზმების დიდი უმრავლესობა განეკუთვნება პირველ ჯგუფს. დღეს ველარავინ იტყვის, ვინ შექმნა პირველად სიტყვები: *ხუთნლელი, კოლმეურნეობა, კომკავშირი, მოქკავშირი* და სხვა მრავალი. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ შექმნა და დაამკვიდრა ჩვენს ენაში სიტყვები: *წოდება, დედააზრი, მსოფლმხედველობა, თვალთახედვა, მთავრობა* და მრავალი სხვა; კონსტანტინე გამსახურდიამ — შექმნა სიტყვები: *ცარგვალი, შინაბერა, ქვემეხი, დიდოსტატი*; ნიკო ნიკოლაძემ — *ლიანდაგი, ორთქმავალი*; გიორგი ნიკოლაძემ — *განტოლება, ტანვარჯიში, მსაჯი*. ა. წერეთელმა — *შეხმატკბილება, გაიძვერა, ბობოლა...*, დიმიტრი უზნაძემ — *აღქმა, განწყობა, განწყობილება*, ვუკოლ ბერიძემ — *მივლინება, შვებულება, საშვი...*

როცა ახალი სიტყვების შექმნაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არ ნიშნავს სრულიად ახალი ძირის შექმნას, გამოგონებას. ახალი სიტყვები იქმნება ენაში არსებული ძირებისა და აფიქსებისაგან, რომელთაც ახალი მნიშვნელობა ეძლევათ.

მაგალითად, ნათ ძირი ქართულში უძველესი დროიდან არსებობდა (ნათ-ელი, ნათება და სხვ.), ასევე არსებობდა აღ (ა) ზმნისნინი და სა- პრეფიქსი, მაგრამ ადრე არ არსებობდა ამ ელემენტების შეერთებით მიღებული სიტყვა ა-სა-ნთ-ი. როცა რუსული „სპიჩის“ შესატყვისი ქართული სიტყვის მონახვა დაიწყეს, თავდაპირველად სცადეს, გამოეყენებინათ ძველი ქართული ნუმნუმა (გოგირდი), მაგრამ ენამ ვერ იგუა ეს სიტყვა. სწორედ მაშინ აკად. აღ. ჯანელიძემ შექმნა გამოსათქმელად ადვილი და მნიშვნელობით გამჭვირვალე ტერმინი — ასანთი, რომელიც იოლად დამკვიდრდა ხალხის მეტყველებაში. ამავე პრინციპით არის ნანარმოები რუსული „ზაჟივალკას“ შესატყვისად სანთებელა.

თუ ნეოლოგიზმი ენაში დამკვიდრდა, იგი ზოგადსახალხო ნეოლოგიზმია, ხოლო თუ იგი შეიქმნა რაიმე შემთხვევის გამო, კონკრეტული კონტექსტისათვის, მას ეწოდება ოკაზიონალური (ლათ. casus — შემთხვევა) ნეოლოგიზმი.

ოკაზიონალურ ნეოლოგიზმს მიეკუთვნება სიტყვა, რომელიც მწერალმა შექმნა და გამოიყენა მხოლოდ კონკრეტულ ნანარმოებში, მაგალითად გალაკტიონის რამდენიმე ოკაზიონალურ ნეოლოგიზმს მოვიტანთ:

*„ულერს ქვის ჰარმონია,
დარობს რამდი-დარი“*

(„ქებათა ქება ნიკორწმინდას“)

*„ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახვერდები“.*

(„თოვლი“)

„მოდი, სადმე უდაბური ვპოვოთ კუთხე ქედმომალლო“.

(„ნამყე ბეთანიისაკენ“)

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით

უსულდგმულო ხეები ჩნდება და ქვესკნელდება“

ნეოლოგიზმებს ხშირად ქმნიან ბავშვები. პატარა დათომ

დედას უთხრა: „დე, მომწყურდა.“ მიუტანეს წყალი. „ახლა მომ-
პურდა“ (ანუ მომშივდა).

იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განარჩიონ მწერლისა და
საყოფაცხოვრებო ოკაზიონალიზმები, პირველს უწოდებენ ინ-
დივიდუალურ-სტილისტურს, მეორეს — საყოფაცხოვრებოს.

საყოფაცხოვრებო ოკაზიონალიზმები იქმნება უნებლიეთ,
ძირითადად ზეპირი მეტყველების დროს და, როგორც წესი, არ-
სად არ ფიქსირდება, ხოლო ინდივიდუალურ-სტილისტური
ოკაზიონალიზმები არის შემოქმედებითი პროცესის შედეგი, ის-
ინი დაფიქსირებულია მხატვრულ ნაწარმოებში.

რიტორიკა არ კრძალავს ასეთი ნეოლოგიზმების შექმნას,
ისინი მეტყველებას ხატოვანებას ანიჭებენ. მთავარია, რომ
გასაგები იყოს მათი მნიშვნელობა.

მოძველებული სიტყვები. ისტორიზმები და არქაიზმები.
ენა განუწყვეტილად ვითარდება. რაღაც ახალი წარმოიქმნება,
რაღაც ძველდება და დავიწყებას ეძლევა. საზოგადოებაში
მომხდარ ყოველ ცვლილებაზე უპირველესად რეაგირებს ენის
ლექსიკური ფონდი. ის მოვლენები, საგნები, რომლებიც
ცხოვრებაში აღარ გამოიყენება, ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა.
დავიწყებას ეძლევიან და არქაულ ელფერს იძენენ მათი აღმ-
ნიშნელი სიტყვებიც. ზოგი სიტყვა დიდი ხანია, რაც დაძველდა
და დღეს მხოლოდ ძველი ქართული ენის ფონდშია (*ხამლი,
კვერთხი, კუბასტი, ერგასი, ჭუნე და სხვა*), ზოგიც ჩვენს თვალ-
წინ ძველდება (*პარტორგი, სსრკ, გდრ, პოლიტბიურო, ცეკას
მდივანი*).

ენაში ხშირად ხდება მოძველებული სიტყვის აღორძინება და
მისი გააქტიურება. სტალინის კულტის დროს რუსულ ენაში
აღორძინდა სიტყვა *вождь* — ბელადი, რომელიც უკვე პუშკინის
ეპოქაში იყო არქაიზმი და ამ ეპოქის ლექსიკონებში შესაბამისი
სტილისტური აღნიშვნაც ჰქონდა. რუსულის გავლენით „ბე-
ლადი“ ქართულშიც გააქტიურდა, ახლა კი იგი არქაიზმია. დღეს
ახალი სიცოცხლე შეიძინეს არქაიზმებმა პოლიცია, გუბერნა-

ტორი, გიმნაზია, ლიცეუმი და სხვ.

მოძველებულ სიტყვებში განარჩევენ ისტორიზმებს — ხმარებიდან გამოსული საგნების, ძველი მოვლენების, ცნებების აღმნიშვნელ სიტყვებს, მაგალითად: *პიტიახში, ერისმთავარი, ჭუსარი, მამასახლისი, ბოქაული, პრისტავი და ა. შ.*

ისტორიზმებს თანამედროვე ქართულ ენაში სინონიმები არ აქვთ, რაც იმით აიხსნება, რომ მოძველდა თავად ის რეალია, რომელთა დასასახელებლადაც ეს სიტყვები გამოიყენებოდა.

ისტორიზმებში განირჩევა არქაიზმები — არსებული ნივთებისა და მოვლენების დასახელება, რომლებიც რაღაც მიზეზების გამო შეავიწროვეს ახალმა სიტყვებმა. მაგ: *იადონი — ბულბული, მუნ — იქ, ტაიჭი — ცხენი, ერგასი — ორმოცდაათი*. არქაიზმებს ისტორიზმისაგან ის განასხვავებს, რომ მათ აქვთ სინონიმები, რომლებმაც ისინი მთლიანად შეცვალეს თანამედროვე ქართულ ენაში.

მოძველებული ლექსიკის სტილისტური როლი. მოძველებული სიტყვები მხატვრულ მეტყველებაში განსხვავებულ სტილისტურ ფუნქციას ასრულებენ. არქაიზმები და ისტორიზმები გამოიყენება შორეული ეპოქების კოლორიტის შესაქმნელად. არქაიზმები მეტყველებას ამაღლებულ, საზეიმო ჟღერადობას აძლევენ, თუმცა, მოძველებულმა ლექსიკამ მეტყველებას შეიძლება ირონიული შეფერილობაც მისცეს.

შეცდომები არქაიზმების გამოყენების დროს. მოძველებული სიტყვების გამოყენება მათი ექსპრესიული შეფერილობის გათვალისწინების გარეშე იწვევს უხეშ ენობრივ შეცდომებს. მაგალითად: *„კათედრის ლაბორანტი მუნ ეძებდა მოხსენების თეზისებს“*; *„სპონსორი მოულოდნელად გაიპარა, რამეთუ არ უნდოდა თავისი სახელის გამჟღავნება“*; *„ბალის აღმზრდელმა თვალი ჰკიდა ნიკას, რომელიც ელენეს სათამაშო ჰუნეს ართმევდა“*.

თავი V

მეტყველების გამომსახველობის ლექსიკური საშუალებები

მეტყველების გამომსახველობის გასაძლიერებლად გამოიყენება განსხვავებული ლექსიკური ერთეულები. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სინონიმები.

— სინონიმები ენოდება განსხვავებული უღერადობისა და მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, რომელთაც ხშირად სტილისტური შეფერილობა განასხვავებთ. მაგალითად: *ტური — ბაგე, პაპა — ბაბუა, დიდედა — ბებია, მომდევნო — შემდგომი, მონაფე — მოსწავლე და ა. შ.*

სიტყვათა რიგს, რომელიც შედგება რამდენიმე სინონიმისაგან, ენოდება სინონიმური მწკრივი. სინონიმურ მწკრივში პირველ ადგილზე, ჩვეულებრივ, აყენებენ მნიშვნელობით ყველაზე ფართო და სტილისტურად ნეიტრალურ სიტყვებს. დანარჩენი სინონიმები აზუსტებენ და ავსებენ მის მნიშვნელობას, მატებენ მას შეფასებით ელფერს. მაგალითად, სიტყვა „*ბურჯნარი*“ ყველაზე ზუსტად გადმოსცემს იმ მნიშვნელობას, რომელიც აერთიანებს იმ ადგილის აღმნიშვნელ ყველა სინონიმს, სადაც არის ბურჩები (*ჯგაგნარი, ჩირგვნარი, ენერი*). მას (*ბურჯნარს*) არ აქვს სტილისტური ელფერი. დანარჩენი სინონიმები ნაწილობრივ განსხვავდებიან მნიშვნელობით ან მეტყველებაში გამოყენების თავისებურებით გამოირჩევიან. „*თათბირი*“ — ნეიტრალური სიტყვაა, „*მსჯელობა*“ — უფრო აკადემიური ელფერის მქონე, „*ვეზირობა*“ — არქაული, „*მოლაპარაკება*“ — პუბლიცისტური, „*რჩევა*“ — სასაუბრო და ა. შ. სინონიმები *თათბირი, მსჯელობა, ბჭობა, სჯა, სჯა-ბაასი, მოლაპარაკება, რჩევა, ვეზირობა, ვაზირობა*, განირჩევიან არა მხოლოდ მნიშვნელობის ნაწილობრივ განსხვავებული ელფერით, არამედ სხვა სიტყვებთან შერწყმის შესაძლებლობის თვალსაზრისითაც.

მაგალითად, ვერ ვიტყვით: „საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ვაზირობა გამართა“. (უნდა ვთქვათ: „თათბირი გამართა“). ვერ ვიტყვით: „საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სჯა-ბაასი გაიმართა აფხაზეთის საკითხებზე“ (უნდა ვთქვათ: „მოლაპარაკება გაიმართა“). ვერ ვიტყვით: „პატარა ნიკა მოეთათბირა მამას, შეიძლებოდა თუ არა მისთვის ცივი წყლის დაღვევა“. (უნდა ვთქვათ: პატარა ნიკამ ჰკითხა მამას...).

„კვალი“ ნეიტრალური სიტყვაა. მისი სინონიმური მწკრივი ასეთია: *კვალი, ნაკვალევი, ნატერფალი, ნაურმალი, ნაფეხური, ნამუხლი, ნაჩლიქარი, ფეხის ნავალი, სრიელი (ნაგუთნევი კვალი)*. არ შეიძლება ვთქვათ: „დავითის მანქანის ნაურმალი,“ „ეკას ნაჩლიქარი“, „ძაღლის ნაფეხური“ და ა.შ.

სინონიმურ მწკრივში ზოგჯერ ერთიანდება არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ ფრაზეოლოგიზმებიც. მაგალითად: *ცემა — თმებით დათრევა, ფეხქვეშ გადაება; განიარაღება — იარაღის ჩამორთმევა, იარაღის აყრა; ლამაზი — კალმით ნახატი; ავ თვალს არ ენახებება; მოტყუება — თვალის ახვევა, ჭეშმარიტების გზიდან გადაცდენა.*

ქართული ენა მდიდარია სინონიმებით. სინონიმური მწკრივი შეიძლება შედგებოდეს ორი-სამი და ბევრად მეტი სიტყვისგანაც. მათი სიმდიდრე იძლევა არაჩვეულებრივ საშუალებას იმისათვის, რომ ამოირჩეს ყველაზე ზუსტი სიტყვა. სინონიმთა სიმრავლე ხშირ შემთხვევაში გვაყენებს რთული არჩევნის წინაშე, რომელ მათგანს მივანიჭოთ უპირატესობა, რომელი უკეთ გამოხატავს სათქმელს. არც თუ ისე ადვილია მნიშვნელობით ახლოს მდგარ სინონიმთა შორის აირჩეს ის ერთადერთი, რომელიც ყველაზე მეტად იქნება გამართლებული მოცემულ კონტექსტში.

სინონიმთა სტილისტური ფუნქციები. როდესაც ტექსტში რამდენიმე სინონიმია გამოყენებული, მათ ენიჭებათ განსხვავებული ფუნქციები. სინონიმებით შეიძლება დავაზუსტოთ ესა თუ ის ცნება. მაგალითად: „ის გათხოვდა უბრალო,

ძალიან ჩვეულებრივ და არაფრით გამოჩეულ კაცზე“.

ზოგჯერ სინონიმები გამოიყენება სიტყვის ასახსნელად: *„მე სიტყვა ტრივიალურს ვხმარობდი ჩვეულებრივის მნიშვნელობით“*; *„პატრიოტი, ანუ სამშობლოს მოყვარული“* და ა. შ.

შეიძლება სინონიმები დავუპირისპიროთ კიდევ ერთმანეთს. მაგალითად: *„მე კი არ ვიცინოდი, ვხარხარებდი“*; *„ის კი არ ტირილდა, მოთქვამდა“*.

სინონიმების გამოყენება თავიდან აგვაცილებს სიტყვათა განმეორებას. ისინი არა მარტო ამრავალფეროვნებენ მეტყველებას, არამედ განუმეორებელ სტილისტურ ელფერს აძლევენ მას.

სინონიმების მწკრივით შეიძლება მივალნიოთ გრადაციას (აღმავალს ან დაღმავალს), როცა ყოველი მომდევნო სინონიმი აძლიერებს (ან ასუსტებს) წინამავლის მნიშვნელობას. მაგალითად: *„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკელოდ ჩემი მერანი...“* *„მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, უღვევი“*; *„მე და შენ მაინც განუწყვეტელი ომი გვაქვს, ორთაბრძოლა, დუელი“*. სინონიმების მარჯვე გამოყენება მეტყველებს მწერლის ოსტატობაზე.

შეცდომები სინონიმების გამოყენების დროს. სინონიმების არაზუსტი, არასწორი გამოყენება შეიძლება იქცეს მეტყველებაში შეცდომების დაშვების მიზეზად. მაგალითად, შესაძლებელია გრადაციის არასწორი აგება, რაც ხშირად გვხვდება ხოლმე ჩქარი, გაუაზრებელი, არეული მეტყველების დროს. მაგალითად მოვიყვანოთ ადვოკატის სიტყვა:

„პატრონო ნაფიცო მსაჯულებო! განსასჯელის მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის წინ იყო ჯოჯოხეთური. იგი შეიძლება შეფასდეს, როგორც უკიდურესად ტრაგიკული. განსასჯელის მდგომარეობა იყო უკიდურესად დრამატული, აუტანელი, უაღრესად მძიმე და, ცოტა არ იყოს, ერთგვარად შემანუხებელიც“. აქ *„ერთგვარად შემანუხებელი“* არღვევს გრადაციის ლოგიკურ განვითარებას და გამონათქვამს კომიკურ ელფერს სძენს.

მოვიყვანთ ამ ტიპის სხვა მაგალითსაც: *„გიმნაზიაში ცხოვრება დულდა და გამოდულდა. იქ მოსწავლეების ცოდნა საოცრად მოკრძალებული იყო, მასწავლებლების პროფესიონალიზმი — საეჭვო.“* ეს ტექსტი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. თუ მეორე ნაწილში მოცემული მსჯელობა სწორია, მაშინ პირველ ნაწილი სრულიად ზედმეტია და, რაც მთავარია, აბსურდული.

გავეცნოთ სამეტყველო შეცდომების კიდევ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც გამოწვეულია სინონიმების არასწორი შერჩევით: *„ჩვენს მიკრორაიონში აღმართეს ახალი სკოლა“* (უნდა იყოს: *ააშენეს*); *„ირაკლი ჯარიდან დაბრუნდა და ახლა სამოქალაქო ფორმით დადის“* (უნდა იყოს: *სამოქალაქო ტანსაცმლით*).

სინონიმები ზოგჯერ, ერთი შეხედვით, მნიშვნელობით ძალიან ახლოს დგანან, მაგრამ კონტექსტში ისინი არ არიან თანაბარმნიშვნელოვანნი. მაგალითად, არ შეიძლება ვთქვათ: *„კომბაინი მთელი დღე მოღვაწეობდა მინდორში“* (უნდა ვთქვათ: *მუშაობდა*). ეს წინადადება შეიძლება მხოლოდ ირონიულ კონტექსტში გამოვიყენოთ.

სინონიმთა გამოყენების დროს შეცდომების თავიდან ასაცილებლად ხშირად ჩაიხედეთ სინონიმთა ლექსიკონში, მაშინ თქვენ შედარებით დაზღვეული იქნებით ამ ტიპის სტილისტური ხარვეზისაგან.

ანტონიმები. ანტონიმები განსხვავებული ყლერადობის და საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. მაგალითად: *სიმართლე — ტყუილი, სიკეთე — ბოროტება, ლაპარაკი — დუმილი.*

ანტონიმები, როგორც წესი, მეტყველების ერთი და იგივე ნაწილებია და წყვილ-წყვილად ჯგუფდება.

ანტონიმების უმეტესობა თვისებას გვიჩვენებს (*კარგი—ცუდი, ჭკვიანი—სულელი, ახლობელი—შორებელი, ხშირი—იშვიათი და ა. შ.*), შედარებით ცოტაა ისეთები, რომლებ-

ბიც მიუთითებენ სივრცით და დროით. *ურთიერთობებზე* (დიდი—პატარა, განიერი—ვიწრო, მაღალი—დაბალი, ადრეული—გვიანი, დღე—ღამე, დილა—საღამო), ერთი ნაწილი ანტონიმური წყვილებისა რაოდენობას აღნიშნავს (*ბევრი—ცოტა, ერთეული—მრავალი*). გვხვდება სანინაალმდეგო მოქმედების, მდგომარეობის აღმნიშვნელი ანტონიმებიც (*სიცილი—ტირილი, სიხარული—სევდა*), თუმცა ასეთები ძალიან ცოტაა.

უამრავი სიტყვა საერთოდ არ მოიაზრება ანტონიმურ წყვილში (*მაგალითად, სახლი, ხე, წერა, თბილისი, კავკასია*).

სტრუქტურულად ანტონიმები იყოფა სხვადასხვაძირიან და ერთნაირძირიან ანტონიმებად. *დღე — ღამე, სიკეთე — ბოროტება, მაღალი — დაბალი* — სხვადასხვაძირიანი ანტონიმებია, ხოლო *შეტევა — კონტრშეტევა, მოსვლა — ნასვლა* — ერთნაირძირიანი.

როგორც აღვნიშნეთ, ანტონიმები წყვილ-წყვილად ჯგუფდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთ სიტყვას მხოლოდ ერთი ანტონიმი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, *მხიარულის ანტონიმებია სევდიანი, ნალვლიანი, მონყენილი; ჭკვიანის — უჭკუო, სულელი, თავქარიანი*.

უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების შემთხვევაში მათ ზოგ მნიშვნელობას შეიძლება ჰქონდეს ანტონიმური წყვილი, ზოგს — არა. მაგალითად, როცა სიტყვა *დღე* იხმარება *დღე-ღამის* ნაწილის მნიშვნელობით, მისი სინონიმი *ღამე*, ხოლო თუ *დღეს* გამოვიყენებთ *დღე-ღამის* მნიშვნელობით, მაშინ მას სინონიმი არა აქვს.

ანტონიმების სტილისტური ფუნქცია. ანტონიმი ანტითეზის შექმნის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ანტითეზა — კონტრასტის სტილისტური ფიგურაა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ცნებებს, დებულებებს, სახეებს, მდგომარეობას. მაგალითად, *„ხან უგნური ვარ, ხან — ბრძენი“* (აკაკი). *„იყიდება საქართველო... ჰყიდის ყველა: დიდი და პატარა, ჭკვიანი და*

სულელი, ლოთი და პირაკრული...." (ნ. ლორთქიფანიძე)

ანტითეზა შეიძლება იყოს მარტივი (ერთნევრიანი). „დიდ კაცთან პატარა კაცს როდის გასვლია მართალი?“ და რთული (მრავალნევრიანი). რთულ ანტითეზაში შეიძლება ჩართული იყოს რამდენიმე ანტონიმური ნწყვილი. გავისხენოთ მეფე გიორგის სიკვდილისწინა მონოლოგი კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“, რომელიც სწორედ რთული ანტითეზის მაგალითია: „ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულ ზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მილაღატნია!“.

ანტონიმების შეპირისპირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ყოველ დასახელებულ საგანს, რაც აძლიერებს აზრის გამომსახველობით უნარს. მაგალითად: „მთები მიჯნავენ ქვეყნებს, მაგრამ აახლოებენ ადამიანებს“; „სპორტსმენის ხასიათი გამოიწვევს არა ტრიუმფალური გამარჯვებით, არამედ მწარე დამარცხებით“.

განსაკუთრებულ სიმძაფრეს და აფორისტულობას სძენს ანტონიმები ე. ნ. ფრთიან გამოთქმებს: „ჭირი — იქა, ლხინი — აქა, ქატო — იქა, ფქვილი — აქა“; „სიცოცხლე წარმავალია, ხელოვნება — მარადიული“.

ანტონიმია გამოიყენება ოქსიმორონში (ბერძ. „ოქსის“ - მძაფრი, მახვილი, მჭრელი, „მორონ“ - სიბრიყვე სისულელე, უგუნურება. სიტყვასიტყვით „გონებამახილური სიბრიყვე“), რის კლასიკურ ნიმუშად რიტორიკის სახელმძღვანელოებში დასახელებულია ასეთი მაგალითი: „ლაკედემონელები ხმელეთზე საზღვაო ბრძოლას აწარმოებდნენ, ათენელები კი ხომალდებზე სახმელეთო ომს“. ოქსიმორონი კონტრასტული ცნებების შეერთებას ნიშნავს ახალი, მოულოდნელი ცნების შექმნის მიზნით: ცოცხალი ლეში; ახალგაზრდა მოხუცი, ოპტი-მისტური ტრაგედია, თავისუფალი მონები, პატიოსანი ქურდი, მშრალი ღვინო.

ანტონიმია მარტო კონტრასტის გამოხატვის საშუალება არ

არის, ზოგჯერ იგი გვეხმარება კარგად გავითავისოთ სივრცითი და დროითი საზღვრები. მაგალითად: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“; „ღლე და ღამე შრომობს“ და ა.შ.

შეცდომები ანტონიმების გამოყენების დროს. ანტონიმების სიმრავლე და მრავალფეროვნება ქართული ენის სიმდიდრეა. უნდა გვახსოვდეს, რომ მათი გამოყენებასას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ანტონიმების „შეჯახებამ“, რაც ვერ შენიშნა მოლაპარაკემ, ფრაზა შეიძლება ალოგიკური გახადოს: მაგალითად: „ჩაიცვი ჩემი ძველი კაბა, ის ჯერ კიდევ ახალია!“ „საქმე ქარხანაში გამოკეთდა უარესობისკენ“.

პარონიმები. პარონიმი — (ბერძ. „პარ“ - ახლოს, „ონომა“ - სახელი). პარონიმები ბგერობრივად მსგავსი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. მაგალითად: *აღქმა — აღთქმა, მოთხოვნა — მოთხოვნილება, ცნება — მცნება, პირი — პიროვნება, სწავლა — სწავლება, თარგმნა — თარგმანი, სწორედ — სწორად, თითქოს — თითქმის, იწყებს — იწყობს.*

გარეგნულად მსგავსი სიტყვების აღრევის საფუძველი მათი ლექსიკური მნიშვნელობის უცოდინრობაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა პარონიმები უცხო სიტყვებია: *დიპლომატი — დიპლომანტი, აფექტი — ეფექტი, ვეტერანი — ვეტერინარი, კამპანია — კომპანია, პლაგიატი — პლაგიატორი.* პარონიმების მსგავსებას უღერადობის თვალსაზრისით განაპირობებს ის გარემოება, რომ უმეტესწილად მათ ერთი მორფოლოგიური ძირი აქვთ. პარონიმების აღრევა დაუშვებელია. ეს ითვლება უხეშ ლექსიკურ დარღვევად. ასე რომ, პარონიმების გამოყენებისას არანაკლები სიფრთხილე გვმართებს, ვიდრე სინონიმების და ანტონიმების გამოყენებისას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„ჩვენი ეკონომიის მინისტრი ღირსეული კაცია“. უნდა იყოს: ეკონომიკის, რადგან ეკონომია ნიშნავს მომჭირნეობას. ეკონომიკა კი — სამეურნეო სისტემის ერთიანობას.

„ამ ამჟღაში თავს კარგად ვგრძნობ“. ამჟღა — წამლის პატარა ჭურჭელია, ამჟღა — შესაფერისი როლი, საქმიანობა. უნდა იყოს: „ამ ამჟღაში თავს კარგად ვგრძნობ“.

„შერმადინი ავთანდილის ყრმა იყო“. ყრმა ბავშვს, ყმანვილს ნიშნავს. სწორია: „შერმადინი ავთანდილის ყმა იყო“.

„ნინომ სწორედ ამოხსნა განტოლება“. უნდა იყოს: სწორად, რადგან სიტყვა „სწორედ“ სხვა რამეს ნიშნავს, მისი სინონიმებია: „მართლაც“, „ზუსტად“.

პარონომაზია. პარონომაზია, როგორც სტილისტური ხერხი, გამოიყენება აზრის გასაძლიერებლად, ნათქვამის ხაზგასასმელად. მაგალითად: *თქმით კი ვთქვი; ნამოძახებით კი წამოვიძახე; შეტევით შეუტია; გაძლებით კი გაუძლო* და სხვა. პარონომაზია ფართოდაა გავრცელებული როგორც სასაუბრო, ისე მხატვრულ მეტყველებაში. ვნახოთ მაგალითები:

„იქ მაგ სიტყვების ხსენებაზე დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღველობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებით დღესასწაულობს“ (ილია); *ნიკო დედამას ვაეხუმრა, გააცინა, გაიცინა; აადრე ქალი ქალობდა და კაცი კაცობდა“.*

ზოგჯერ ხდება არა მონათესავე, არამედ უბრალოდ უღერადობით მსგავსი სიტყვების შეპირისპირება. „ის გატაცებული იყო არა სპორტით, არამედ სპირტით“; „მნიშვნელოვანია არა ფორმა, არამედ ფირმა“.

პარონიმები, უფრო მეტად კი პარონომაზია, გამოიყენება კალამბურებში. მაგალითად: *ოდიოზური* ფიგურის ანალოგიით *იდიოზური* ფიგურა, *ლონისძიების* ანალოგიით *ლენისძიება*, *დისერტაციის* ანალოგიით *დესერტაცია*, *რეფორმატორის* ანალოგიით *დეფორმატორი*. ახალგაზრდა — ძველგაზრდა და ა.შ.

ომონიმები. ქართულ ენაში არის სიტყვები, რომლებიც იწერება და წარმოითქმებას ზუსტად ერთნაირად, მაგრამ აქვთ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა. მათ ომონიმები

ჰქვიათ (ბერძნ. „ჰომოს - მსგავსი, „ონომა“ - სახელი).

ომონიმების ლექსიკური მნიშვნელობა არაფრით არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, მათ არა აქვთ საერთო ნიშნები.

ცნობილია ომონიმის სხვადასხვა ფორმა და აგრეთვე მისი მომიჯნავე მოვლენები. სიტყვათა სრული ომონიმის დროს ხდება სიტყვის თანხვედრა ყველა ფორმაში. სრული ომონიმის მაგალითია **ბარი** — სასოფლო-სამეურნეო იარაღი, **ბარი** — დაბლობი ადგილი (მთის ანტონიმი) და **ბარი** — გასართობი დაწესებულება. ისინი ზუსტად ერთნაირად იწერება, ზუსტად ერთნაირად წარმოითქმება და ხდება მათი სრული დამთხვევა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში. სრული და არასრული ომონიმები ყოველთვის მეტყველების ერთი და იგივე ნაწილებია. მაგალითად:

ბანი — სახლის ნაწილი, **ბანი** — ხმა, **ბანი** — ასო ბ-ს სახელი;

ბოქსი — დიდ კლინიკებში იზოლირებული ნაწილი კლინიკისა ცალკე შესასვლელით და გასასვლელით, **ბოქსი** — მამაკაცის ვარცხნილობა (საფეთქელთან და კეფაზე მოკლედ შეჭრილი ან აპარსული).

ბონი — ფულის ერთეული, **ბონი** — ქალაქი გერმანიაში.

ბიურო — სანერი მაგიდის ნაირსახეობა, **ბიურო** — ზოგიერთი დაწესებულების განყოფილების სახელი.

დისციპლინა — კოლექტივის ყველა წევრისთვის სავალდებულო არსებული წესების მორჩილება, **დისციპლინა** — ცოდნის რომელიმე დარგი.

დოლი — ბატკნის მოგების დრო, **დოლი** — დასაკრავი ინსტრუმენტი.

კილო — კუთხური მეტყველება, **კილო** — კილოგრამი, **კილო** — ლილის შესაბნევი, საღილე.

ხერხი — ფანდი, მოხერხება, **ხერხი** — სამუშაო (ხის საჭრელი) იარაღი.

რატომ ემსგავსებიან ერთმანეთს სხვადასხვა მნიშვნელობის

მქონე სიტყვები? ამის გასარკვევად დავაკვირდეთ რამდენიმე სიტყვას:

- *ასული* — *ქალიშვილი* და *ასული* — *ვინც ავიდა*;
- *ხელი* — *გიჟი*, *გადარეული* და *ხელი* — *სხეულის ნაწილი*;
- *ბალი* — *ხილი*, *ბალი* — *წვეულება*, *ბალი* — *მინისძვრის, ქარისა და ზღვის ლელვის საზომი ერთეული*.

პირველ მაგალითში სიტყვების დამსგავსება გამოიწვია სიტყვა „აღსრულის“ ფორმის თანდათანობითმა ცვლილებამ (აღ- ზმნისწინის გამარტივება, რ-ს დაკარგავა), რის შემდეგაც ის სავსებით დაემთხვა *ქალიშვილის* აღმნიშვნელ სიტყვას. ასევე სხვადასხვგვარად გამოითქმოდა და იწერებოდა წინათ *გიჟის* აღმნიშვნელი სიტყვა *ხელი* და *სხეულის ნაწილის* აღმნიშვნელი *ხელი*, პირველი მათგანი ასო ხანით (ხ), მეორე კი ასო ხარით (ქ) იწერებოდა (*ქელი*). განსხვავებული იყო მათი წარმოთქმაც, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ბგერების წარმოთქმაში სხვაობა მოიშალა და ეს სიტყვებიც სავსებით ერთნაირი გახდა, ანუ ამ ომონიმების გაჩენა სიტყვის წარმოთქმაში დროთა განმავლობაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია.

მაგრამ ხშირად ომონიმური წყვილები სხვა ენიდან მომდინარეობენ. ამის მაგალითია სიტყვა „ბალი“. ხილის მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულია, დანარჩენი ორი მნიშვნელობით კი იგი ცოტა ხნის წინ შემოვიდა ფრანგულიდან რუსულის მეშვეობით. თვითონ ფრანგულში კი ეს ორი სიტყვა სხვადასხვგვარად იწერება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ერთ დროს მათი გამოთქმაც განსხვავდებოდა.

გვხვდება ისეთი ომონიმებიც, რომელთაგან ერთი ნასესხებია ერთი ენიდან, მეორე — სხვა ენიდან. მაგალითად, თურქულიდან შემოსული „ოდა“ ხის სახლის სახელია, ხოლო ბერძნულიდან ნასესხები „ოდა“ სახოტბო ლექსს აღნიშნავს.

ომონიმებთან ერთად ხშირად განიხილავენ მის მომიჯნავე მოვლენებს, მაგალითად, *ომოფორმებს*. სიტყვებს, რომლებიც

ერთმანეთს ემთხვევიან რომელიმე ერთ (იშვიათად რამდენიმე) გრამატიკულ ფორმაში:

ველი (მინდორ-ველი) და **ველი** (ველოდები).

ვარდები (ყვავილი) და **ვარდები** — ზმნა.

მას (სკოლის სლენგი – მასწავლებელი) და **მას** (ნაცვალსახელი).

ვერა (ქალის სახელი) და **ვერა** (უარყოფითი ნაწილაკი).

გავა — ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი, **გავა** — გარეთ გასვლა, აქედან იქით წავა.

შველი — ცხოველი, **შველი** — ეხმარები, **ემშველები**.

სიტყვებს, რომლებიც უღერენ ერთნაირად, მაგრამ ინერე-ბიან სხვადასხვანაირად ეწოდება **ომოფონები**. მაგალითად: „**სადმე სადგურია, სად მე, სად გურია**“, „**სულელი**“ და „**სულელი**“, გაიხსენეთ აკაკის „თორნიკე ერისთავში“ ორბელიძისა და მასხარას ორაზროვანი სიტყვები:

*„მალლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან თავიდან
ფეხებამდე მასხა რაო?“*

*„ხუმარადაც ვარგებულხარ
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს სულ ელიო“*

ომონიმებსა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს ოსტატურად იყენებენ პოეტები მაჯამური რითმებისა და კალამბურებისთვის. ზოგი ლექსი თავიდან ბოლომდე მაჯამურ რითმაზეა აგებული. ერთ-ერთი მათგანია აკაკის „აღმართ-აღმართ“:

*„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე წელა,
სერზედ შევდექე, ჭმუნვის ალი მენელა,*

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.“

სიტყვებს, რომლებიც ინერებიან ერთნაირად, მაგრამ წარმოითქმებიან სხვადასხვანაირად ენოდებათ **ომოგრაფები**. ომოგრაფების საკითხი ქართულ ენაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ დგას, რადგან ქართულში სიტყვა წარმოითქმება ისე, როგორც ინერება.

(ერთმნიშვნელობიანი და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები. სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთი ლექსიკური მნიშვნელობა. მაგალითად: ფანქარი, კოსმონავტი, მთვარე. ასეთ სიტყვებს ეწოდებათ ერთმნიშვნელობიანი სიტყვები. თუმცა უამრავი სიტყვა ქართულ ენაში არის მრავალმნიშვნელობიანი, მათ **პოლისემიურ** სიტყვებს უწოდებენ.

მრავალმნიშვნელობიანობის რეალიზაცია ხდება მეტყველების დროს: კონტექსტი, როგორც წესი, წარმოაჩენს პოლისემიური სიტყვის ერთ-ერთ კონკრეტულ მნიშვნელობას. მაგალითად: მშვიდი ხმა; მშვიდი სუნთქვა; მშვიდი ამინდი; მშვიდი ხასიათი.

მინიმალური კონტექსტი — ანუ სიტყვათშეთანხმება — საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა „წყნარი“ ნიშნავს დაბალს, აუჩქარებელს, *უქაროს*. წყნარი ხმა (ე.ი. დაბალი ხმა), წყნარი ნაბიჯი (ე.ი. აუჩქარებელი ნაბიჯი), წყნარი ამინდი (ე.ი. უქარო ამინდი).

დავუკვირდეთ, როგორ იცვლის სიტყვა მნიშვნელობას სხვადასხვა წინადადებაში. ნიმუშად ავიღოთ სიტყვა „თავი“: *„ძალიან დავილაღე, არაფრის თავი აღარ მაქვს“*; *„მთელი დღეა თავი მტკივა“*; *„რომანის მეხუთე თავი განსაკუთრებით საინტერესოა“*; *„მაგიდაზე იდო ორი თავი ხახვი“*; *„თავი არ შეირცხვინო“*; *„ქალაქის თავი ღირსეული პიროვნება აღმოჩნდა“*; *„ამ საქმეს ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს“*.

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების რიგში ერთი

აღიქმება, როგორც ძირითადი, მთავარი, დანარჩენი, როგორც ამ მთავარისგან ნაწარმოები, მისგან გამომავალი მნიშვნელობები. განმარტებით ლექსიკონებში, როგორც წესი, პირველად მითითებულია მთავარი მნიშვნელობა, რომელსაც მოსდევს სხვა მნიშვნელობები, მათი რიცხვი შეიძლება ზოგჯერ ათზე მეტიც კი იყოს. იზოლირებულად ან ტექსტის გარეშე აღებული სიტყვა აღიქმება თავისი ძირითადი მნიშვნელობით, რომლითაც იგი უფრო ხშირად გვხვდება მეტყველებაში, დანარჩენი მნიშვნელობები კი გამოვლინდება მხოლოდ სხვა სიტყვებთან შეერთების დროს. პოლისემიის უამრავი მაგალითი თქვენ თვითონ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ, თუ დაუკვირდებით შემდეგი სიტყვების მნიშვნელობას სხვადასხვა წინადადებაში: ენა, გული, სული, ხელი, პირი, დედა, სიტყვა და სხვ.

სიტყვის ახალი მნიშვნელობის განვითარება. ენის განვითარების კვალდაკვალ სიტყვამ შეიძლება შეიძინოს ახალი მნიშვნელობა. ეს დამოკიდებულია საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებზე. ცხოვრებასა და ცნობიერებაში შემოდის ახალი ტერმინები, მათ მოჰყვება მათი აღმნიშვნელი ახალი სიტყვებიც. ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდი შეზღუდულია, სასრულია, ამიტომ ლექსიკის გამდიდრება ხდება არა მხოლოდ სესხებით და ახალი სიტყვების შექმნით, არამედ ძველი ლექსიკური ერთეულების აღდგენით და აქამდე ცნობილი სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებითაც.

ერთი საგნის სახელის მეორისთვის დარქმევა უფრო ხშირად ხდება მათი თვისებების რაიმე მსგავსების საფუძველზე. საგნები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ ფორმით (*ნიშნობის ბეჭედი, დანესებულების ბეჭედი*), ფერით (*ოქროს კულულები, ოქროს შემოდგომა*), ფუნქციით (*შემის ღუმელი, ელექტროლუმელი*) და ა. შ.

ახალი მნიშვნელობები ხშირად ჩნდება, როცა უსულო საგნის თვისება, ნიშანი გადადის სულიერ საგანზე: *რკინის ნერვები, რკინის ლედი, ოქროს გული, ცარიელი თავი* და პირიქით: *სული-*

ერის თვისებები გადადის უსულო საგნებზე: *ალერსიანი სხივები, ნაკადულების მღერა.*

ახალი მნიშვნელობების განვითარება იწვევს სიტყვების და მთლიანად ლექსიკის გამომსახველობითი შესაძლებლობების ზრდას.

შეცდომები პოლისემიური სიტყვების გამოყენების დროს. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების გამოყენებისას დიდი ყურადღება გვმართებს, რომ აზრი ნათლად და მკაფიოდ გამოვხატოთ. მაგალითად: სპორტული მიმომხილველი წერდა: *„ნონა გაფრინდაშვილი მეტოქეს ჩამორჩა განვითარებაში“* („ფიგურების განვითარება“ საჭადრაკო ტერმინია). როგორც ვხედავთ, საკმაოდ უხერხული აზრი გამოვიდა; *„მომეცით 2 ლარის ოცნება“*. ეს ფრაზა ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებულია, ხოლო თუ ოცნებას ბრჭყალებში ჩავსვამთ და ნამცხვრის სახელად მოვიაზრებთ, მაშინ ყველაფერი ნესრიგში იქნება.

თავი VI

ხატოვანება წარით და ზეპირ მეტყველებაში

ხატოვანება ფართო გაგებით ხელოვნების ნებისმიერი დარგის განუყოფელი ნაწილია. იგი სინამდვილის აღქმის ფორმაა გარკვეული ესთეტიკური იდეალის პოზიციიდან. მეტყველების მხატვრულობაც მისი კერძო გამოვლინებაა. მეტყველების ემოციურობის მისაღწევად გამოიყენება: ანტონიმები, ომონიმები, სიტყვათწარმოქმნა და ა. შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტილისტიკურ ფიგურებს — რიტორიკულ შეკითხვებს, შეძახილებს, მიმართვებს და პოეტური სინტაქსის სხვა ხერხებსა და საშუალებებს.

მეტყველების ხატოვანება უფრო ვიწრო გაგებით გულისხმობს სიტყვების ხმარებას გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად. რიტორიკა მხატვრულობას განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ სტილისტიკურ ნიშანს. იგი კარგად წარმოჩნდება მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებშიც გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები იძენენ მძაფრ ექსპრესიულობას და გადმოცემის სტილს ანიჭებენ ესთეტიკურ ღირებულებას.

ძირითადი ტროპების დახასიათება. მხატვრულ მეტყველებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტროპს. ტროპი ეწოდება ნებისმიერ სიტყვას თუ წინადადებას, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება (ბერძ. „ტროპოს“ — შებრუნება). ასეთ შემთხვევაში სიტყვას უნარჩუნდება სემანტიკური მნიშვნელობა, ფრაზას — ინფორმაციულობა და, ამასთან ერთად, ძლიერდება მათი ექსპრესიულობა. აქედან გამომდინარე, ტროპისათვის ნიშანდობლივია ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქციების ორგანული შერწყმა.

ტროპის მნიშვნელობით გამოყენებულმა ჩვეულებრივმა სიტყვამ შეიძლება შეიძინოს დიდი გამომსახველობა. ტროპი

„გარეგნული სილამაზით“ კი არ ფასდება, არამედ იმით, თუ რამდენად ორგანულად „ზის“ ის ტექსტში, რამდენად შეესაბამება ავტორის ამოცანებს, ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკურ თავისებურებებს.

მეტყველებას, რომელშიც გვხვდება ტროპები, ეწოდება მეტალოგიური (ბერძ. „მეტა“ — შემდეგ და „ლოგოს“ — სიტყვა), ხოლო ისეთ მეტყველებას, რომელშიც ტროპები არ გვხვდება — ავტოლოგიური (ბერძ. „აუტოს“ — მე, თვითონ; „ლოგოს“ — სიტყვა).

არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ მხოლოდ მეტალოგიური მეტყველება შეიძლება იყოს მაღალმხატვრული. თუ მწერლის მხატვრულ სტილში არ გვხვდება ტროპები, ეს მისი მხატვრული ოსტატობის ნაკლად აღიქმება. ეს მსჯელობა მცდარია. მაღალმხატვრული შეიძლება იყოს ავტოლოგიური მეტყველებაც. პოეზიაში უამრავი მაგალითია, როცა სიტყვები თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობით ესთეტიკურად სრულყოფილად (ვირტუოზულად) არის გამოყენებული. ამის ნათელი დადასტურებაა ნ. ბარათაშვილის „სული ობოლი“:

*„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას, —
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელლა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევე ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!
არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ემინიან, იკრძაღვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა.
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,*

*მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!*"

ტროპების გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ სასაუბრო ენაშიც. ლიტერატურაში ტროპებით მხატვრული სახეები იქმნება, ხოლო უშუალო საუბრისას ისინი აზრს ემოციურობას მატებენ.

მეტაფორა (ბერძ. „მეტაფორეო“ — გადამაქვს) მსგავსების საფუძველზე ერთი საგნის თვისებების მეორეზე გადატანაა არა მათი შედარების, არამედ გაიგივების გზით. მაგალითად, *„ჩამავალმა მზემ ზღვას ცეცხლი წაუკიდა“*. ცეცხლის წაკიდება, მეტაფორულად გამოყენებული, გვიხატავს ზღვაზე მზის ჩასვლის სურათს, მზის სხივებით განათებულ ზღვასა და ცას. ეს მეტაფორა ეფუძნება ცეცხლის ფერისა და ჩამავალი მზით განათებული ზღვისა და ცის ფერის მსგავსებას.

აუცილებლად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორები, რომლებსაც სიტყვის ოსტატები ქმნიან კონკრეტული სიტუაციისათვის (*„ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ყრის ყორნისა ბოლო-ფრთათა“* (რუსთაველი); *„წყაროს ჩავიდა მწუხარე ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი“* (ვაჟა) და ენობრივი მეტაფორები, რომლებიც ენის სიმდიდრედ იქცა (*ვენებათა ქარიშხალი, ცრემლის ზღვა*).

მეტაფორა, რაც უფრო მოულოდნელია, მით უფრო ფასობს. ენაში ზოგი მეტაფორა იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ მისი მხატვრულობა მეტყველებაში აღარც შეიმჩნევა.

გაპიროვნება (პერსონიფიკაცია) არის ტროპის სახე, რომლის დროსაც უსულო საგანებს, ბუნების მოვლენებს, ფრინველებსა და ცხოველებს მიენერებათ ადამიანური ნიშან-თვისებები. გაპიროვნება ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ტროპია. მისი გამოყენების ტრადიცია ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან მოდის:

*„გადი—გამოდი, გუთანო,
დალონებული ნუ ხარო“.*

*„წვერის თავს ქორი ნადირობს,
წვერის ბოლოზე არნივი,
— ჩამოვალ, — ქორი იძახის,
— არ ჩამოგიშვებ,—არნავი“*

გაპიროვნება განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს პოეტურ მეტყველებას:

*„დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები“ (ვაჟა);*

*„ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი“ (ვაჟა).*

*„ატირდნენ მთები და... ლამის მეც ავტირდე,
ნაძვები დალონდნენ და მეც... მეც ვლონდები...
მოსწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ,
ფოთლები.. ფოთლები...
ხეთ ხელი ალაპყრეს და ღმერთი ადიდეს,
მაგრამ... უჩვეულო კენესით და გოდებით
მოსწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ
ფოთლები... ფოთლები...“*

(ანა კალანდაძე).

გაპიროვნება ტროპის ისეთი სახეობაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება არა მარტო მხატვრულ მეტყველებაში, არამედ სამეცნიერო სტილის თხზულებებშიც („მთის ჰაერი საუკეთესო მკურნალია“; „ავადმყოფს წნევა უთამაშებს“), პუბლიცისტიკაში („აქ ხმა აიმაღლეს ჩვენმა ქვემეხებმა“; „ქალაქი გმინავდა და გუგუნებდა“; „თბილისის ქუჩებში მთვრალი გაზაფხული დაბარბაცებდა“). გაპიროვნებას ხშირად ვხვდებით სათაურებშიც: („აქ კედლებსაც ყურები აქვთ“; „თუთიყუმის მოყოლილი ამ-

ბები“; „ბაკურიანის დათოვლილი მთების მოლოდინი“; „დედამიწამ ჩართო სიგნალი SOS“ და ა.შ.).

მეტონიმია (ბერძ. „მეტონიმია“ — გადარქმევა) — ეწოდება ერთი საგნის სახელის შეცვლას მასთან დაკავშირებული სხვა საგნის სახელით. მაგალითად, „მაგიდაზე ენყო ფაიფური და ვერცხლი.“ აქ მასალის სახელი გამოყენებულია იმ საგნების დასახელებად, რომლებიც გაკეთებულია ამ მასალისაგან. მეტონიმიას ზოგჯერ მეტაფორის ნაირსახეობადაც განიხილავენ, თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. მეტაფორაში შესადარებელი საგნები აუცილებლად მსგავსნი უნდა იყვნენ, მეტონიმის დროს ასეთი მსგავსება აუცილებელი არ არის. მეტაფორა ადვილად გადაკეთდება შედარებად, ხოლო მეტონიმია ამის საშუალებას არ იძლევა.

მეტონიმის დროს შესაძლებელია სრულიად განსხვავებული ასოციაციები: გეოგრაფიული ადგილის დასახელება გამოიყენება იქ მცხოვრები ხალხის აღსანიშნავად. მაგალითად: „კონცერტზე ჩამოვიდა მთელი ქუთაისი“; „თბილისი წარმატებას ზეიმობდა“; ჭურჭლის დასახელება გამოიყენება მისი შიგთავსის აღსანიშნავად — „მთელი ქვევრი დალია“; „ადუღებული ჩაიდან გადაექცა ფეხზე“; ავტორის სახელით იცვლება მისი ნაწარმოების სახელი: „დარბაზში კენესოდა შოპენი.“

ანტონომაზია მეტონიმის განსაკუთრებული სახეობაა — ტროპი, რომლის არსიც მდგომარეობს საკუთარი სახელის საზოგადო სახელად გამოყენებაში: დონკიხოტი, დონჟუანი, ლოველასი, თათქარიძე, ოტელო, კვაზიმოდო.

ანტონომაზიის უშრეტ წყაროდ გვევლინება ანტიკური მითოლოგია და ლიტერატურა. განსაკუთრებით აქტიურად მიმართავენ ანტიკურ სახეებს კლასიციზმის ეპოქასა და XIX საუკუნის I ნახევარში. ანტონომაზია ხშირად ირონიული მნიშვნელობითაც გამოიყენება: „ჰერმესმა ფეხი გაჭიმა“ (სტატია იმის შესახებ, რომ ფინანსურმა კომპანია „ჰერმესმა“

მოღვაწეობა შეწყვიტა), „ჰეფესტო ფულს აკეთებს“ (სტატია მეტალურგიულ მრეწველობაში კომერციული საქმიანობის შესახებ).

ეპითეტი (ბერძ. „ეპითეტონ“ — ზედდართული) ეწოდება საგნის ან მოვლენის ხატოვან განსაზღვრებას. ეპითეტებს განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ მხატვრულ მეტყველებაში. მათი ძირითადი ნაწილი ახასიათებს საგნებს, თუმცა ისეთი ეპითეტებიც გვხვდება, რომლებიც ხატოვნად აღწერენ მოქმედებას.

ეპითეტებში გამოიყოფა **ზოგადენობრივი** (მაგალითად: *სამარისებული სიჩუმე, ელვისებური მოძრაობა, მზიური საქართველო*) და **ინდივიდუალურ-სააფექტორო** (მაგალითად: *ვარდისფერი გზა, იისფერი თოვლი (გალაკტიონი); ხალხურ-პოეტური ეპითეტები* (მაგალითად: *კუდიანი დედაბერი, ბოროტი დედინაცვალი*). ეს უკანასკნელნი იწოდებიან მუდმივ ეპითეტებად, რადგან ამ სიტყვათშეთანხმებებმა მყარი ხასიათი მიიღეს.

ეპითეტები გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ ტექსტებში, რიტორიკულ გამოსვლებსა და ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში. რაც უფრო ორიგინალური და მოულოდნელია ეპითეტი, მით უფრო მეტია მისი ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედების ძალა:

*„თვალუნვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო,
ჩუმი, მყუდრო და სევდიანი იყო საღამო.*

*თოვლზე დაცემულ სისხლის მსგავსად მზის მღვრიე რგოლი
ღრუბელთა შორის ინთქმებოდა სხივანათრთოლი.“*

(გალაკტიონი)

შედარება არის ტროპის ერთ-ერთი ფორმა, რომლის საშუალებითაც ხდება საგნებისა და მოვლენების შედარება გარეგნული ან შინაგანი ნიშნით მსგავსების საფუძველზე ტროპის სხვა სახეებისაგან განსხვავებით იგი ყოველთვის ორწევრიანია,

რადგან დასახელებულია ორივე საგანი (მოვლენა, თვისება, მოქმედება) და შესაძარებელი ობიექტი დახასიათებულია შედარებულის თვისებებით. შედარებას აქვს როგორც შემეცნებითი, ასევე ესთეტიკური ღირებულება. შემეცნებითი იმიტომ, რომ მისი საშუალებით უცნობი მოვლენა ან საგანი ახსნილია ნაცნობი მოვლენით ან საგნით („დედამინა ბურთივით მრგვალია“; „მზე სხვა ურიცხვი ვარსკვლავით აირადი წყალბადის გიგანტური გავავრვარებული ღრუბელია“; „გახურებული ლითონი წყალივით შეიძლება ჩაასვა ყალიბში და ნებისმიერი ფორმა მისცე“), ხოლო ესთეტიკური იმიტომ, რომ იგი აძლიერებს ემოციას, ქმნის მხატვრულ სახეს და ამით ხიბლავს მკითხველსა და მსმენელს:

„ვითა ვერხვი ქარისაგან ირხევის და იკეცების“

(რუსთაველი);

*„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა“;*

*„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში“ (გალაკტიონი);*

*„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია“ (გ. ლეონიძე);*

*„ვით ფოთოლი შენი მზეზე მოციმციმე
ქარებს აჰყოლია
და ნასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მინას დაჰკონვია,
ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა...
არ ვახსოვარ ალბათ, ... არ ვახსოვარ ალბათ,
ჩემო მაგნოლია“ (ანა კალანდაძე)..*

ჰიპერბოლა და ლიტოტესი. ჰიპერბოლა (ბერძ. „ჰიპერ-ბოლე“ — გადაჭარბება, ზედმეტობა) ენოდება ხატოვან გამოთქმას, რომლის საშუალებითაც ხდება ზომის, ძალის, სილამაზის გაზვიადება. მაგალითად: „ხუთი წლისა შევიქენ მსგავსი ვარდისა შლილისა, ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლეა, მართ ვითა სილისა“; „მზესა მე ვსჯობდი შუენებით, ვით ბინდსა უამი დილისა“ (რუსთაველი); „აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ, ადიდებულსა მდინარეს დაეაყენებ და ყლაპს ვუზამ“ (ხალხური). ჰიპერბოლა გამოიყენება არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებაშიც („მთელი საუკუნე ველოდი“; „ზღვას ერთვოდა მისი ცრემლები“; „ხალხი სიცილით დაიხოცა“; „ხარვიით სვამს“; „დაჭრილი ლომივით ღრიალებს“).

ლიტოტესი (ბერძ. „ლიტოტეს“ — უბრალოება) ენოდება ხატოვან გამოთქმას, რომელიც ამცირებს ზომებს, ძალას, აღწერილის მნიშვნელობას. ლიტოტესს ზოგჯერ შებრუნებულ ჰიპერბოლას უწოდებენ. მაგალითად: ნამცეცა ბიჭი; ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა ქალამნად.

ჰიპერბოლა და ლიტოტესი შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა ენობრივი დონით (სიტყვა, სიტყვათშეთანხმება, წინადადება, წინადადებები).

სხვა ტროპების მსგავსად ჰიპერბოლა და ლიტოტესი შეიძლება იყოს ზოგადენობრივი და ინდივიდუალურ—საავტორო. პირველს მიეკუთვნება ისეთი ჰიპერბოლები, როგორებიცაა: „კოცნით დაახრჩო“; „ცრემლის ზღვა დააყენა“; „უგონოდ უყვარს“; „ერთი ციდა“, „ცეროდენა“, „ზღვაში წვეთი“, ხოლო „სუტკენინა ისე მაიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა“ ილია ჭავჭავაძის ინდივიდუალურ-საავტორო ლიტოტესია.

პერიფრაზი (ბერძ. „პერიფრასის“ — თხრობა, გადმოცემა) ენოდება ტროპის სახეს, რომელიც აღწერით გადმოსცემს სხვა გამოთქმის ან სიტყვის აზრს. მაგალითად: „საქართველოს

დედაქალაქი" — ნაცვლად თბილისისა, „ცხოველთა მეფე“ — ნაცვლად ლომისა.

არსებობს ხატოვანი და არახატოვანი პერიფრაზები. მაგალითად, არახატოვანი პერიფრაზია: *ადამიანის მხედველობის ორგანო — თვალი, ქალაქი ნევაზე — სანკტ-პეტერბურგი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი — რუსთაველი*. ხატოვანი პერიფრაზებია: *ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფე; ქართული მწიგნობრობის აკვანი; ამომავალი მზის ქვეყანა*.

პერიფრაზი შეიძლება იყოს ზოგადენობრივი და ინდივიდუალურ-საავტორო. პირველი მყარია, იგი უკვე არის ან მომავალში იქცევა ფრაზეოლოგიზმად. მაგალითად: *ჩვენი უმცროსი ძმები* (ცხოველები), *პირამიდების ქვეყანა* (ეგვიპტე). ასეთი პერიფრაზები ექსპრესიულობით გამოირჩევა.

კიდევ უფრო მეტი ექსპრესიულობით ხასიათდება ინდივიდუალურ-საავტორო პერიფრაზები, ისინი მეტყველებაში ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებენ. პერიფრაზის გამოყენება თავიდან აგვაცილებს განმეორებებს. მაგალითად, *წმინდა ნინო — კაპადოკიელი ქალწული, ქართლის განმანათლებელი, მირონის შემომტანი ქართლში; შოთა რუსთაველი — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ქართული სიტყვის გენიოსი და ა. შ.*

არსებობს ევფემისტური ხასიათის პერიფრაზებიც. მაგალითად: *„მათ ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს“*, ე. ი. გალანძღეს ერთმანეთი.

ტროპების გამოყენების დროს დაშვებული შეცდომები.
ტროპების გამოყენება სტილისტურად მოტივირებული უნდა იყოს. თუ გამონათქვამის შინაარსიდან გამომდინარე მეტყველების ემოციურობა მიზანშეუწონელია, მეტაფორების ხმარება გამართლებული არ არის. თუმცა არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ხარვეზები ტროპების გამოყენების დროს. ხშირად უადგილოდ მიმართავენ ტროპებს სპორტული კომენტატორები. მაგალითად: *„მოჭადრაკე ამაზონელი ქალების დუელი ხვალ გაგრძელდება“*; *„ორი გუნდი გამოვიდა მწვანე ხალიჩაზე, რომ*

ფეხბურთის ენაზე გამართულ დიალოგში შეეჯიბრონ ერთმანეთს და დაამტკიცონ ვინ უფრო ძლიერია, ვინ უფრო ჭკვიანი, ვინ უფრო ამტანი“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ლიმილის-მომგვრელ ცრუპათოსთან.

არსებობს სფერო, ე.წ. საქმის ქალაქები (ოქმი, ახსნა-განმარტებითი ბარათი, განცხადება და ა. შ.), სადაც ტროპების გამოყენება არ არის რეკომენდებული. ამგვარ ტექსტებში ეს გამოიწვევს სტილთა აღრევას და შექმნის კომიკურ ეფექტს. მაგალითად, პიროვნება წერს ახსნა-განმარტებით ბარათს დირექტორის სახელზე, თუ რატომ დააგვიანდა სამსახურში. ტექსტს იგი იწყებს ასე: *„გათენდა მაისის მშვენიერი, უღრუბლო, უქარო და თბილი დილა. ჩიტები სასიმოვნოდ უღურტულუბდნენ...“* და ა. შ. როგორც ვხედავთ, სრულიად შეუფერებელი სტილია მსგავსი დოკუმენტისთვის.

არ შეიძლება ლოგიკას და აზრსმოკლებული შედარების გამოყენება. მაგალითად, ერთი ჟურნალისტი წერს: *„ეს ქალბატონი ისეთივე სუფთა და ნაზი იყო, როგორც მისი თეთრი კაბა“*.

ხშირია პერიფრაზის უადგილო და გაუმართლებელი გამოყენება: საგაზეთო სტატიიაში ვკითხულობთ: *„მნახველების წინ წარდგენენ ცეცხლის მომთვინიერებლები“* (შეიძლება იფიქრო, რომ საუბარი იქნება ფაკირებზე, ავტორი კი ცეცხლის მომთვინიერებლებში მესხანძრეებს გულისხმობდა).

უნდა მოვერიდოთ გაუმართლებელ ჰიპერბოლებს. ერთი ჟურნალისტი ასე წერდა თავის გმირზე: *„ცხოვრებაში ყველაზე მეტად თავისი პროფესია უყვარდა — მინისმთხრელის პროფესია — მისი განსაკუთრებული, მოკრძალებული, თვალშისაცემი სილამაზის გამო“*. აზრის დამახინჯება შეიძლება მოხდეს გაუმართლებელი ლიტოტესის გამოც: *„მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიკროსკოპული უპირატესობა მოიპოვა.“*

სიტყვათა მეტაფორული გამოყენების დროს ზოგჯერ ჩნდება ორაზროვნება, რაც, რასაკვირველია, ხელს უშლის აზ-

რის სწორად გაგებას. მაგალითად, ერთ-ერთ ნარკვევში ახალ ქართველ ფერმერებზე ვკითხულობთ: *„მათთვის ძნელი იყო პირველი ნაბიჯის გადადგმა და კიდევ უფრო ძნელი ამ გზით სიარული. მაგრამ ამ ადამიანებს ძლიერი ხელები აქვთ და არჩეულ გზას პირნათლად გაივლიან.“* (შკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ადამიანებმა გადაწყვიტეს ხელებით იარონ).

სიტყვის მეტაფორული მნიშვნელობა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს ამ სიტყვის შინაარსთან, მაგალითად: *„ტარიელმა ქაჯეთის ციხეში სისხლის კორიანტელი დააყენა“*; *„მანქანების კვალდაკვალ მოხტოდა გზიდან ავარდნილი მტვერი“*.

ტროპში გამოყენებული სიტყვები ერთმანეთს უნდა შეესა-ტყვისებოდნენ თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობითაც. არასწორია მეტაფორა: *„სახლში დაბრუნებულმა ივანემ გადანყვიტა ომის ნაიარევი მოეშუშებინა“*. ნაიარევი არის ის, რაც რჩება და აღარ გშორდება, ავტორს უნდა ეთქვა: *„ომის იარები“*.

ტროპების გაუაზრებელმა გამოყენებამ შეიძლება კომიკური ეფექტი შექმნას. მაგალითად: *„მინის იქით ერთმანეთს ჩახუტებულნი დგანან, ბალზაკი, პუშკინი, ყაზბეგი და გალაკტიონი“* (ლაპარაკია წიგნების კარადაში ჩამწკრივებულ ტომებზე); *„ლიზიკო და მისი მოხუცი დედა გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. დედა რომ გამოეკვება, გოგონა მინდორში ყვავილებს აგროვებდა“*. (შეიძლება იფიქროთ, რომ ლიზა დედას ყვავილებით კვებავდა. სინამდვილეში ამის დამწერს უნდოდა ეთქვა, ლიზა ყვავილებს აგროვებდა და ყიდდაო).



ენის ფრაზეოლოგიური საშუალებები ✓

ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებული გამოთქმები, სიტყვათა თავისებური შეერთებანი ფრაზეოლოგიზმებად იწოდება. მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა არ უდრის მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობებს. ფრაზეოლოგიზმებს ზოგჯერ იდიომებს ან ფიგურალურ გამოთქმებსაც უწოდებენ. როგორც წესი, მათ ვხმარობთ გადატანითი მნიშვნელობით, ამიტომ მათთვის ნიშანდობლივია ხატოვანება. ხატოვანი გამოთქმები, ანუ ფრთიანი გამოთქმები, ენის სიმდიდრეა.

ფრაზეოლოგიზმი ენაში დამკვიდრებული მყარი სიტყვათშეთანხმებაა. მაგალითად: „კუდიტ ქვა ასროლინა“, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, „სახტად დარჩა“ და სხვ.

ზოგი ფრაზეოლოგიზმი ერთი სიტყვის ეკვივალენტურია: „ხელი გაანძრე“ — იშრომე, „ტვინი გაანძრე“ — მოიფიქრე, „მეცამეტე გოჭი“ — ზედმეტი. თუმცა ისეთი ფრაზეოლოგიზმებიც გვხვდება, რომელთა შინაარსიც ერთი სიტყვით არ გადმოიცემა. მაგალითად: „თავი მოიკლა“ — ძალიან მოინდომა. „სამოთხის კარი გაეღო“ — გულის წადილი აისრულა, სანატრელ მდგომარეობაში ჩაეარდა. „ცაში დაფრინავს“ — ამ ქვეყნიერების არაფერი გაეგება, მოვლენებს რეალურად ვერ აფასებს, ტყუილ-მართალი ვერ გაურჩევია.

ფრაზეოლოგიზმს ახასიათებს შემადგენლობის უცვლელობა. თავისუფალ სიტყვათშეთანხმებაში ერთი სიტყვა თავისუფლად შეიძლება შევცვალოთ მეორე სიტყვით, თუ ეს სიტყვა ფრაზას აზრობრივად შეესაბამება (ვკითხულობ ნიგნს, ვკითხულობ რომანს, ვკითხულობ ნანარმოებს, ვკითხულობ თხზულებას, ვკითხულობ „დიდოსტატის მარჯვენას“). ფრაზეოლოგიზმში ასეთი შეცვლა არ დაიშვება. თავში არავის მოუვა იდიომში „მტკვარი ვერ გარეცხავს“, „მტკვრის“ ნაცვლად ჩასვას „არაგვი“ ან „ლიახვი“. „რა ქარმა გადმოგადოს ნაცე-

ლად“ ვერ ვიტყვით „რა სიომ“, „რა ნიაემა“, „რა გრიგალმა“ გად-
მოგაგდო. თუმცა არის ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც ვარი-
ანტები გააჩნიათ. მაგალითად: *„ვერაფერი შეილია“ // „დიდი
ვერაფერი შეილია“; „მუხლებში ჩაუვარდა“// „ფეხებში ჩაუ-
ვარდა“*. პარალელურად იხმარება ფრაზეოლოგიზმები *„მთელი
გულით“* და *„მთელი სულით“*. თუმცა პარალელური
ფრაზეოლოგიზმების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ
ფრაზეოლოგიზმში თვითნებურად შეიძლება შევცვალოთ
სიტყვა. ენაში არსებულ პარალელურ ფრაზეოლოგიზმებსაც
სიმყარე ახასიათებთ.

ფრაზეოლოგიზმების დიდი ნაწილი ვერ ეგუება ახალი სიტყ-
ვების ჩართვას. მაგალითად, *„კვერცხში გამოწვივის“*, ე. ი. ქორ-
ფაა, ნორჩი, გამოუცდელი, არაფრის მცოდნე. არ შეიძლება
ვთქვათ: *„მუცელში გამოწვივის“*.

„კრიჭა შეეკრა“ — უჭმელობას, ლაპარაკის უნარის და ხალ-
ისის დაკარგვას, გაჩუმებას ნიშნავს. მის ნაცვლად არ შეიძლება
ვთქვათ: *„პირი შეეკრა“*, *„კბილები შეეკრა“*, *„ენა შეეკრა.“*
ფრაზას *„ქურდს ქუდი ეწვის“* ვერ შევცვლით გამოთქმით
„ქურდს გული ეწვის“. გამოთქმაში *„კრუხივით შინ ზის“* არ
შეიძლება შედარების ობიექტი შევცვალოთ და ვთქვათ:
ქათამივით ან დედალივით შინ ზის და ა. შ.

თუმცა გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიზმებიც, რომელშიც
შეიძლება ჩაერთოთ ცალკეული დამაზუსტებელი განსაზ-
ღვრება. მაგალითად: *„კბილებს ჩაგიმტვრევ“// „ყველა კბილს
ჩაგიმტვრევ“*, ე. ი. მოგერევი. ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში
შეიძლება ერთი ან მეტი კომპონენტის გამოტოვება. ამას
ფრაზეოლოგიზმის რედუქცია ეწოდება და აიხსნება ენობრივი
საშუალებების ეკონომიით და სპეციალური სტილისტური
მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად: *ნაღველი მანევს გულზე
ლოდივით//გულზე ლოდივით მანევს; „ერთი ფეხით მივუსწარი“
// „ფეხად მივუსწარი“; „ნეტავი პრასა მეჭამა და ეს არ მექნა“ //
„ნეტავი პრასა მეჭამა“*.

ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობას ახასიათებს სიტყვათა მყარი თანმიმდევრობა, რომელთა შეცვლაც არ არის მიზანშეწონილი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში სიტყვათა თანმიმდევრობის დარღვევა შესაძლებელია. მაგალითად: „ქვას ქვაზე არ დატოვებს“//„არ დატოვებს ქვას ქვაზე“; „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“//„ჩაუვარდა კოვზი ნაცარში“.

ხატოვანი სიტყვა-თქმები განსხვავებული წარმომავლობისაა. ზოგი წმინდა ეროვნული რეალიების ამსახველია („ჩაიღურის წყალი დალია“, „მტკვარი ვერ გარეცხავს“, „ქუდზე კაცის გამოსვლა“, „კაკას ხიდი გაიარა“, „გავიდა მარილზე“, ზოგს კი საფუძვლად ბიბლიური ამბები უდევს („აკრძალული ხილი“, „იობის მოთმინება“, „იუდას ამბორი“, „მამა აბრამის ბატკანი“, „ნოეს კიდობანი“, „ურწმუნო თომა“, „ციური მანანა“, „ხელის დაბანა“, „ხმა მლალადებლისა უდაბნოსა შინა“), ზოგს — ანტიკური მითები („არიადნეს ძაფი“, „აქილევსის ქუსლი“, „განხეთქილების ვაშლი“, „სიზიფეს შრომა“, „პანიკური შიში“) ან — ცნობილი ისტორიული მოვლენები („რუბიკონის გადალახვა“, „დიოგენეს ფარანი“, „დრაკონული კანონები“, „მაინც ბრუნავს!“ „შენც, ბრუტუს?!“ „ჰანიბალის ფიცი“, „ჰეროსტრატეს დიდება“, „პოტიომკინის სოფელი“) და სხვ. ხშირად ასეთი გამოთქმები ითარგმნება და სხვა ხალხების მეტყველებაში მკვიდრედება, თუმცა, ზოგიერთი თქმა მნიგნობრულ წრეებში უთარგმნელადაც იხმარება („Alma mater“, „Tabula rasa“, „In Vino Veritas“, „et cetera“, „Persona non grata“, „Memento mori“) ზოგი იდიომის წარმომავლობა ახლა ძნელი დასადგენია. მაგალითად: „ჩიტის რძე“, „შუბლზე აწერია“, „ორ ცეცხლს შუა ყოფნა“.

განათლებული, წიგნიერი ადამიანები ენას საფუძლიანად ფლობენ, ბევრი ხატოვანი სიტყვა-თქმა იციან და მარჯვედ იყენებენ მეტყველებაში. განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის ფრაზეოლოგიზმები მთარგმნელებს. ამგვარი გამოთქმების უმეტესობას თარგმნა არ უხერხდება, რადგან მათი დიდი ნაწილი დაკავშირებულია კონკრეტულად ერთი ხალხის ის-

ტორიასთან, ყოფა-ცხოვრებასთან, ზნე-ჩვეულებებთან, მხატვრული აზროვნების თავისებურებებთან. მთარგმნელი ღრმად უნდა იცნობდეს ორივე ენის ფრაზეოლოგიზმებს, რომ შეძლოს ადეკვატური შესატყვისების მოძებნა.

ფრაზეოლოგიზმების სტილისტური ელფერი. ენის ფრაზეოლოგიურ საშუალებებს, ისევე როგორც ლექსიკას, აქვს გარკვეული სტილისტური ელფერი. რაოდენობრივად ყველაზე უფრო მეტი სასაუბრო ფრაზეოლოგიზმებია, ისინი ძირითადად გამოიყენება ზეპირი მეტყველების დროს და მხატვრულ ტექსტებში (*„ენა ექავება“*, *„ცხვირი აუბზუა“* და ა. შ.).

სხვა სტილისტურ პლასტს ქმნის წიგნური ფრაზეოლოგია, რომელიც გამოიყენება წიგნურ სტილში, ძირითადად, წერილობით ძეგლებში (*„ექსლუატაციაში შეყვანა“*, *„ჩვენების მიცემა ან ჩამორთმევა“*, *„უამთა სიავე“* და ა. შ.).

შეიძლება გამოიყოს ზოგადი გამოყენების იდიომები, რომელიც გვხვდება როგორც წიგნურ, ასევე სალაპარაკო ენაში (*„მნიშვნელობის ქონა“*, *„მხედველობაში გქონდეს“*, *„სიტყვა შეასრულე“*). ასეთი გამოთქმები არც ისე ბევრია.

ემოციურ-ექსპრესიული თვალსაზრისით ფრაზეოლოგიზმები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს შეადგენენ იდიომები, რომლებსაც აქვთ მკვეთრი ემოციურ-ექსპრესიული ელფერი, რასაც მათი ხატოვანება განაპირობებს. სასაუბრო ხასიათის ფრაზეოლოგიზმები ფამილიარულ, სახუმარო, ირონიულ, დამცინავ ტონებს შეიცავს (*„ორი დღის სიცოცხლე“*, *„ქოში უკულმა ყარა“*, *„მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“*, *„პირის გასველება“*, *„პირის გემო“* და სხვა). წიგნურ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს ამაღლებული, საზეიმო უღერადობა (*„ერთიანი ფრონტიტ“*, *„კუბოს კარამდე“*, *„ლიტონი სიტყვა“*, *„მაღამოდ დაგედები“*, *„მარჯვენა ხელი“*, *„მეორედ მოსვლა“*, *„დღესავით ნათელი“*). მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც არ აქვთ ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა და გამოიყენებიან მკაცრად

ნომინაციური ფუნქციით („ღია სხდომა“, „ღია კენჭისყრა“, „დახურული სხდომა“, „ღლის წესრიგი“, „საერთო კრება“). ასეთი ფრაზეოლოგიზმები არ გამოხატავენ შეფასებას. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების ერთი ნაწილი ტერმინებია („ხვედრითი წონა“, „სასვენი ნიშნები“).

ფრაზეოლოგიზმები ამდიდრებს როგორც ორატორების, ასევე მწერალთა სტილს. მათი საშუალებით შეიძლება შეფასება მიცვეთ სიტყვას („ოქროს სიტყვებია!“), მუშაობას („მუქთა პურის ჭამა“, „ოფლის მღვრელი“), გარეგნობას („მზის ნატეხი“, „საროს ტანი“; „კრუხის პალო“), ხასიათს („ოქროა“, „მამალი ინდაურივით იფხორება“), ფიზიკურ მდგომარეობას („მუხლი და მკლავი აღარ მომდევს“), ადამიანების მოქმედებას, საქციელს („თავის მოჭრა“, „მზის დაბნელება“, „ღეჩაქის მოხდა“). ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით ზოგს ვაქებთ („ოქროს ხელები აქვს“, „ჭიანჭველას არ აწყენინებს“), ზოგს ვკიცხავთ („ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს“), ზოგ მოვლენაზე ამალღებულად ვლაპარაკობთ („მეშვიდე ცაზეა სიხარულით“, „ცაში დაფრინავს“), ზოგზე — დაცინვით ან ზიზლით („კუმ ფეხი გამოყო“; „ორშაბათის ყეინი“; „მოუსავალში წასვლა“).

ფრაზეოლოგიური სინონიმები. ფრაზეოლოგიზმები ჩვენს მეტყველებას ანიჭებს ექსპრესიულობას, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს შემდეგი სინონიმები: ჩქარა // თვალის დახამხამებაში; შორს // ცხრა მთას იქით. იდიომები ხშირად ქმნიან სინონიმურ რიგს. მაგალითად: *წლებზე ფეხს იდგამს // ოფლს ღვრის // მუხლჩაუხრელად შრომობს // მკლავდაკაპინებული შრომობს; თავქუდმოგლეჯილი გარბის // უკანმოუხედავად გარბის // მიფრინავს; რა წითელი კოჭია // რა წითელი კვერცხია // ვის დაჰკარგვია; როცა ვირი ხეზე გავა // როდინობის კვირაში; ორ ცეცხლშუა // ორ წყალშუა; განგაშის ატეხა // ზარების დარისხება.*

ფრაზეოლოგიური სინონიმები შეიძლება განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან სტილისტური ელფერით. ისინი შეიძლება

მნიშვნელობით აბსოლუტურადაც ემთხვეოდნენ ერთმანეთს („როცა ვირი ხეზე გავა“ და „როდინობის კვირაში“) ან ჰქონდეთ უმნიშვნელო აზრობრივი განსხვავებები (მაგალითად, „ცხრა მთას იქით“ და „დასაკარგავში“). „ცხრა მთას იქით“ აღნიშნავს ძალიან შორს, „დასაკარგავში“ — შორეულ, მიყრუებულ ადგილს. ზოგჯერ სინონიმური ფრაზეოლოგიზმები განირჩევიან მოქმედების ინტენსივობის ხარისხით. მაგალითად, „ცრემლი ღვარა“, „ცრემლად დაიღვარა“, „ცრემლებმა დაახრჩო“. ჩვენი მეტყველების გამომსახველობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვიყენებთ ფრაზეოლოგიზმების სინონიმურ სიმდიდრეს.

ფრაზეოლოგიური ანტონიმები. ✓ ანტონიმური ფრაზეოლოგიზმები უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე სინონიმური. ანტონიმურ იდიომებს ისეთივე მიმართება აქვთ ერთმანეთთან, როგორც ლექსიკურ ანტონომებს. (შდრ.: ვიცინეთ — ვიტირეთ, მუცელი ორი ხელით გვეჭირა — ზღვას ერთვოდა ჩვენი ცრემლები; მალალი — დაბალი, საროს ტანის — კრუხის პალო // მაჩვის ტაბიკი // მოკლეკოჭა.

ფრაზეოლოგიზმების პოლისემია და ომონიმია. ფრაზეოლოგიზმთა უმეტესობას ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, „ღრუბლებში დაფრინავს“ — უსაგნო ოცნებებს არის მიცემული; „ერთი შეხედვით“ — პირველი შთაბეჭდილებით, „ჩიხში შესვლა“ — გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენა. მაგრამ არის ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, „სისხლის გაშრობა“ ნიშნავს თავის მობეზრებას; საქმის გაჭირვებას, გამწარებას; სიკვდილის პირამდე მიყვანას. „სწორ გზაზე დამდგარი“ — სისწორით მკეთებელი საქმის, სამშვიდობოს გასული, მიზანს მიღწეული, პატიოსნად მომქცევი, სიმართლის მსახური.

ფრაზეოლოგიზმების მრავალმნიშვნელოვნება ხშირად

ჩნდება ენაში მათთვის გადატანითი მნიშვნელობის მინიჭებით. მაგალითად, ილიომმა „საბრძოლო ნათლობა“ (პირველი მონანილეობა ბრძოლაში) ენაში მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელობა: პირველი სერიოზული გამოცდა რაიმე საქმეში.

უფრო ხშირად გადატანით მნიშვნელობას იღებენ ტერმინოლოგიური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმები: *„წილადების გაერთმნიშვნელიანება“*, *„ხვედრითი წონა“*, *„სიმძიმის ცენტრი“*.

ფრაზეოლოგიზმებში შეიძლება შეგვხვდეს ე. წ. „გარეგნული ომონომიის“ მაგალითები. ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვათშეხამება, ერთი მხრივ, გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით და რჩება თავისუფალი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ფრაზეოლოგიზმი. „გარეგნული ომონომიის“ მაგალითებია: *„სისხლის აღება“*, ანუ შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, მტრის მოკვლა. შდრ.: სისხლის აღება, ანუ სისხლის ანალიზის აღება. *„სისხლის დაღვრა“* — თავგანწირული შრომა; თავის დაუზოგველობა გარჯაში, ხალხის ხოცვა-ჟლეტა. შდრ.: *„ავადმყოფმა ბევრი სისხლი დაღვარა“*. ამ შემთხვევაში მხოლოდ კონტექსტი განსაზღვრავს, როგორ გავიგოთ ესა თუ ის გამოთქმა — როგორც ფრაზეოლოგიზმი, თუ როგორც სიტყვათშეთანხმება, ნარმოდგენილი თავისი ჩვეულებრივი ლექსიკური მნიშვნელობით. შდრ.: *„ბებომ ეს სამწუხარო ამბავი რომ გაიგო, კრიჭა შეეკრა“* (ხმა ვერ ამოიღო), *„ბავშვს კრუნჩხვები დაემართა და კრიჭა შეეკრა.“*

ფრაზეოლოგიზმების ხატოვანი მნიშვნელობა. ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი გამოთქმებია და ისინი უნდა გავიგოთ გადატანითი მნიშვნელობით. *„კისერზე ჯდომა“* ნიშნავს — ვინმეს ხარჯზე ცხოვრებას. თუმცა კისერზე ჯდომას აქვს ე. წ. „გარეგანი ომონომიაც“. შდრ.: *„ეს ბიჭი ნამდვილი მუქთახორაა და მშობლებს კისერზე აზის“*; *„პატარა ელენე მამას კისერზე აჯდა და გულიანად კისკისებდა“*.

ფრაზეოლოგიზმის არასწორი გაგება შეიძლება კომიკური სიტუაციის შექმნის მიზეზი გახდეს. 5 წლის დათომ კარგად

ათვისა 10-ის ფარგლებში შეკრება-გამოკლება. სტუმრად მოსულმა დეიდამ უთხრა: დათო, ვნახოთ, რა მათემატიკოსი ხარ, მოდი ერთი, მაგრად გაგწუროო. პატარამ ტირილი დაიწყო: „ნატო დეიდა, გამწურე, ოღონდ თოკზე მაინც ნუ გადამკიდებ“. ამ შემთხვევაში ფრაზიოლოგიზმმა დაკარგა თავისი ხატოვანი მნიშვნელობა: ბიჭმა გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. მსგავსი შემთხვევა აქვს აღწერილი კ. ჩუკოვსკის წიგნში „ორიდან ხუთამდე“. პატარა გოგონა მშობლებმა სტუმრად წაიყვანეს. მან უყურა, უყურა მასპინძლებს და იკითხა: „რატომ ზის ბიძია ვასია სკამზე, დედა ხომ ამბობს, რომ იგი მთელი ცხოვრება დეიდა ლენას აზის კისერზე?“

ფრაზეოლოგიზმების ხატოვანება ხშირად არის განპირობებული მათში არსებული ტროპებით. მაგალითად: შედარებებით (*ტკიპასავით მომეკრო, კრუხივით შინ ზის*), ჰიპერბოლებით (*ოქროს მთები, ცრემლების ზღვა*), ლიტოტესებით (*ხავსს ეჭიდება, ერთი ქრთილის მარცვლის ოდენა*), მეტაფორით (*ჩიხში შევიდა, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს*) და ა. შ. ზოგიერთმა ფრაზეოლოგიზმმა მიიღო იუმორისტული ელფერი. მაგალითად, „ტყემალზე ზის“.

ფრაზეოლოგიზმების ექსპრესიული შეფერილობა ზოგჯერ მიიღწევა მათი ბგერობრივი ორგანიზაციით (*„ეს-ისაო, ეს-ესაო“; „ახე-ბახედ ლაპარაკი“*), სიტყვათა განმეორებებით (*„თითი თითზე არ დაუკარებია“; „წუთი წუთზე“; „ჰა ბურთი და ჰა მოედანი“*).

ბგერწერა, რიტმულობა, რითმა ფრაზეოლოგიზმებს აძლევს განსაკუთრებულ ექსპრესიას (*„ორად ორი“; „აღილო და ხვალეო“; „არც მეტი, არც ნაკლები“; „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“*).

ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ამოუწურავ წყაროს სამეტყველო ექსპრესიის მისაღწევად. მათი ხატოვანება აცოცხლებს თხრობას და ხშირად აძლევს მას სახუმარო, ირონიულ ელფერს. განსაკუთრებით უყვართ ფრაზეოლოგიზ-

მები იუმორისტებს და სატირიკოსებს, ისინი ხშირად იყენებენ სტილთა აღრევას კომიკური ეფექტის მისაღწევად. საოცარ სტილურ ეფექტს ქმნის წიგნური ფრაზეოლოგიზმების პაროდული გამოყენება სხვა სტილის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ საშუალებებთან ერთად. ფრაზეოლოგიზმების ხატოვანება მშვენიერ წინაპირობას ქმნის მათი გამოყენებისათვის მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ავტორის ნიჭზე — სწორად შეარჩიოს ფრაზეოლოგიური მასალა და ისე გამოიყენოს იგი ტექსტში.

✓ შეცდომები ფრაზეოლოგიზმების გამოყენების დროს. იდიომის ზუსტი მნიშვნელობის არცოდნა, მისი ლექსიკურ-გრამატიკული შემადგენლობის, ექსპრესიულ-სტილისტური თავისებურებების გამოყენების სფეროს გაუთვალისწინებლობა იწვევს სამეტყველო შეცდომებს.

სპეციფიკური სტილისტური ელფერის მქონე ფრაზეოლოგიზმი შეიძლება კონტექსტიდან ამოვარდეს განსხვავებული შინაარსისა და სტილის ტექსტში. მაგალითად: *„ის არამზადა ფიქრობდა, გადარჩენის გზებს ეძებდა; ბოლოს ამ გარენარმა თავის გადასარჩენად მოიფიქრა ისტორია, რომელიც მისი გედის სიმღერა აღმოჩნდა“*. ფრაზეოლოგიზმი *„გედის სიმღერა“* გულისხმობს თანაგრძნობას და კეთილგანწყობას იმის მიმართ, ვისაც ეს ფრაზა მიემართება, ამიტომაც იგი სტილისტურად სრულიად გაუმართლებელია ამ კონტექსტში.

მიუღებელია ექსპრესიულად დატვირთული ფრაზეოლოგიზმის გამოყენება ე. წ. საქმის ქალაქებში და ოფიციალური შეხვედრების დროს. მაგალითად: *„ღირსების ორდენით ჯილდოვდება თამაზ იაშვილი, ოქრო კაცი, დამსახურებული ექიმი და დიდი ქველმოქმედი“*. ამ კონტექსტში ფრაზეოლოგიზმი *„ოქრო კაცის“* ხმარება არ შეიძლება.

„მინისტრმა წარმოადგინა დარგის განვითარების პერსპექტიული გეგმა — იგი აშკარად კმაყოფილი ჩანდა თავისი იდეებით და თავი მწვანე კიტრივით მოჰქონდა“. ამ კონტექსტიდან

ამოვარდნილია „თავი მწვანე კიტრივით მოჰქონდა“.

ხშირად გაუმართლებელია სასაუბრო ფრაზეოლოგიზმების გამოყენება პუბლიცისტურ ტექსტებში. მაგალითად: „ამერიკა რუსეთს ფეხებს ვერ მოსჭამს“; „პრეზიდენტ ბუშს ბინ ლადენის გახსენებაზე ელეთმელეთი მოსდის“; „სამეცნიერო კონფერენციაზე ერთი ქორწილის ხალხი შეიკრიბა“.

ხშირად გვხვდება დამაზუსტებელი სიტყვის გამოყენებით ფრაზეოლოგიზმის არამოტივირებული გავრცობა. მაგალითად: „პეტრეს იობის უსაზღვრო მოთმინება ჰქონდა“. სიტყვა „უსაზღვრო“ ზედმეტია. იობის მოთმინება, სწორედაც რომ, უსაზღვრო მოთმინებაა. „პავლე ლარიბი იობის დღეში ჩავარდა“. აქ სიტყვა „ლარიბია“ ზედმეტია. „კალამი კარგად უჭრის“. ზედმეტია „კარგად“: „კანკალმა ძალიან აიტანა“. „ძალიან“ ზედმეტია. „კანში სულ აღარ ეტევა“. „სულ“ — ზედმეტია. „სრული ფიასკო განიცადა“. „სრული“ ზედმეტია. „სიზიფეს მძიმე შრომა“. სიტყვა „მძიმე“ ზედმეტია. „მხიარული ჰომერული სიცილი“. „მხიარული“ ზედმეტია.

ზოგჯერ გვხვდება ფრაზეოლოგიზმის გაუმართლებელი შეკვეცა მისი რომელიმე კომპონენტის გამოყენების ხარჯზე. მაგალითად: „ეს არის დამამძიმებელი გარემოება“ (უნდა იყოს: „დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება“); „ისე გამიჭირა საქმე, რომ სული კბილებში მადინა“ (უნდა იყოს: „კბილებში ოფლი მადინა“); „ღმერთო, ყურით გაიგონე ჩემი ვედრება“ (უნდა იყოს: „ღმერთო, კეთილი ყურით გაიგონე ჩემი ვედრება“); „ბახვი არ დამაჭრა“ (უნდა იყოს: „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“).

არც თუ ისე იშვიათია ფრაზეოლოგიზმის ლექსიკური შემადგენლობის დამახინჯება: მაგალითად „ის სულით დაეგდო“ (უნდა იყოს: დაეცა); „პატარა თოკით დააბა“ (ე. ი. თავისუფლება ნაართვა. უნდა იყოს: მოკლე თოკით დააბა); „კაი თავვიც დაიჭირა“ (უნდა იყოს: კაი მელა ან ტურა დაიჭირა); „სახლი ამიტალაბა“ (უნდა იყოს: კარი ამიტალახა).

ფრაზეოლოგიზმების დამახინჯება შეიძლება გამონვეული

იყოს იმ გრამატიკული ფორმების განახლებით, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება კონკრეტული სიტყვათშეხამების დროს. მაგალითად: „*მან ქონება რალაც მანქანით შეინარჩუნა*“ (უნდა იყოს: „*რალაც მანქანებით შეინარჩუნა*“).

დიდ ზიანს აყენებს სტილს ფრაზეოლოგიური გამოთქმის ხატოვანების გაუმართლებელი დარღვევა. მაგალითად: „*ნელს კომპანია „საქართველოს ავიახაზებმა“ შეძლო მგზავრთა ნაკადის შენარჩუნება მაღალ დონეზე*“. კონტექსტმა გამოაველინა სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა და შედეგად მივიღეთ კალამბური. ფრაზეოლოგიზმის აღქმა მისთვის უჩვეულო, არახატოვანი მნიშვნელობით მეტყველებას ანიჭებს უადგილო კომიზმს: „*ამ გემზე რომ დაინყო მუშაობა, ჩვენი კოლექტივი დასაწყისში ფეხქვეშ ნიადაგს ვერ გრძნობდა*“. ასეთი შეცდომები რომ ავიცილოთ თავიდან, აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტის თავისებურებანი.

კონტექსტში შეიძლება თავი მოიყაროს აზრობრივად შეუთავსებელმა ფრაზეოლოგიურმა ერთეულებმა. მაგალითად: „*ეს ადამიანები მყარად დგანან ფეხზე და ამიტომ ვერავინ შეძლებს ფრთები შეაკვეცოს მათ*“. პირველი ფრაზეოლოგიზმი (მყარად დგანან ფეხზე) ამ სახეს მინას „*მიაჯაჭვავს*“ და ეს უკვე შეუძლებელს ხდის იქვე ისეთი ფრაზეოლოგიზმის გამოყენებას, რომლის აზრობრივ საფუძველში დევს „*ფრენა*“, „*ფრთების შეკვეცა*“ — ე. ი. ფრენის საშუალების წართმევა. აქ ერთი ფრაზეოლოგიზმი გამორიცხავს მეორეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიჩვეული ვართ ფრაზეოლოგიზმების გადატანით მნიშვნელობებს, მათ მეტაფორულობას, ფრაზეოლოგიური ერთეულები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ტექსტის შინაარსს. მაგალითად, არ შეიძლება მონადირე ძაღლზე ვთქვათ: „*ის არასოდეს დაბრუნდება შინ ხელცარიელი*“.

ფრაზეოლოგიზმის სწორად გამოყენების აუცილებელი პირობაა კონტექსტის სიტყვებთან მისი შესატყვისობის თავისებურებების მკაცრი დაცვა. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი „*პირველი*

გამოშვება", „მეორე, მესამე... გამოშვება“ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლის, უნივერსიტეტის, ინსტიტუტის...) კურსდამთავრებულებზე საუბრისას. მაგალითად: „გიო თოდუა ეკოსკოლის პირველი გამოშვებაა“. არ შეიძლება ვთქვათ: „ეს ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მესამე გამოშვებაა“. ნაბეჭდ პროდუქციასთან დაკავშირებით უნდა ვიხმაროთ სიტყვა „გამოცემა“.

ფრაზეოლოგიზმის არასწორი გამოყენების მიზეზი მეტყველებაში შეიძლება იყოს სხვადასხვა მყარი გამოთქმის ელემენტების კონტამინაცია. მაგალითად: „ენა ჩამწყდა“. არსებობს ფრაზეოლოგიზმები „ენა ჩამივარდა“ და „გული ჩამწყდა“. ავტორმა გამოიყენა ერთის ქვემდებარე და მეორის შემასმენელი. ასეთი სტილისტური შეცდომა აიხსნება ცრუასოციაციებით. იგივე ითქმის შემდეგი მაგალითის თაობაზეც: „ჩვენ გვინდოდა აგვეტეხა ზარები, მაგრამ მერე მოცდა ვამჯობინეთ“. „დაგვერისხებინა ზარების“ და „აგვეტეხა განგაშის“ ელემენტების კონტამინაციით მივიღეთ გაუმართავი და გაუმართლებელი ფორმა „აგვეტეხა ზარები“.

ლიტერატურა:

1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1992. -
4. არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1991
5. რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, თბ., 1979.
6. მ. ბერიკაშვილი, მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2001.
7. დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2004
8. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965
9. ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, თბ., 2005.
10. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
11. ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.,
12. ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ., 1966.
13. თ. სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1999.
14. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
15. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1989.
16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერტომეული, თბ., 1986.
17. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბ., 1972.
18. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი III თბ., 1980
19. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბ., 1983
20. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1984
21. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1988
22. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი IX, თბ., 1989
23. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
24. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.

25. თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბ., 1967.
26. გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974
27. ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.
28. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1985.
29. ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1998.
30. ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენა, XI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1999.
31. ციცერონი, ორატორი, თბ., 1936.
32. ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.
33. В.В. Виноградов, О теории художественной речи. М. 2005
34. О.В. Петров, Риторика, М. 2004
35. Джозеф М. Уильямс, Стилль М. 2003
36. С.И Радциг, История древнегреческой литературы, М. 1977
37. Д. Э. Розенталь, Практическая стилистика русского языка. М. 1998.
38. Ф. Штриккер, Х. Штриккер, Искусство красноречия. М. 2005.
39. Энтони Уестон, Аргументация. М.2005.

დაიბეჭდა გამომცემლობაში
„ნეკერი“

საგამომცემლო ჯგუფი:

გ. ბაგრატიონი

ნ. კალანდაძე

ი. მარგველაშვილი

ნ. ქვაჩახია

ნ. ჩავლეშვილი

ნ. ჩიტაია

ტირაჟი 300